შპს გრანთ თორნთონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ.+ 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
T. + 995 322 604 406

დამოუკიდებელ აუდიტორთა ანგარიში მმართველობის ანგარიშგებაზე

სს „ნიკორა ტრეიდი“-ს ხელმძღვანელობას

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სს ნიკორა ტრეიდმა („კომპანია“) მოამზადა მმართველობის ანგარიშგება 2018 წლისათვის.

ჩვენ ჩავატარეთ კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების (ერთობლივად „ჯგუფი“) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი და 2019 წლის 31 მაისს გავეცით ჩვენი დასკვნა, სადაც გამოვხატეთ ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება არ ეხება იმ სხვა ინფორმაციას რომელიც „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად (შემდგომში „კანონი“) მოამზადა კომპანიამ და წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგებაში. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი დასკვნის გაცემის შემდეგ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მმართველობის ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული განცხადებების ნაწილი წარმოადგენს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება კომპანიისა და მთლიანი ჯგუფის გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სტრატეგიებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას. ასეთი გეგმების, მოლოდინების თუ პროგნოზების გონივრულობაზე აგრეთვე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე:

a) გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხვდენილობაზე კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
b) აუდიტის განხორციელების პროცესში კომპანიის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი;
c) შევამოწმოთ, ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“–„ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

a) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.
b) ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არესბით უზუსტობებს შეიცავს იმ შემთხვევაში, თუკი მასში ასახული ისტორიული მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით არსებით უზუსტობად მივიჩნევთ, თუკი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას განვსაზღვრეთ, რომ კომპანიას საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება აღარ შეუძლია, ან აქვს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ხოლო მმართველობის ანგარიშგებაში ეს საკითხი არ არის (ან არასაკმარისად არის) განხილული. ჩვენს მიერ ჩატარებული პორცედურების შედეგად ჩვენ არ შეგვხვედრია არსებითი უზუსტობები, რომლებზეც საჭირო იქნებოდა ჩვენს ანგარიშში მითითების გაკეთება.
c) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

ვახტანგ ცაბაძე,
მმართველი პარტნიორი
2019 წლის 26 სექტემბერი,
თბილისი

ქეთევან ღამბაშიძე
დირექტორი
რეგისტრირებული აუდიტორი

Grant Thornton

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე:

a) გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის თანხვდენილობაზე კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან;
b) აუდიტის განხორციელების პროცესში კომპანიის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი;
c) შევამოწმოთ, ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „დ“–„ვ“ ქვეპუნქტებით და მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

a) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინფორმაცია შეესაბამება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას.
b) ჩვენ განვსაზღვრეთ, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობებს შეიცავს იმ შემთხვევაში, თუკი მასში ასახული ისტორიული მონაცემები აშკარად ეწინააღმდეგება ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას. აგრეთვე, მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილ სამომავლო გეგმებთან და პროგნოზებთან დაკავშირებით არსებით უზუსტობად მივიჩნევთ, თუკი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისას განვსაზღვრეთ, რომ კომპანიას საქმიანობის უწყვეტად გაგრძელება აღარ შეუძლია, ან აქვს მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობები ამ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ხოლო მმართველობის ანგარიშგებაში ეს საკითხი არ არის (ან არასაკმარისად არის) განხილული. ჩვენს მიერ ჩატარებული პორცედურების შედეგად ჩვენ არ შეგვხვედრია არსებითი უზუსტობები, რომლებზეც საჭირო იქნებოდა ჩვენს ანგარიშში მითითების გაკეთება.
c) ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება მოიცავს კანონით განსაზღვრულ ყველა ინფორმაციას.

ვახტანგ ცაბაძე,
მმართველი პარტნიორი
2019 წლის 26 სექტემბერი,
თბილისი

ქეთევან ღამბაშიძე
დირექტორი
რეგისტრირებული აუდიტორი

სააქციო საზოგადოება ნიკორა ტრეიდი

მმართველობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული

2018 წელი

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორა ტრეიდის“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე და წარმოადგენს ჯგუფის - სს „ნიკორა ტრეიდის“ და მისი შვილობილი კომპანიების - კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიგ შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

დავით ურუშაძე	თემურ ალექსანდრია
აღმასრულებელი დირექტორი სს „ნიკორა ტრეიდი“	ფინანსური დირექტორი სს „ნიკორა ტრეიდი“

წარმომადგენლობა და დათქმა

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია სააქციო საზოგადოება „ნიკორა ტრეიდის“ მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების საფუძველზე და წარმოადგენს ჯგუფის - სს „ნიკორა ტრეიდის“ და მისი შვილობილი კომპანიების - კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებას.

განცხადებების ნაწილი, მოცემული ანგარიშგებაში, შესაძლებელია წარმოადგენდეს სამომავლო განცხადებებს, რომლებიც ეხება „კომპანიის“ გეგმებს, მოლოდინებს, პროგნოზებს, მიზნებს, სტრატეგიებს, სამომავლო მოვლენებს, სამომავლო შემოსავლებს, კაპიტალდაბანდებებს, ფინანსურ საჭიროებებს, სამომავლო ოპერაციებს, განვითარებას, ბიზნეს-სტრატეგიას და სხვა ინფორმაციას.

აღნიშნული სახის სამომავლო განცხადებები, ისევე როგორც გასული პერიოდის და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ გამოთქმული დასკვნები, რიგ შემთხვევაში ეფუძნება ჯგუფის მენეჯმენტის სუბიექტურ შეფასებას, გარკვეული დაშვებების გათვალისწინებით, განხორციელებულ ანალიტიკას დაკავშირებულს ბიზნესის ისტორიულ ტრენდთან, გარემო ეკონომიკური და სხვა ფაქტორების ტენდენციებზე დაკვირვებას, მესამე მხარეებისგან მოპოვებულ ინფორმაციას.

დავით ურუშაძე

აღმასრულებელი დირექტორი
სს „ნიკორა ტრეიდი“

თემურ ალექსანდრია

ფინანსური დირექტორი
სს „ნიკორა ტრეიდი“

შინაარსი

1 კომპანიის მიმოხილვა 4
1.1.1 სს ნიკორა ტრეიდის მოკლე მიმოხილვა 4
1.1.2 მომავალზე ორიენტირებული განცხადებები 6
1.1.3 ნიკორა ჯგუფის მიმოხილვა 7
1.2 „კომპანიის“ საოპერაციო გარემოს და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა 10
1.2.1 ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები 13
1.2.2 ძირითადი ბაზრები 14
1.2.3 საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მიმოხილვა 14
1.2.4 საკვები პროდუქტებით საცალო ვაჭრობა 17
1.2.5 ძირითადი მოთამაშეები სურსათის საცალო ბაზარზე გაყიდვების მიხედვით 18
1.3 ბიზნესი და ოპერაციები 20
1.3.1 ნიკორა ტრეიდის ქსელის ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლების მიმოხილვა 20
1.4 ფინანსური ინფორმაცია 24
1.4.1 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 26
1.4.2 სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება 28
1.4.3 კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება 30
1.4.4 ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 31
1.4.5 საბალანსო უწყისის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა 32
1.4.6 კაპიტალი 38
1.4.7 მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა 38
1.5 ფინანსური რისკების მართვა 44
1.6 „კომპანიის“ ბიზნესთან დაკავშირებული რისკები 48
1.7 მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა 59
1.8 „ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში 67
1.9 კომპანიის არსებითი ხელშეკრულებები 71
1.10 ტრანზაქციები დაკავშირებულ პირებთან “კომპანიის“ დონეზე 73
2 კორპორაციული მართვის ანგარიშგება 75
2.1 კომპანიის მმართველობის ორგანოები 75
2.2 კომპანიის სტრუქტურა და მენეჯმენტი 81
2.3 ზუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები 84
3 არაფინანსური ანგარიშგება 97
3.1 ადამიანური რესურსების მართვა 97
3.2 შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა 100
3.2.1 საზოგადოებასთან ურთიერთობა 100

1 კომპანიის მიმოხილვა

1.1.1 სს ნიკორა ტრეიდის მოკლე მიმოხილვა

სს „ნიკორა ტრეიდი“ ბაზარზე მოქმედებს „ნიკორა სუპერმარკეტის” და ლიბრეს ბრენდებით. ნიკორას ქსელი ბაზარზე 2000 წელს გამოჩნდა, წლების მანძილზე აქტიურად ვითარდებოდა და დღეს ყველაზე მრავალრიცხოვანი ქსელია საქართველოს მასშტაბით. ზრდა მოხდა როგორც ორგანული განვითარების მეშვეობით, ასევე სხვა ქსელების სხვადასხვა ფორმით შესყიდვის გზით. განვითარების პროცესში „ნიკორა ტრეიდმა“ შეიძინა „სანდეის“ ქსელი დასავლეთ საქართველოში, „ველესის“ ქსელი, ჰიპერმარკეტი „ლიბრე“ და „ნუგეშის“ სუპერმარკეტების ქსელები.

თავდაპირველად ნიკორას სუპერმარკეტების ქსელი წარმოადგენდა „ნიკორა ჯგუფში“ შემავალი კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციო ობიექტებს, შემდეგ დაიწყო ასორტიმენტის გაფართოება და კლასიკურ სუპერმარკეტების ქსელად ჩამოყალიბდა.

ამჟამად კომპანია თავის სავაჭრო ობიექტებში მომხმარებელს 10,000-ზე მეტი სახეობის პროდუქციას სთავაზობს, მათ შორის 500-ზე მეტი დასახელების პროდუქტი ნიკორას ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერაა წარმოებული.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია ფლობდა 265 სავაჭრო ობიექტს თბილისსა და დანარჩენი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

წინამდებარე დოკუმენტის შდგენის მომენტისთვის სს ნიკორა ტრეიდი ფლობს წილს 2 შვილობილ კომპანიაში: შპს ნუგეშში -100% და შპს ლაზი ჰოლდინგში - 67%. შესაბამისად ანგარიშგებები კონსოლიდირებულია. წინამდებარე ტექსტში სს ნიკორა ტრეიდი შეიძლება ასევე მოხსენიებულ იქნას როგორც „კომპანია“.

სს „ნიკორა ტრეიდი“ არის პირველი კომპანია ვაჭრობის სფეროში, რომელმაც 2016 წლის 17 მარტს, მოახდინა 5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციების წარმატებით განთავსება და ლისტინგი საქართველოს საფონდო ბირჟაზე. ობლიგაციების ვადა 2 წელი იყო, საპროცენტო განაკვეთი 11%, ხოლო კუპონის გადახდის სიხშირე - წელიწადში ორჯერ. „კომპანიამ“ წარმატებით მოახდინა მათი სრულად დაფარვა ვადის გასვლასთან ერთად 2018 წლის 19 მარტს.2018 წლის 6 აგვისტოს კომპანიამ განახორციელა ობლიგაციების ახალი ემისია, რომლის მოცულობაც 25,000,000 ლარია, ხოლო ვადა 3 წელი. თავის მხრივ აღნიშნული ემისია უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ ეს არის პირველი კორპორატიული ობლიგაცია, რომლიც დენომინირებულია ლარში და რომლის მფლობელიც ერთ-ერთი ავტორიტეტული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი გახდა. აღნიშნული ობლიგაციებიც წინა ობლიგაციების მსგავსად ჩართულია საქართველოს საფონდო ბირჟის ლისტინგში.

აღნიშნული ემისიის მიზნები იყო:

ა) ბაზრის შემდგომი ექსპანსიის დაფინანსება - კომპანია ავითარებს და მომავალშიც გეგმავს აქტიურად განავითაროს მაღაზიების ქსელი და გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

ბ) გარემოსდაცვითი მიმართულების განვითარება - მოზიდული სახსრების ნაწილი დაიხარჯა ენერგოეფექტური ტექნიკის შეძენაზე (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანია წლებია ამგვარ ტექნიკას ყიდულობს და მომწოდებლების შერჩევისას ამ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობს). აღნიშნული ეხება რამდენიმე მიმართულებას: ენერგეოფექტურია მაცივარ დანადგარების შეძენა, რომელიც ახალი თაობის ფრეონს და ნაკლებ ელექტრო ენერგიას მოიხმარს; ენერგიის დამზოგავი ლედ განათების სისტემები; ენერგიის დამზოგავი ღუმელები.

გ) მოზიდული სახსრების სავალუტო სტრუქტურის გაუმჯობესება - კომპანიამ ემისიის ნაწილით მოახდინა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების რეფინანსირება.

დ) ფინანსირების წყაროების დივერსიფიცირება - კომპანიამ საბანკო ვალდებულებების ნაწილი ჩაანაცვლა არა საბანკო ვალდებულებებით.

2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით „კომპანია“ 265 მაღაზიას ფლობს მთელი საქართველოს მასშტაბით და 10,000-მდე სახეობის პროდუქციას ყიდის. იგი წარმოადგენს ყველაზე მსხვილ სუპერმარკეტების ქსელს ქვეყანაში მაღაზიების რაოდენობის მიხედვით. „კომპანიაში“ გარდა ადგილობრივისა მომხმარებელს ასევე შესაძლებლობა აქვს შეიძინოს უცხოური წარმოების კვების პროდუქტები, ჰიგიენის საშუალებები და ყოველდღიური მოხმარების საოჯახო ნივთები.

2017 წლის ივლისში განხორციელდა „კომპანიის“ რეორგანიზაცია სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის გზით.

სს „ნიკორა ტრეიდს“ გაცხადებული/ნებადართული აქვს 10 000 000 (ათი მილიონი) ცალი ჩვეულებრივი კლასის აქცია, თითოეული ნომინალური ღირებულებით 2.18 ლარი 1 აქცია 1 ხმის უფლებით.
აქციის ფორმა განისაზღვრა როგორც არამატერიალიზირებული, აქციის რეგისტრირებულ მესაკუთრეებად მიიჩნევიან, რეგისტრატორის მიერ წარმოებულ ფასიანი ქაღალდების (აქციათა) რეესტრში და ნომინალური მფლობელების ჩანაწერებში (სუბრეესტრებში) რეგისტრირებული აქციების მესაკუთრეები.

დეტალები 2018 წლის ბოლოს მდგომარეობით გამოშვებული აქციების შესახებ მოცემულია ფინანსური ინფორმაციის თავში (ქვეთავი - კაპიტალი)

დამატებითი ინფორმაცია აქციების შესახებ იხილეთ ნიკორა ტრეიდის ემისიის პროსპექტში(11 ოქტომბერი,2017 წელი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშგებო პერიოდში კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენას ადგილი არ ჰქონია.

2018 წლის 30 მარტს კომპანიამ პირველად მიიღო "B+" საკრედიტო რეიტინგი ევროპული საკრედიტო სააგენტო Scope Ratings GmbH-სგან, ხოლო არა-სუბორდინირებული არა-უზრუნველყოფილი სესხების/ობლიგაციების რეიტინგი არის „BB-"/სტაბილური პერსპექტივით.

1.1.2 მომავალზე ორიენტირებული განცხადებები

დღეისთვის „კომპანია" წარმოადგენს დარგის ლიდერს სავაჭრო ობიექტების რაოდენობის და გეოგრაფიული განშლის მიხედვით. კომპანია გეგმავს, რომ ძირითადი რესურსები მოახმაროს სავაჭრო ქსელის განვითარებას. იგეგმება სავაჭრო ობიექტების კონცენტრაციის გაზრდა როგორც ათვისებულ ლოკაციებში, ასევე ისეთ ადგილებში სადაც ქსელი ნაკლებადაა წარმოდგენილი. შესაბამისად „კომპანიას" მიეცემა საშუალება სწრაფი ტემპებით შექმნას გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მყარი საფუძველი, გაიმყაროს დარგის ლიდერის პოზიციები, გაზარდოს ბაზრის წილი და გახდეს უფრო ეფექტური. ახალი მაღაზიების გახსნით „კომპანია" მოელის გაყიდვების ზრდას როგორც ბაზრის ზრდასთან ერთად აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების ბაზრის წილის დაკავებით. ინდივიდუალური სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით „კომპანიას" თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე შეუძლია უკეთესი პირობები და ფასები მიიღოს მომწოდებლებისგან და შედეგად უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს.

ზემოთ მოცემული გეგმის ფარგლებში 2019 წელს (აგვისტოს მდგომარეობით) კომპაიამ უკვე გახსნა 30 ახალი სავაჭრო ობიექტი, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში.

გარდა ამისა კომპანია გეგმავს რიგი მიმართულებების განვითარებას:

1. ლოგისტიკა - ამ ეტაპზე კომპანია ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ქართული იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. მთლიანი შესყიდვის დაახლოებით 30% ხდება ცენტრალიზებულად. პროდუქციის ძირითადი ნაწილის დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. კომპანია გეგმავს ამ მაჩვენებლის გაზრდას და მომავალში ცენტრალიზებული წესით მეტი პროდუქციის შესყიდვას, რაც კომპანიას მისცემს კომერციული პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობას.
2. საკუთარი სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქციის განვითარება (private lable) - აღნიშნული უნიკალურობას შესძენს კომპანიის ასორტიმენტს და დაეხმარება მომხმარებლისთვის საუკეთესო შეთავაზების ფორმირებაში. ასევე იძლევა ფასების ოპტიმიზაციის საშუალებას, გამომდინარე იქიდან რომ ასეთ შემთხვევებში შეკვეთა ხდება დიდ პარტიებად, კომპანიას საშუალება აქვს შეინარჩუნოს სტაბილური ფასები. ამ ეტაპზე კომპანიის სავაჭრო ნიშნით გამოშვებული პროდუქტები, რომელიც „N1"-ის ბრენდის გამოდის, ბაზარზე პოზიციონირებულია, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო

ფასის მქონე, რაც ზრდის მომხმარებლებისთვის ასორტიმენტის ამ ნაწილის ხელმისაწვდომობას, კომპანიას კი საშუალებას აძლევს მეტი მომხმარებელი მოიზიდოს. ასევე კარგი მექანიზმია მომწოდებლებისგან პროდუქციის მოწოდებაში წყვეტის პრევენციისთვის. ამ ფაქტორთა ერთობლიობა ზრდის კომპანიის ეფექტურობას და აუმჯობესებს კომერციულ პირობებს.

3. ასორტიმენტის გაუმჯობესების და მომხმარებლებისთვის შეთავაზების სრულყოფის მიზნით იგეგმება გარკვეული კატეგორიის საქონლის იმპორტი. უპირველეს ყოვლისა აქცენტი კეთდება ჯანსაღი კვების პროდუქტებზე. იმპორტი ძირითადად ხდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, ვინაიდან კომპანიას მაღალი მოთხოვნები აქვს პროდუქციის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაზე. რადგანაც კომპანიისთვის უპირველესი პრიორიტეტი მომხარებლის ინტერესებია, ამ კომპონენტის (პროდუქციის იმპორტი) დაგეგმვა ხდება იმ აუცილებელი პირობის გათვალისწინებით, რომ მომხმარებლისთვის ფასი იყოს მაქსიმალურად მისაღები.
4. დისქაუნთერი (discounter store) - ამ კონცეფციის მაღაზიები ახალი მიმართულებაა კომპანიისთვის, რომლის აქტიური განვითარებაც იგეგმება. მსგავსი ტიპის მაღაზიებში სერვისის ნაცვლად აქცენტი კეთდება მაქსიმალურად დაბალ ფასებზე და საოპერაციო ხარჯების ოპტიმიზაციაზე. ხოლო ასორტიმენტის პოლიტიკის ქვაკუთხედი ხდება განსხვავებული, ხელმისაწვდომობაზე ორიენტირებული და მოთხოვნადი ასორტიმენტის შეთავაზება. ამ ფორმატის მაღაზიები კომპანიას ბაზრის ახალ სეგმენტებზე გასვლის საშუალებას მისცემს.
5. არასაკვები პროდუქტების კატეგორია (non food) (საყოფაცხოვრებო ქიმია, ჰიგიენის საშუალებები საოჯახო და საყოფაცხოვრები ნივთები და ა.შ.) - ამ ეტაპისთვისთვის კომპანიაში ეს მიმართულება შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი, მაგრამ მომხმარებლებისგან გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ასორტიმენტის სრულყოფისთვის იგეგმება ამ მიმართულების აქტიური განვითარება.

სს „ნიკორა ტრეიდი“ არის ნიკორა ჰოლდინგის („ნიკორა ჯგუფი“) წევრი.

1.1.3 ნიკორა ჯგუფის[1] მიმოხილვა

ჯგუფის სტრუქტურა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობთ:

[1] სს ნიკორა ტრეიდის მთავარი აქციონერია სს ნიკორა, „ნიკორა ჯგუფში“ იგულისხმება კომპანიები სადაც სს ნიკორას გააჩნია წილობრივი მონაწილეობა.



სრულად კონსოლიდირებული და ვერტიკალურად ინტეგრირებული შვილობილები წარმოადგენენ საოპერაციო ერთეულებს, რომლებიც კონცენტრირებას აკეთებენ ბიზნესის კონკრეტულ მიმართულებაზე. ვერტიკალური ინტეგრაცია საშუალებას აძლევს „ნიკორა ჯგუფს“ თითოეულ ერთეულში მიაღწიოს რესურსების გამოყენების მაქსიმალურ ეფექტურობას. ამავდროულად, „კომპანია“ დამატებით სარგებელს ღებულობს საკუთარ ქსელში შვილობილების პროდუქციის გაყიდვის გზით.

„ნიკორა ჯგუფის“ ბიზნესი პირობითად ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს: ა) კვების პროდუქტების წარმოება, რომელიც მოიცავს ხორცის, ზღვის პროდუქტების, რძის პროდუქტების, გამომცხვარი პროდუქციის, სალათების და ღვინის წარმოებას; საკვების წარმოებაში მონაწილეობენ ნიკორა, ნიკორა 7, მზარეული 1, ჩვენი ფერმერი, კულინარი, ვაკიჯვრის კალმახი, ოკეანე და ნაფარეულის ძველი მარანი; ბ) საცალო ვაჭრობა, რომელიც ხორციელდება ნიკორა ტრეიდის მეშვეობით; გ) დისტრიბუცია, რომელსაც ახორციელებენ

პარტნიორი, ნიკორა კახეთი და ნიკორა 7; დ) სასმელების და საწარმოო ნედლეულის იმპორტი, რასაც ინტრეიდი და მულტიტრეიდი ახორციელებენ.

შპს „ნიკორა“ – კომპანია აწარმოებს სხვადასხვა დასახელების სოსისსა და სარდელს, მოხარშულ და შებოლილ ძეხვეულს, მრავალი სახეობის შაშხს, დელიკატესს, შებოლილ ქათამსა და ნეკნებს, ასევე აწარმოებს ნახევარფაბრიკატებს. დღესდღეობით კომპანია აწარმოებს 50 სახეობის გაყინულ პროდუქტს. ბრენდის ასორტიმენტი მოიცავს როგორც ტრადიციულ ქართულ, ასევე კარგად ცნობილ ევროპისა და სხვა ქვეყნების კერძებს.

შპს „ნიკორა 7“ - შპს ნიკორას მსგავსად წარმოადგენს ხორცპროდუქტების და ნახევარფაბრიკატების საწარმოს დასავლეთ საქართველოში.

შპს „ინტრეიდი“ –

დაკავებულია უცხოეთიდან იმპორტირებული საქონლით და „ნიკორა ჯგუფის“ არაწევრი ადგილობრივი მწარმოებლების მიერ წარმოებული პროდუქციით და ახორციელებს მათ დისტრიბუციას ძირითადად გარეშე (მესამე პირთა) სავაჭრო წერტილებში.

შპს „მულტი ტრეიდი“ – კომპანია ახორციელებს ნედლეულის იმპორტს ხორცპროდუქტების წარმოებისთვის, როგორც გარე ბაზარზე გასაყიდად, ასევე შპს „ნიკორასთვის“ და შპს „ნიკორა 7“-თვის.

შპს „მზარეული 1“ - პურ-ფუნთუშეულის და ნამცხვრების წარმოება. საწარმოში დამონტაჟებულია თანამედროვე დანადგარები, რაც პროდუქციის ევროპული სტანდარტების სრული დაცვით წარმოებას უზრუნველყოფს.

შპს „ჩვენი ფერმერი“ - კომპანია რამდენიმე სახის რძის პროდუქტს, კარაქს, ყველს და ნაყინს აწარმოებს. რძის პროდუქტები ბაზარზე “დღის პროდუქტის“ სავაჭრო ნიშნით გამოდის, ხოლო ნაყინი „პალომა“-ს სახელით.

შპს „კულინარი“ – აწარმოებს სალათებს და სხვადასხვა მზა საკვებს, რომლებიც იყიდება „ნიკორა ტრეიდის“ სუპერმარკეტის ქსელში.

შპს „ვაკიჯვრის კალმახი“ (ყოფილი „აგია“) – არის საკალმახე მეურნეობა, წელიწადში 300 ტონა თევზის საწარმოო მოცულობით, და აგრეთვე აწარმოებს კალმახის ხიზილალას „ოკეანის“ საფირმო სახელწოდებით.

შპს „ოკეანე“ – „ოკეანე“ აწარმოებს ზღვის პროდუქტებს. კომპანია წარმოებისას იყენებს როგორც ჰოლდინგში შემავალი კომპანიის საკალმახე მეურნეობიდან მიღებულ ნედლეულს, ასევე ახორციელებს იმპორტს ნორვეგიიდან, სადაც საუკეთესო კატეგორიის თევზი ბინადრობს. ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების გარდა, კომპანია ასევე ახორციელებს ზღვის პროდუქტების და დელიკატესების იმპორტს. „ოკეანე“ ყიდის ცოცხალ, შეცივებულ, გაყინულ, მარილში გამოყვანილ, ნახევრად შებოლილ, დამარილებულ თევზეულს, ასევე თევზის სალათებს, პრესერვებს, კონსერვებს, ხიზილალას და ზღვის სხვა პროდუქტებს.

შპს „ნაფარეულის ძველი მარანი“ - აწარმოებს „ტევანის” სახელწოდების სამი სახეობის მშრალ ღვინოს ("კახური", “ევროპული” და "კახური მწვანე" - რომელიც დამზადებულია რქაწითელისა და კახური მწვანეს ყურძნის ჯიშებისგან) და ორი სახეობის წითელ ღვინოს ("საფერავი" და "კაბერნე").

შპს „პარტნიორი“ - ახდენს ჰოლდინგური ჯგუფის კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას გარე ქსელში.

შპს „ნიკორა კახეთი“ - ახდენს ჰოლდინგური ჯგუფის კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქციის დისტრიბუციას გარე ქსელში კახეთის ტერიტორიაზე.

შპს „ნიკორა ბაკურიანი“ - ბაკურიანში მდებარე უძრავი ქონების მენეჯმენტი. შპს „მილა საქართველო“ - სხვადასხვა დასახელების პროდუქციის იმპორტი.

2017 წლის მონაცემების თანახმად, „ნიკორა ჯგუფის“ კონსოლიდირებული აქტივები 194 მილიონ ლარს შეადგენდა საიდანაც სს „ნიკორა ტრეიდი“ 99 მილიონ ლარს წარმოადგენს, ხოლო შპს „ნიკორა“ 16 მილიონ ლარს. ხოლო კონსოლიდირებულმა შემოსავალმა 2017 წელს 336 მილიონ ლარს გადააჭარბა.

ქვეოთ მოცემულ სურათზე წარმოდგენილია ჯგუფში შემავალი კომპანიების შემოსავლების განაწილება (კომპანიათაშორის ტრანზაქციების ელიმინაციამდე):



1.2 „კომპანიის“ საოპერაციო გარემოს და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა





ბოლო პერიოდის ეკონომიკური განვითარებები

მთავრობის ინიცირებული საგადასახადო რეფორმა ძალაში 2017 წლის 1 იანვარს შევიდა. რეფორმის ფარგლებში ქვეყნის საგადასახადო სტრუქტურა უახლოვდება ე.წ. „ესტონურ მოდელს“, რომლის ფარგლებშიც კომპანიების მოგება მხოლოდ დივიდენდების სახით განაწილებისას დაიბეგრება. მოსალოდნელია, რომ რეფორმა შეამსუბუქებს საგადასახადო წნეხს, წაახალისებს ინვესტიციებს და გაამარტივებს საგადასახადო შესაბამისობას.

საქსტატის წინასწარი ინფორმაციით მშპ-ს რეალური ზრდა 2018 წლის მარტში 5.6% იყო, ხოლო 2018 წლის I კვარტალში მშპ-ს საშუალო ზრდა 5.2% იყო.

საქსტატის მონაცემებით, 2018 წლის I კვარტალში საქონლის ექსპორტი 28.4%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით. ევროკავშირში ექსპორტი 31.4%-ით გაიზარდა, დსთ-ს ქვეყნებში ექსპორტი 48.0%-ით, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში - 7.3%-ით. ამავე პერიოდში საქონლის იმპორტი 21.6%-ით გაიზარდა, რაც გაუმჯობესებულ მოხმარებაზე მეტყველებს.

შემოსავლები ტურიზმიდან კვლავ გაიზარდა 2018 წლის I კვარტალში და 29.2%-იან წლიურ ზრდას მიაღწია. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემები, ევროკავშირიდან ტურისტების მოცულობა 28.7%-ით გაუმჯობესდა, დსთ-დან - 8.5%-თ, ხოლო სხვა ქვეყნებიდან 31.8%-ით.

2018 წლის I კვარტალში ასევე გაუმჯობესდა ფულადი გზავნილების მოცულობები. სებ-ის ინფორმაციით ევროკავშირიდან გზავნილები 35.4%-ით გაიზარდა, დსთ-დან გზავნილები 8.8%-ით, ხოლო სხვა ქვეყნებიდან - 26.1%-ით. 2018 წლის I კვარტალში ევროკავშირიდან ფულადმა გზავნილებმა მოცულობით გადააჭარბეს დსთ-დან გზავნილებს.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 2017 წელს მშპ-ს 8.7%-მდე შემცირდა (2016 წელს მშპ-ს 12.8%). ბალანსის გაუმჯობესება გამოიწვია საქონლით ვაჭრობამ (+4.0%) და მიმდინარე ტრანსფერებმა (+0.6%), ხოლო უარყოფითი გავლენა იქონია შემოსავლის ანგარიშმა (-0.4%).

IMF-ის 2018 წლის აპრილის პროგნოზის მიხედვით საქართველოს ეკონომიკა 2018 წელს 4.5%-ით გაიზრდება.

2018 წლის 1 მაისს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის (რეფინანსირების) განაკვეთი უცვლელად დატოვა 7.25%-ის ნიშნულზე. სებ-ის მოლოდინით 2018 წელს ინფლაცია მიუახლოვდება სამიზნე მაჩვენებელს - 3%-ს.

1.2.1 ძირითადი დემოგრაფიული მონაცემები

საქსტატის მონაცემების მიხედვით, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქვეყნის მოსახლეობამ 3,723 ათასი ადამიანი შეადგინა, რაც 0.2%-ით ნაკლებია წინა წლის მონაცემებთან შედარებით. თბილისში 1,171 ათასი ადამიანი ცხოვრობს, რაც მთლიანი მოსახლეობის 31.5%-ს შეადგენს. ქვეყნის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ქალაქებში ცხოვრობს. შემდგომი ცხრილი აჩვენებს მოსახლეობის რაოდენობას რეგიონების მიხედვით:

(ათასებში)	2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	
თბილისი	1,171.1	31.5%
იმერეთი	497.4	13.4%

ქვემო ქართლი	433.2	11.6%
აჭარის არ	349.0	9.4%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	316.2	8.5%
კახეთი	312.5	8.4%
შიდა ქართლი	257.3	6.9%
სამცხე-ჯავახეთი	154.1	4.1%
გურია	109.4	2.9%
მცხეთა-მთიანეთი	93.6	2.5%
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	29.7	0.8%
სულ:	**3,723.5**	**100%**

წყარო: საქსტატი

1.2.2 ძირითადი ბაზრები

სს "ნიკორა ტრეიდი" ჩართულია ორგანიზებული საცალო ვაჭრობის საქმიანობაში.

დღეის მდგომარეობით ორგანიზებული საცალო სასურსათო ვაჭრობის წილი მთლიან საცალო სასურსათო ვაჭრობაში დაახლოებით 30%-ს შეადგენს და ზრდის ტენდენციით ხასიათდება, აღნიშნული მიუთითებს ორგანიზებული ქსელების ზრდის მაღალ პოტენციალზე. ნიკორა ტრეიდი ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურად იკავებს ორგანიზებული საცალო სასურსათო ბაზრის ლიდერის პოზიციას.

1.2.3 საცალო ვაჭრობის ინდუსტრიის მიმოხილვა[2]

საცალო ვაჭრობის დონემ (საცალო ვაჭრობის დარგის ბრუნვის მოცულობამ) საქართველოში (ავტომობილების და მოტოციკლეტების გარდა) 2018 წელს შეადგინა ₾14.1 მილიარდი, რაც

[2]პარაგრაფი მომზადებულია „საქსტატის" მონაცემების გამოყენებით და განიხილავს საცალო ვაჭრობის დარგის ბრუნვის მოცულობას

18.3%-ით უფრო მეტია 2017 წლის მაჩვენებელზე, რომელმაც ₾11.9 მილიარდი შეადგინა. 2006 წელს გაყიდვებმა ₾1.9 მილიარდი შეადგინა და 2018 წლამდე ყოველწლიურად საშუალოდ 18.2%-ით იზრდებოდა.



წყარო: საქსტატი, საბითუმო და საცალო ვაჭრობით, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტით დაკავებული საწარმოების ბრუნვის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების და პერიოდის მიხედვით

2018 წელს საცალო ვაჭრობის წილმა საქართველოს „მშპ“-ში ₾3.2 მილიარდი (მშპ-ს 7.7%) შეადგინა. მთლიან ეკონომიკაში ვაჭრობის წილი სტაბილურად ნარჩუნდება და 2009 წლიდან მოყოლებული 7.1%-სა და 8.0%-ს შორის მერყეობს საქსტატის 45 საქმიანობის სახის მიხედვით ჩაშლილი მიმდინარე ფასებში გაზომილი მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემების მიხედვით. ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ მომავალში ვაჭრობის მოცულობის ზრდა ახლო კავშირში იქნება მთლიანი ეკონომიკის ზრდასთან.

საცალო ვაჭრობა ქართული ეკონომიკის ერთ-ერთ უდიდეს სეგმენტს წარმოადგენს და 2009-2018 წლების პერიოდში მისი ნომინალური მოცულობა წლიურად 10.5%-ით იზრდებოდა.



წყარო: საქსტატი, მთლიანი შიდა პროდუქტი, 45 საქმიანობის სახის მიხედვით, მიმდინარე ფასებში

ბოლო ათწლეულის მანძილზე საცალო ვაჭრობის სექტორის ზრდა გამოწვეული იყო საშუალო ხელფასების ზრდით. 2006-2017 წლებში საშუალო ხელფასი თითქმის გაოთხმაგდა ₾277.9-დან (2006) ₾999-მდე (2016); თუმცა, ხელფასების და ხარჯვის დონე კვლავ დაბალია საერთაშორისო დონესთან შედარებით.

საერთაშორისო პერსპექტივა

„A.T. Kearney“-ის 2015 წლის „Global Retail Development Index“-ის (GRDI) მიხედვით, საქართველო დასახელდა როგორც რეგიონში ყველაზე მიმზიდველი საინვესტიციო დანიშნულება საცალო ვაჭრობის სფეროში მოქმედი საერთაშორისო მოთამაშეებისათვის. ანგარიშში გამოყენებული საცალო ვაჭრობის სფეროს ინვესტიციების მიხედვით საქართველო რეგიონში პირველ ადგილზე იყო განთავსებული, ხოლო 30 განვითარებად ქვეყანას შორის მე-6 ადგილზე. ანგარიშმა ხაზი გაუსვა საქართველოს გაუჯერებელ საცალო გარემოს, როგორც ძალიან მიმზიდველ საინვესტიციო შესაძლებლობას. ანგარიშში ყურადღება გამახვილდა ასევე ქვეყნის სტაბილურ „მშპ“-ზე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ერთ სულ მოსახლეზე მზარდ ხარჯვასა და დაბალი შეღწევადობის დონის მქონე საცალო ბაზარზე.

ანგარიშის თანახმად, 2013 წლის შემდეგ სავაჭრო ცენტრების ფართი 30%-ით გაიზარდა და 2015 წლისათვის ინვესტორთათვის ხელმისაწვდომი იყო $8.4 მილიარდის ღირებულების გამოუყენებელი სავაჭრო ფართი. საერთო ინდექსში, საცალო ვაჭრობის სფეროში ინვესტიციების დონით, საქართველო მე-6 ადგილზე გავიდა, ხოლო სომხეთი და ყაზახეთი - მე-10 და მე-13 ადგილებზე. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ბოლოდროინდელი ზრდის მიუხედავად, ხარისხიანი თანამედროვე სავაჭრო ფართი კვლავ დეფიციტურია.

1.2.4 საკვები პროდუქტებით საცალო ვაჭრობა[3]

საკვები და არა-ალკოჰოლური სასმელები სამომხმარებლო კალათის 31%-ს შეადგენს. სხვა განვითარებადი ქვეყნების მსგავსად, საკვებს და სასმელს მაღალი წილი უკავია მოხმარების მოცულობაში, რადგან ადამიანები ნაკლებს ხარჯავენ გართობასა და დასვენებაზე.

2001 წლის შემდეგ საქართველოში დაიწყო საცალო ვაჭრობის ქსელების კონსოლიდაციის პროცესი და დამოუკიდებელი „მინი-მარკეტები“ ორგანიზებულმა ქსელებმა ჩაანაცვლეს. უმეტეს შემთხვევაში ქსელებს აქვთ საშუალება შესთავაზონ მომხმარებელს უკეთესი ფასი, მიმზიდველი ლოიალურობის პროგრამები, თანმიმდევრული ხარისხი და თანამედროვე სავაჭრო გარემო, რაც მათ საშუალებას აძლევს მოიზიდონ და შეინარჩუნონ მომხმარებელი.

ტრადიციულად, საქართველოში საკვებით საცალო ვაჭრობა ხდება შემდეგი საშუალებებით: დიდი სავაჭრო ცენტრები - სავაჭრო ადგილები სამი ან მეტი სალაროთი, სადაც მომხმარებელ ითავად იღებს და აგროვებს ნაწარმს; მცირე მაღაზიები - მაღაზიები ორი ან ნაკლები სალაროთი, ხშირად დახლს-ზემოთ მომსახურებით; კიოსკები - ტროტუარზე განლაგებული მცირე ზომის ჯიხურები, რომლებშიც შესვლაც მომხმარებელს არ შეუძლია და რომლებიც ყიდიან ჩვეულებრივი მოხმარების საჭმელს და სასმელს; ქუჩის გამყიდველები - გარე-მოვაჭრეები პროდუქციის ძალიან მცირე ასორტიმენტით; ღია ბაზრები - საცალო მომხმარებელზე ორიენტირებული ინდივიდუალური დახლების გაერთიანება.

მომხმარებლის გემოვნების განვითარებასთან ერთად საჭირო გახდა ახალი სავაჭრო სივრცის კონცეფციების დანერგვა, რის შედეგადაც გაიხსნა პირველი ჰიპერმარკეტები და თვითმომსახურების საცალო მაღაზიები. პირველი მოთამაშეები იყვნენ „გუდვილი“ და „პოპული“ (დრეს SPAR), თუმცა მათ მალევე სხვა კომპანიებიც დაემატნენ. მსგავსი მაღაზიები ხელმისაწვდომ ადგილებში არიან განთავსებულნი და მომხმარებელს სავაჭრო სივრცის გარდა ასევე სთავაზობენ საკვებ პუნქტებს, საცხობებს და სხვა მომსახურებას. სუპერმარკეტების

[3]პარაგრაფში გამოყენებულია მენეჯმენტის სავარაუდო მონაცემები

რამდენიმე ქსელი გაფართოვდა ქალაქის ცენტრსა და საცხოვრებელ უბნებში. ცენტრალური ადგილმდებარეობა, თანამედროვე დიზაინი, პროდუქციის ფართო არჩევანი (რაც ხშირად მოიცავდა მაღაზიის შიგნით გახსნილ სასადილოს და საცხობს) მოითხოვდა ჩვეულებრივ მაღაზიებთან შედარებით უფრო დიდ ინვესტიციებს კაპიტალსა და სამუშაო ძალაში. შედეგად, სუპერმარკეტები უფრო მაღალ ფასად ყიდნენ პროდუქციას და შედეგად უფრო შეძლებულ მოსახლეობაზე ახდენდნენ ორიენტირებას.

1.2.5 ძირითადი მოთამაშეები სურსათის საცალო ბაზარზე გაყიდვების მიხედვით[4]

„კომპანიის“ მონაცემებით 2018 წელს, სს „ნიკორა ტრეიდი“ საცალო ვაჭრობის ბაზარზე გაყიდვების მოცულობით მეორე ადგილზე იყო და მხოლოდ კარფურს ჩამორჩება.



წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

ბაზარზე ძირითადი მოთამაშეები შემდეგი კომპანიებია:

კარფური - წარმოადგენს ფრანგულ საერთაშორისო ბრენდს, რომელსაც საქართველოში Majid Al Futtaim Group-ი ოპერირებს. კარფურის პირველი ჰიპერმარკეტი 2012 წელს გაიხსნა

[4]პარაგრაფში გამოყენებულია მენეჯმენტის და თიბისი ბანკის სავარაუდო მონაცემები

საქართველოში და ამჟამად ოპერირებს 11 ლოკაციას თბილისში და ერთს დედაქალაქის გარეთ. კარფური ყიდის როგორც ზოგად პროდუქციას, ასევე კერძო ლეიბლებს.

ორი ნაბიჯი - 2009 წელს დაარსებული ადგილობრივი ბრენდი, რომელსაც 2017 წლის ბოლოსთვის 100 მაღაზია ჰქონდა თბილისში და 11 თბილისის გარეთ. ორი ნაბიჯი უბნის მაღაზიების სტრატეგიით ვითარდება და მისი მფლობელები ადგილობრივი მეწარმეები არიან.

SPAR (ფუდმარტი) - სუპერმარკეტების ქსელი ფუდმარტი 2013 წლიდან არსებობს, როდესაც მან ორი არსებული საცალო ქსელი (პოპული და იოლი) შეიძინა. 2014 წელს ფუდმარტმა მოახდინა საერთაშორისო ბრენდი SPAR-ის ფრანჩაიზის მიღება და 2017 წლის ბოლოსთვის თავისი ქსელი 63 მაღაზიამდე გაზარდა.

გუდვილი - არის პირველი ქართული ჰიპერმარკეტების ქსელი და ოპერირებს ოთხ მაღაზიას თბილისში და ოთხ მაღაზიას დანარჩენ რეგიონებში. მაღაზიები ყიდიან კერძო ლეიბლის პროდუქციას და გააჩნიათ მზა საკვების მიტანის მომსახურებაც.

მაგნიტი - წარმოადგენს ადგილობრივ ბრენდს, რომელიც ფოკუსირებულია საქართველოს რეგიონებში გაფართოვებაზე. კომპანია 2015 წელს შეიქმნა და 2017 წლის ბოლოსთვის 22 ობიექტი გააჩნდა. მისი სტრატეგიაა გაფართოვდეს რეგიონებში არა-ორგანიზებული ვაჭრობის ჩანაცვლების და მოგების რეინვესტირების გზით.

ევროპროდუქტი - ადგილობრივი ბრენდია, რომელიც 2004 წლიდან არსებობს და საქმიანობა იმპორტიორად დაიწყო. ამჟამად კომპანია 12 მაღაზიას ფლობს თბილისში და გეგმავს ქვეყნის მასშტაბით გაფართოვებას.

1.3 ბიზნესი და ოპერაციები

ბოლო ათი წლის განმავლობაში ეკონომიკის სწრაფი ზრდა ხელს უწყობდა მოხმარების დონის ზრდას ქვეყანაში. მომხმარებლები საცალო ვაჭრობის უფრო მაღალ ხარისხს მოითხოვდნენ და შედეგად გაჩნდა ინდუსტრიის კონსოლიდაციის საჭიროება. აქციონერთა მხარდაჭერით, მენეჯმენტმა გადაწყვიტა გამოეყენებინა ეს შესაძლებლობა. მაღაზიების ქსელი აგრესიულად გაიზარდა როგორც ორგანული ზრდის, ასევე შესყიდვების მეშვეობით.

2010 წელს სს ,,ნიკორამ“ გაამაგრა თავისი პოზიციები სუპერმარკეტების ქსელი „მასივის“ შეძენით და დაიწყო მაღაზიათა გადაიარაღება. სუპერმარკეტების ქსელი „მასივი“ ეკუთვნოდა შპს ,,მასივს“, რომელიც დღეს, სახელწოდების და სამართლებრივი ფორმის ცვლილების შემდეგ არის სს ,,ნიკორა ტრეიდი“.

სს ,,ნიკორა ტრეიდი“ (ყოფილი შპს ,,მასივი“), ფიზიკური პირების მიერ დაფუძნდა 2006 წელს, შპს ,,მასივის“ სახელწოდებით და ოპერირებდა საცალო ვაჭრობის სფეროში. 2010 წელს სს „ნიკორამ“ შეიძინა შპს „მასივის“ 100%-იანი წილი, რის შემდეგაც კომპანიის სახელწოდება შეიცვალა და გახდა შპს ,,ნიკორა ტრეიდი“.

2010 წლიდან სს „ნიკორას“ მფლობელობაში არსებული სუპერმარკეტები გადავიდა სს „ნიკორა ტრეიდის“ მფლობელობაში, მოხდა სავაჭრო ქსელის გაერთიანება და მას შემდეგ კომპანია ერთიანი ქსელის სახით განაგრძობს ოპერირებას.

2011 წლისთვის „ნიკორა ტრეიდი“ ფლობდა 70 თანამედროვე მაღაზიას, რომლებიც მომხმარებელს მაღალი ხარისხის სავაჭრო მომსახურებას სთავაზობდნენ. ამ დროისთვის „ნიკორა“ თავს იმკვიდრებდა როგორც ინდუსტრიის ლიდერი.

2015 წლის აგვისტოში, „ნიკორა ტრეიდი“- ს მიერ „ნუგეშის“ ქსელის შეძენის შემდეგ, „კომპანია“ ქვეყნის უმსხვილესი სუპერმარკეტების ქსელი გახდა და ამჟამად 3,000-ზე მეტი თანამშრომელი ჰყავს და ორგანიზებული საცალო ქსელის ბაზრის 19% უკავია.

1.3.1 ნიკორა ტრეიდის ქსელის ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლების მიმოხილვა



2014 წელს „ნიკორა ტრეიდმა“ სუპერმარკეტების ქსელები „სანდეი“ და „კი ბატონო“ შეიძინა.

2015 წელს - „ლიბრეს“ და „ნუგეშის“ შესყიდვა განხორციელდა. „ლიბრეს“ შეძენით „კომპანია“ ჰიპერმარკეტების ბაზარზე შევიდა. ქსელების ინტეგრაციასთან ერთად, „ნიკორა ტრეიდი“ ლიდერი გახდა 8 წამყვან საცალო ქსელს შორის.

„ნიკორა ტრეიდის“ მიერ მაღაზიათა რაოდენობის ზრდა საკმაოდ შთამბეჭდავი იყო. 2008 წელს კომპანიას 58 სუპერმარკეტი ჰქონდა, ორი წლის შემდეგ - 72, ხოლო 2012 წლისთვის - 85. გაფართოებასთან ერთად, 2014 წელს მაღაზიათა რაოდენობამ 110-ს მიაღწია ხოლო უკვე 2018 წელს 212 შეადგინა (ჯიხურების გარეშე).

2017 წლის მდგომარეობით, „ნიკორა ტრეიდი“ სხვადასხვა ფორმატის 265 სავაჭრო ობიექტს მოიცავს, რომელთა ზომა მცირე კიოსკებიდან 1600 კვ.მ.-მდე მერყეობს და ქვეყნის მთელ ტერიტორიას ფარავს, თუმცა მაღაზიათა დიდი ნაწილი თბილისშია განლაგებული, სადაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის 30% ცხოვრობს.

სს ნიკორა ტრეიდის მაღაზიების (ჯიხურების გარეშე) რაოდენობა ფართების მიხედვით:

მაღაზიების რაოდენობა ფართების მიხედვით (ჯიხურების გარეშე):



წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

საშუალო გაყიდვების მოცულობა ერთ კვადრატულ მეტრზე (2015-2018, დღგ-ს გარეშე)



წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

„კომპანიის“ სავაჭრო ფართ 2015-2017 წლებში (კვადრატულ მეტრებში):

	2015	2016	2017	2018
სავაჭრო ფართი (კვ.მ)	19,425	20,303	23,757	36,625

წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

ამ ეტაპზე კომპანია ძირითად შესყიდვებს ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე. მისი მომწოდებლები არიან, როგორც ადგილობრივი მწარმოებლები, ქართული იმპორტიორი და სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიები. მთლიანი შესყიდვის დაახლოებით 30% ხდება ცენტრალიზებულად. პროდუქციის ძირითადი ნაწილის

დისტრიბუციას სავაჭრო ობიექტებში თვითონ მომწოდებლები ახდენენ. კომპანია ფლობს ძირითად (თბილისი) და რეგიონულ (დასავლეთ საქართველო, კახეთის რეგიონი) საწყობებს, ასევე სადისტრიბუციო მანქანებს, რომლითაც უზრუნველყოფს ცენტრალიზებული წესით შესყიდული საქონლის დისტრიბუციას. პროდუქციის გასაყიდი ფასი ფორმირდება დაგეგმილი მიზნობრივი მაჩვენებლების და კონკურენტული გარემოს გათვალისწინებით.

„კომპანიას“ 100-მდე სადისტრიბუციო ავტომობილი გააჩნია, რომელთა მეშვეობით იგი მუდმივად ახდენს მაღაზიებში საქონლის შევსებას რათა არ მოხდეს გაყიდვების შეფერხება.

წყარო: „კომპანიის“ შიდა მონაცემები

მსხვილი შესყიდვების დროს „კომპანია“ ცდილობს მომწოდებლების დიდი დიაპაზონისგან მიიღოს საუკეთესო ფასები და ხარისხი. „კომპანია“ შესყიდვების პროცესის დროს უზრუნველყოფს რომ შეიქმნას კონკურენტული გარემო პოტენციურ კონტრაქტორებს შორის რათა „კომპანიამ“ საუკეთესო საბაზრო ფასს მიაღწიოს.

მომავალ წლებში „კომპანია“ გეგმავს ახალი მაღაზიების გახსნის გზით განვითარებას. ახალი მაღაზიების გახსნით „კომპანია“ მოელის გაყიდვების ზრდას როგორც ბაზრის ზრდასთან ერთად აგრეთვე დამოუკიდებელი სავაჭრო ობიექტების ბაზრის წილის დაკავებით. ინდივიდუალური სავაჭრო ობიექტებისგან განსხვავებით „კომპანიას“ თავისი მასშტაბებიდან გამომდინარე შეუძლია უკეთესი პირობები და ფასები მიიღოს მომწოდებლებისგან და შედეგად უკეთესი პირობები შესთავაზოს მომხმარებელს.

აღნიშნული გეგმის ფარგლებში კომპანიამ მიმდინარე წელს უკვე გახსნა 46 ახალი სავაჭრო ობიექტი (აგვისტოს მდგომარეობით), როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. გარდა ამისა 2019 წლის ბოლომდე კომპანია გეგმავს დამატებით 120-მდე სავაჭრო ობიექტის გახსნას.

„კომპანიის“ არსებობის განმავლობაში ადგილი არ ჰქონია „კომპანიის“ ან მისი შვილობილების გადახდისუუნარობის ან ოპერაციების შეჩერების, ასევე გაკოტრების შემთხვევების.

1.4 ფინანსური ინფორმაცია

სს „ნიკორა ტრეიდის“ 2013 და 2014 წლების ანგარიშგება აუდირებული იყო „PKF საქართველოს“ მიერ, ხოლო 2015, 2016, 2017 და 2018 წლების ანგარიშგება -„Grant Thornton International“-ის წევრ შპს „გრანტ თორნტონის“ მიერ. 2018 წლის აუდირებული დასკვნა მოდიფიცირებულია. მოდიფიცირების საფუძველი გახდა გუდვილის შეფასების მეთოდი. „კომპანიის“ და მისი შვილობილების კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართული იყო გუდვილი საბალანსო ღირებულებით 38,560 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 38,560 ათასი ლარი). ამ თანხიდან 36,628 ათასი ლარი წარმოადგენდა 2015 წელს შპს „ნუგეშის” 100%-ის შეძენისას წარმოქმნილი გუდვილის ღირებულებას.

შპს „ნუგეშის“ შეძენისას გუდვილის ღირებულება დათვლილი იყო როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის მომენტში შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის ღირებულების განსაზღვრის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მოითხოვს, რომ გუდვილის ღირებულება განისაზღვროს როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის შეძენის თარიღისათვის. იმის გასარკვევად, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირება აღიარებული გუდვილისა და შეძენილი კომპანიის ძირითადი საშუალებების, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთებს შორის თანხების გადანაწილების კუთხით შეძენის თარიღისათვის, აუდიტორებმა ჩაატარეს პროცედურები გუდვილის გაუფასურების შესაფასებლად, რის შედეგადაც დაასკვნეს, რომ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული გუდვილი არ არის გაუფასურებული მენეჯმენტის გათვლების მიხედვით.

გუდვილის გაუფასურების ტესტი ანაზღაურებადი ღირებულების მეთოდით იქნა ჩატარებული. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რომელიც გაანგარიშებულია მენეჯმენტის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება შეადგენს 46,538 ათას ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 51,492 ათასი ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ნიკორა ტრეიდი“ ფლობდა შპს „ნუგეშის“ 100%-იან წილს და შპს „ლაზი ჰოლდინგის“ 67%-იან წილს. „კომპანიის“ ორივე შვილობილი კომპანია უმოქმედოა და უმეტესწილად არ გააჩნია მატერიალური აქტივები.

მომდევნო ტექსტი ეფუძნება აუდიტორულად შემოწმებულ რიცხვებს, თუ სხვა რამ არ არის ნახსენები. კონსოლიდირებული ანგარიშგება მოიცავს ნიკორა ტრეიდის შვილობილი კომპანიების, შპს ლაზი ჰოლდინგისა (წილობრივი მონაწილეობა - 67%) და შპს ნუგეშის (წილობრივი მონაწილეობა - 100%) მონაცემებსაც.

დამატებითი დეტალებისთვის იხილეთ კომპანიის აუდირებული ფინანსური ანგარიშგება

1.4.1 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გუდვილი	#REF! ERROR: NOT FOUND.	38,560	38,560	38,560
ძირითადი საშუალებები	#REF! ERROR: NOT FOUND.	45,509	19,371	17,462
არამატერიალური აქტივები	#REF! ERROR: NOT FOUND.	1,786	1,827	1,535
		85,855	59,758	57,557
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	#REF! ERROR: NOT FOUND.	33,137	20,813	15,174
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	#REF! ERROR: NOT FOUND.	8,039	8,260	5,599
სხვა მიმდინარე აქტივები		220	233	32
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		182	176	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	#REF! ERROR: NOT FOUND.	2,692	10,176	1,733

		44,270	39,658	22,538
სულ აქტივები		130,125	99,416	80,095
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
სააქციო კაპიტალი	რრორ! ღეფერენცე სოურცე ნოტ ფოუნდ.	20,610	20,419	19,597
საემისიო კაპიტალი	რრორ! ღეფერენცე სოურცე ნოტ ფოუნდ.	7,675	6,216	-
გადაფასების რეზერვი		-	-	320
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(11,555)	(10,414)	(14,176)
		16,730	16,221	5,741
არამაკონტროლებელი წილი		-	-	-
სულ კაპიტალი		16,730	16,221	5,741

ათასი ლარი

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	რრორ! ღეფერენცე სოურცე ნოტ ფოუნდ.,26	13,660	13,859	18,827
ობლიგაციები	რრორ! ღეფერენცე სოურცე ნოტ ფოუნდ.	25,000	-	13,234
		38,660	13,859	32,061
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	რრორ! ღეფერენცე სოურცე ნოტ ფოუნდ.	64,174	44,848	33,550
სესხები	რრორ! ღეფერენცე სოურცე	9,980	11,148	8,482

	ნოტ ფოუნდ.,26			
ობლიგაციები	რრორ! ღეფერენცე სოურცე ნოტ ფოუნდ.	-	13,137	-
ობლიგაციების საპროცენტო ვალდებულებები	რრორ! ღეფერენცე სოურცე ნოტ ფოუნდ.	161	137	176
სახელშეკრულებო ვალდებულება		101	66	85
გადასახდელი მოგების გადასახადი		319	-	-
		74,735	69,336	42,293
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		130,125	99,416	80,095

1.4.2 სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი		344,957	268,272
რეალიზაციის თვითღირებულება		(256,984)	(201,831)
საერთო მოგება		**87,973**	**66,441**
სხვა შემოსავალი		387	460
დისტრიბუცია და მარკეტინგის ხარჯები	რრორ! ღეფერენცე სოურცე ნოტ ფოუნდ.	(48,714)	(35,028)
ადმინისტრაციული ხარჯები	რრორ! ღეფერენცე სოურცე ნოტ ფოუნდ.	(33,478)	(22,390)
სხვა ხარჯები		(244)	(438)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		**5,924**	**9,045**
ფინანსური ხარჯი	Error! Reference source	(4,210)	(4,138)

	not found.		
	Error! Reference source not found.	(417)	929
სხვა ფინანსური ხარჯები			
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(1,443)	(1,904)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(146)**	**3,932**
მოგების გადასახადი		(995)	(490)
წლის წმინდა მოგება		**(1,141)**	**3,442**
სხვა გაერთიანებული შემოსავალი			
ერთეულები რომლებიც მომავალში არ გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში			
ძირითადი საშუალების გადაფასება		-	320
სხვა *გაერთიანებული* შემოსავალი, მოგების გადასახადის გარეშე		-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი		**(1,141)**	**3,762**
- მოგება ერთ აქციაზე		(0.1207)	0.3675

1.4.3 კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი

	საქციო კაპიტალი	გადაფასე-ბის რეზერვი	კუმულირე-ბული მოგება/ზარალი (გადაანგარი-შებული	სულ სათაო კომპანიის მფლობე-ლებზე მიკუთვნებადი	არამაკონტრო ლებელი წილი	სულ
2017 წლის 1 იანვარი	**19,597**	**320**	**(14,176)**	**5,741**	**-**	**5,741**
წლის მოგება/ზარალი	-	-	3,442	3,442	-	3,442
გადაფასების ნამეტის გადატანა დაგროვილ მოგებაზე	-	(320)	320	-	-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი	**-**	**(320)**	**3,762**	**3,442**	**-**	**3,442**
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	7,038	-	-	7,038	-	7,038
ტრანზაქციები მფლობელებთან	**7,038**	**-**	**-**	**7,038**	**-**	**7,038**
2017 წლის 31 დეკემბერი	**26,635**	**-**	**(10,414)**	**16,221**	**-**	**16,221**
წლის მოგება/ზარალი	-	-	(1,141)	(1,141)	-	(1,141)
სხვა გაერთიანებული შემოსავალი	-	-	-	-	-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი	**-**	**-**	(1,141)	(1,141)	**-**	(1,141)
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	1,651			1,651		1,651
2018 წლის 31 დეკემბერი	**28,286**	**-**	**(11,555)**	**16,730**	**-**	**16,730**

ფასს 9-ის და ფასს 15-ის საწყისმა განაცხადმა არ გამოიწვია გაუნაწილებებლი მოგების კორექტირება ქართულ ლარში.

1.4.4 ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება/ზარალი	(1,141)	3,442
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	9,231	5,989
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი	(123)	-
მარაგების დანაკარგები	6,370	3,449
საპროცენტო ხარჯი	4,210	4,138
მოგების გადასახადის ხარჯი	995	490
სახელშეკრულებო ვალდებულების ცვლილება	34	66
საკურსო სხვაობის ზარალი	417	(929)
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	**19,993**	**16,645**
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	221	(2,661)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(18,694)	(9,187)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	16,711	10,602
ცვლილები წინასწარ გადახდებში	(13)	(144)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**18,218**	**15,255**
გადახდილი პროცენტი	(4,142)	(4,196)
გადახდილი მოგების გადასახადი	(964)	(453)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**13,112**	**10,606**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(32,324)	(7,540)
არამატერიალური აქტივების შეძენა	42	(193)
გაცემული სესხები	20	(20)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ფული	-	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**(32,262)**	**(7,753)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული ფული	101,437	112,272
სესხებზე გადახდილი ფული	(104,653)	(115,671)
საწესდებო კაპიტალის ზრდით მიღებული ფული	-	23
ობლიგაციებიდან მიღებული ფული	25,000	-
ობლიგაციებზე გადახდილი ფული	(12,540)	(97)
აქციების გამოშვებით მიღებული ფული	1,650	7,015
დივიდენდები	-	-
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	**10,894**	**3,542**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ზრდა/შემცირება	(8,256)	6,395
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	772	3,049
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	10,176	733
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს (შენიშვნა 25)	**2,692**	**10,176**

1.4.5 საბალანსო უწყისის ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

კომპანიის აქტივები

„კომპანიის“ საბალანსო უწყისის ზომა მნიშვნელოვნად გაიზარდა 2015 წელს „ნუგეშის“ შესყიდვასთან ერთად და დაახლოებით იგივე დონეზე დარჩა 2016 წელს. ბოლო სამი წლის განმავლობაში აქტივების კუმულაციური წლიური ზრდა 83% იყო.

აქტივების ზრდა და განაწილება



პროდუქციის წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები საცალო ქსელის აქტივების ძირითად ნაწილს წარმოადგენს. „კომპანიის“ ძირითადი საშუალებები სტაბილურად იზრდებოდა წლების განმავლობაში და 2015 წელს 20.4 მილიონი შეადგინა. ძირითადი საშუალებები 2016 წელს ცოტათი შემცირდა და17.5 მილიონი შეადგინა, რადგან „კომპანიამ“ რამდენიმე არასაჭირო აქტივი გაყიდა. 2017 წელს ძირითადი საშუალებების მოცულობა 19.4 მილიონ ლარამდე გაიზარდა, 2018 წელს კი 130.1 მლნ შეადგინა

აქტივებს შორის უდიდესი კომპონენტი 38.6 მილიონის ღირებულების მქონე გუდვილია, რომელიც „ნუგეშის“ ქსელის შესყიდვის შემდეგ გაჩნდა.

ყოველ წელს ხდება გუდვილის ტესტირება გაუფასურებაზე. აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია აუდიტის დასკვნაში (2018 წლის აუდირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება - შენიშვნაა 4).

სავაჭრო მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 8.04 მილიონი ლარი. უნდა აღინიშნოს, რომ სავაჭრო მოთხოვნების 95%-ზე მეტის წარმოქმნა ხდება მომწოდებლებზე რეტრო ბონუსების დარიცხვის შედეგად (რეტრო ბონუსები წარმოადგენენ ფასდათმობის სახეობას, რომელიც მყიდველს მიეცემა მის მიერ შეძენილი პროდუქციის ღირებულების ნაწილის უკან დაბრუნების გზით, როგორც ანაზღაურება გაყიდვების წახალისებისთვის). მომწოდებლების მიმართ დავალიანება კი მუდმივად აღემატება მათ მიმართ არსებულ მოთხოვნებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2015	2016	2017	2018
ღირებულება (მლნ)	2,65	5,60	8,26	8,04
წილი მიმდინარე აქტივებში	14,2%	24,8%	20,8%	18,2%
წილი მთლიან აქტივებში	3,3%	7,0%	8,3%	6,2%

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები წარმოადგენს მთლიანი აქტივების 25.5%-ს. ისინი სტაბილურად იზრდებოდა წლების განმავლობაში და 2015 წელს 14.3 მილიონი შეადგინა, 2016 წელს - 15.2 მილიონი იყო, 2017 წელს 20.8, ხოლო 2018 წელს 33.1 მილიონი ლარი შეადგინა.

სასაქონლო მარაგები	2015	2016	2017	2018
ღირებულება (მლნ)	14,26	15,17	20,81	33,14
წილი მიმდინარე აქტივებში	76,7%	67,3%	52,5%	74,9%
წილი მთლიან აქტივებში	18,0%	18,9%	20,9%	25,5%

სასაქონლო მარაგები უმეტესად წარმოადგენენ მაღაზიებსა და საწყობებში არსებულ გასაყიდ პროდუქციას, ხოლო სავაჭრო მოთხოვნები უმეტესად წარმოადგენენ მომწოდებლების მიმართ მოთხოვნებს.

„კომპანია“ შედარებით მცირე რაოდენობით ნაღდ ფულს აჩერებს საკუთარ ბალანსზე. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნაღდი ფულის რაოდენობამ 1.7 მილიონი შეადგინა, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 10.3 მილიონი, ხოლო 2018 წლის ბოლოს 2,7 მლნ. 2017 წელს გაზრდილი ფულის ბალანსის ნაწილი დაკავშირებული იყო ახალი სააქციო კაპიტალის გამოშვებასთან, რომლის ფარგლებში მოზიდული თანხები შემდგომ პერიოდებში დაიხარჯება კომპანიის განვითარებაზე.

ფული და ფულის ექვივალენტები (ათასებში)	2015	2016	2017	2018
ფული სალაროში	821	992	1,517	1,779
საბანკო ანგარიშები	283	741	8,659	913
სულ:	**1,104**	**1,733**	**10,176**	**2,692**

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის საბალანსო უწყისში არსებული ფული და ფულის ექვივალენტები შემცირებულია გამოყენებული საბანკო ოვერდრაფტების მოცულობით. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფულის და ფულის ექვივალენტების შედარება კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებასთან მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ათასებში	2015	2016	2017	2018

ფული და ფულის ექვივალენტები	1,104	1,733	10,176	1,779
საბანკო ოვერდრაფტები	-1,507	-1	-	913
ბალანსი კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში:	**-403**	**733**	**10,176**	**2,692**

კომპანიის ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები

საცალო ვაჭრობის სფეროში მოღვაწე კომპანიები ხშირად იყენებენ სავაჭრო ვალდებულებებს საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. შედეგად, სავაჭრო ვალდებულებები ხშირ შემთხვევაში მთლიანი ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. „ნიკორა ტრეიდის“ ვალდებულებები იმეორებს ამგვარ მოდელს და მნიშვნელოვნად გაიზარდა „კომპანიის“ გაფართოებასთან ერთად.

სავაჭრო ვალდებულებები	**2015**	**2016**	**2017**	**2018**
ღირებულება (ათასებში)	25,2	33,6	44,8	64,2
წილი მიმდინარე ვალდებულებებში	68,96%	79,33%	64,68%	85,87%
წილი მთლიან ვალდებულებებში	38,29%	45,12%	53,91%	56,59%

სესხები და ობლიგაციები

სესხები და ობლიგაციები (ათასი ლარი)	**2015**	**2016**	**2017**	**2018**
მიმდინარე უზრუნველყოფილი სესხები	11 354	8 482	11 148	9 980
გრძელვადიანი უზრუნველყოფილი სესხები	29 106	18 827	13 859	13 660
ობლიგაციები	-	13 234	13 137	25 000
ობლიგაციებზე დარიცხული პროცენტი	-	176	137	161
სულ სესხები და ობლიგაციები	**40,46**	**40,719**	**38,281**	**48 801**

ობლიგაციები:

2017 წლის 28 ივნისს, ქართულმა საბროკერო კომპანიამ, შპს „თიბისი კაპიტალმა“, როგორც საბროკერო აგენტმა, სს ნიკორასთვის გამოუშვა 10 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციები. ობლიგაციებს ერიცხება წლიური 9% და ვადიანობა შეადგენს 2 წელს. სარგებლის გადახდა წარმოებს კვარტალურად.

2018 წლის 18 მარტს სს ნიკორა ტრეიდის მიერ შესრულებული იქნა ვალდებულებები ობლიგაციების მფლობელების მიმართ 13,274 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ობლიგაციები გამოშვებული იყო 2016 წლის 18 მარტს, 5 მილიონი აშშ დოლარის ღირებულებით, რომელსაც ერიცხებოდა წლიური 11%.

2018 წლის 6 აგვისტოს, საბროკერო კომპანია შპს „თიბისი კაპიტალმა“, როგორც საბროკერო აგენტმა გამოუშვა სს ნიკორა ტრეიდისთვის 25 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები: წლიური სარგებელი 11%, კვარტალური გადახდით და 3 წლიანი ვადით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფინანსურ ინფორმაციას ობლიგაციებზე:

ათას ლარებში	მოკლევადიანი		გრძელვადიანი	
	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2018	31 დეკემბერი, 2017	31 დეკემბერი, 2018
ობლიგაციების ძირი	13,137	26,696	25,660	25,000
საპროცენტო გადასახდელები ობლიგაციებზე	137	161	-	-
	13,274	**26,857**	**25,660**	**25,000**

სს ნიკორა ტრეიდის ობლიგაციების კონტრაქტი ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილებას, კერძოდ:

1) Debt/EBITDA - კოეფიციენტმა არ უნდა შეადგინოს 3.5-ზე მეტი 2018 წლის შედეგების მიხედვით;

2) ICR კოეფიციენტი არ უნდა იყოს 2.5-ზე ნაკლები 2018 წლის შედეგების მიხედვით;

3) DSCR კოეფიციენტი არ უნდა იყოს 1.1-ზე ნაკლები 2018 წლის შედეგების მიხედვით.

კოეფიციენტები იანგარიშება სს ნიკორა ტრეიდის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.

ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრულია გარკვეული შეზღუდვები დივიდენდის გაცემასთან დაკავშირებით სს ნიკორა ტრეიდისთვის.

ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას. (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ნიკორა ტრეიდის ობლიგაციების ემისიის პროსპექტი).

საბანკო სესხები არის 1-დან 6 წლამდე ვადიანობის და აქვთ საშუალოდ წლიური 10% მცოცავი განაკვეთი (საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი და 6 თვიანი აშშ დოლარის I ღ-ზე). (2017: 11% წლიური მცოცავი განაკვეთი).

საბანკო სესხები აღებულია ზოგადი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით. სესხებს უზრუნველყოფად უდევს ჯგუფის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები (იხილეთ შენიშვნა 5).

საბანკო სესხების სამართლიანი ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას, რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

სს „ნიკორა ტრეიდი“ წარმოადგენს „ნიკორა ჯგუფში“ შემავალი ყველა კომპანიის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაფორმებული ან/და მომავალში გასაფორმებელი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებების საფუძველზე ნაკისრი სასესხო ვალდებულებების თავდებს, ასევე სს „ნიკორა ტრეიდის“ კუთვნილი უძრავი ქონება - იპოთეკის, ხოლო მოძრავი ქონება-გირავნობის უფლებით სს „თიბისი ბანკის“ სასარგებლოდ დატვირთულია „ნიკორა ჯგუფში“ შემავალი ყველა კომპანიის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებისა და მის საფუძველზე გაფორმებული ან/და მომავალში გასაფორმებელი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით ნაკისრი სასესხო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე „ნიკორა ჯგუფში“| შემავალი კომპანია დროულად და ჯეროვნად ვერ შეასრულებს სასესხო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს შემთხვევაში ბანკს უფლება ექნება მოსთხოვოს სს „ნიკორა ტრეიდის“ როგორც თავდებს „ნიკორა ჯგუფში“ შემავალი რომელიმე კომპანიის გადასახდელი თანხის გადახდა. ასევე ბანკს მოცემულ შეთხვევაში უფლება ექნება ხელშეკრულებით შეთანხმებული წესით მოახდინოს სს „ნიკორა ტრეიდის“ იპოთეკით/გირავნობით დატვირთული უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაცია რომელიმე კომპანიის მიერ გადასახდელი თანხის დასაფარად.

„კომპანია“ და სს „თიბისი ბანკი“ შეთანხმდნენ, რომ „კომპანიის“ მიერ გაცემული აღნიშნული კორპორაციული გარანტია და მასთან დაკავშირებული ვალდებულებები სუბორდინირებულ იქნებიან 2018 წლის 6 აგვისტოს გამოშვებულ ობლიგაციასთან მიმართებაში. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან არიდების მიზნით, წინამდებარე ჩანაწერის მიზნებისთვის სუბორდინირებული ვალდებულება ნიშნავს ვალდებულებას როდესაც ზემოაღნიშნული გარანტიისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდება მხოლოდ ობლიგაციონერების მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების შემდეგ.

1.4.6 კაპიტალი

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „კომპანიის“ სამართლებრივი ფორმა იყო შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოება, ხოლო 100%-იანი წილის მფლობელი სს „ნიკორა“.

2017 წლის ივლისში “კომპანიამ“ შეიცვალა იურიდიული ფორმა და ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად. ავტორიზებულმა სააქციო კაპიტალმა შეადგინა 10,000,000 ჩვეულებრივი აქცია და განისაზღვრა 2.18 ლარის ნომინალური ღირებულებით.

აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები 2018	ჩვეულებრივი აქციები 2017
	ათასი	ათასი
ნებადართული აქციები	10,000	10,000
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 2.18 ლარი თითოეული	21,800	21,800
წლის განმავლობაში გამოშვებული და სრულად გადახდილი	88	9,367
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 2.18 ლარი თითოეული	20,610	20,419
დამატებითი განაღდებული კაპიტალი	7,675	6,216

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის სააქციო კაპიტალი იყო 26,635 ათასი ლარი.

1.4.7 მოგება-ზარალის ანგარიშგების ძირითადი ელემენტების მიმოხილვა

ბრუნვა, გაყიდული საქონლის თვითღირებულება და საერთო მოგება

2018 წელს რეალიზაციამ 344.9 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 29%-იან ზრდას წარმოადგენს წინა წელთან მიმართებით. 2017 წელს რეალიზაციამ 268.3 მილიონი ლარი შეადგინა, რაც 23%-იან ზრდას წარმოადგენს წინა წელთან მიმართებით. 2016 წლისთვის „კომპანიის“ გაყიდვებმა 218.6 მილიონი შეადგინა, რაც 32%-ით მეტია წინა წელს დაფიქსირებულ 165.4 მილიონთან შედარებით.

2015 წელს ახლადშეძენილი აქტივების ინტეგრაცია დასრულდა 2016 წლის ზაფხულში და კომპანიის მმართველობამ სრული კონცენტრაცია გადაიტანა გაფართოებული პლატფორმის ეფექტურობის ზრდაზე.

ათას ლარში	2015	2016	2017	2018
შემოსავალი	165 369	218 637	268 272	344 957
რეალიზაციის თვითღირებულება	(127 823)	(167 781)	(201 831)	(256 984)
საერთო მოგება	**37 546**	**50 856**	**66 441**	**87 973**
საერთო მოგების მარჟა	22,7%	23,3%	24,8%	25,5%

„კომპანია“ პროდუქციის უდიდეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლებისგან და პირდაპირ ყიდის მომხმარებელზე. იმის ზუსტად დადგენა თუ თავად ადგილობრივმა მომწოდებლებმა პროდუქციის რა ნაწილი შემოიტანეს იმპორტის მეშვეობით და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი მომწოდებლების ფასებზე გაცვლით კურსებს მენეჯმენტის განცხადებით შეუძლებელია.

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო გაყიდვები, ხოლო საბალანსო უწყისზე აღრიცხული სავაჭრო მოთხოვნების უმეტესი წილი (95%-ზე მეტი) მომწოდებლების მიმართ არის და არა მომხმარებლების მიმართ. „კომპანია“ მთლიანად საცალო ვაჭრობაზე არის ორიენტირებული და შესაბამისად საოპერაციო ჭრილში არ გააჩნია სხვადასხვა სეგმენტები.

კომპანიის ბრუნვა, გაყიდული საქონლის თვითღირებულება და საერთო მოგება



საოპერაციო ხარჯები და მოგება საოპერაციო საქმიანობიდან

ათას ლარში	2015	2016	2017	2018
შემოსავალი	**165 369**	**218 637**	**268 272**	**344 957**
საერთო მოგება	**37 546**	**50 856**	**66 441**	**87 973**
საოპერაციო ხარჯები:				
სხვა შემოსავალი	1 461	238	460	387
დისტრიბუცია და მარკეტინგის ხარჯები	(30 320)	(29 385)	(35 028)	(48 714)
ადმინისტრაციული ხარჯები	(10 604)	(19 530)	(22 390)	(33 478)
სხვა ხარჯები	(260)	(1 020)	(438)	(244)
საოპერაციო ხარჯები	**(39 723)**	**(49 697)**	**(57 396)**	**(82 049)**
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან	**(2 177)**	**1 159**	**9 045**	**5 924**
საოპერაციო მარჟა	-1,3%	0,5%	3,4%	1,7%

„კომპანიის“ საოპერაციო ხარჯების შემადგენელი ნაწილების დინამიკა:

- მაღაზიათა რაოდენობის ზრდასთან ერთად გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯებიც იზრდება. 2018 წელს გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები 99%-ით გაიზარდა და 47.7 მილიონი ლარი შეადგინა. 2017 წელს გაყიდვებისა და მარკეტინგის ხარჯები 19%-ით გაიზარდა და 35.0 მილიონი ლარი შეადგინა. 2016 წელს ეს ხარჯები 3%-ით 29.4 მილიონამდე შემცირდა წინა წელთან შედარებით მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიამ“ განაგრძო ზრდა;

- ადმინისტრაციულმა ხარჯებმა 2015 წელს 10.6 მილიონი შეადგინა. 2016 წელს ხარჯები 19.5 მილიონამდე გაიზარდა, რაც გაზრდილი კომუნალური ხარჯებით, ხელფასებით და მარაგების ჩამოწერით იყო გამოწვეული. 2017 წელს ადმინისტრაციული ხარჯები 15%-ით გაიზარდა და 22.4 მილიონი შეადგინა. 2018 წელს ადმინისტრაციული ხარჯები 50%-ით გაიზარდა და 33.5 მილიონი შეადგინა.
- მთლიანობაში 2018 წელს საოპერაციო მოგებამ 5.9 მილიონი შეადგინა. 2017 წელს საოპერაციო მოგებამ 9.0 მილიონი შეადგინა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2016 წელს არსებულ 1.2 მილიონ ლარს. გაუმჯობესებული საოპერაციო შედეგები გამოწვეული იყო როგორც საერთო მოგების მარჟის ზრდით, ასევე შემოსავლების ზრდასთან შედარებით საოპერაციო ხარჯების უფრო ნელი ზრდით, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია საოპერაციო მარჟის ზრდა 2016 წელს არსებული 0.5%-დან 2017 წელს არსებულ 3.4%-მდე.

მაღაზიების საიჯარო ხარჯების დაახლოებით 75% დენომინირებულია აშშ დოლარში. მომავალში „კომპანია“ გეგმავს იჯარის ხარჯები ლარში გადაიყვანოს და კონკრეტული მაღაზიის გაყიდვების მოცულობებს დაუკავშიროს.

არასაოპერაციო ხარჯები და წმინდა მოგება

„კომპანიის“ მომგებიანობაზე ბოლო ორი წლის განმავლობაში გავლენა იქონია არასაოპერაციო ხარჯებმა, რაც გამოიწვია გაცვლითი კურსების ცვლილებამ და საპროცენტო ხარჯებმა.

ათას ლარში	2015	2016	2017	2017
ფინანსური ხარჯი	(2 554)	(4 640)	(4 138)	(4 210)
სხვა ფინანსური ხარჯები	(2 768)	(3 268)	929	(417)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	(260)	(1 083)	(1 904)	(1 443)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	**(7 759)**	**(7 832)**	**3 932**	**(146)**
მოგების გადასახადი	568	153	(490)	(995)
წლის წმინდა მოგება	**(7 191)**	**(7 679)**	**3 442**	**(1 141)**
წლის წმინდა მოგების მარჟა	-4,3%	-3,5%	1,3%	-0,3%

- საპროცენტო ხარჯი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2015 წელს და 2.6 მილიონი შეადგინა. 2016 წელს ხარჯი 4.6 მილიონამდე გაიზარდა; 2015 წლის მეორე ნახევარში „ნუგეშის“ ქსელის შეძენის მიზნით მოხდა დამატებითი სასესხო ვალდებულებების მოზიდვა. სწორედ ამით აიხსნება 2016 წელს საპროცენტო ხარჯების ზრდაც. 2017 წელს საპროცენტო ხარჯი 4.1 მილიონ ლარამდე შემცირდა რაც შემცირებული სესხების ბალანსით და გაუმჯობესებული საპროცენტო განაკვეთებით იყო გამოწვეული. 2018 წელს საპროცენტო ხარჯებმა 4.2 მლნ ლარი შეადგინა.

კომპანიის ან მისი შვილობილების გადახდისუუნარობის, ოპერაციების შეჩერების ან გაკოტრების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

1.5 ფინანსური რისკების მართვა

12. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც ჯგუფთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფი ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

ჯგუფის სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად გამოწვეულია ჯგუფის სესხებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს ჯგუფის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული 2018 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	სხვა
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	230	74	-
ფული და საბანკო ანგარიშები	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	230	74	-
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები	9,749	405	-
ობლიგაციები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	123	322	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,872	727	-
წმინდა პოზიცია	(9,642)	(653)	-

ერთეული 2017 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	სხვა
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	386	118	-
ფული და საბანკო ანგარიშები	6,295	-	-
სულ ფინანსური აქტივები	6,681	118	-

ფინანსური ვალდებულებები			
სესხები	17,383	-	-
ობლიგაციები	13,367	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,185	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	35,935	-	-
წმინდა პოზიცია	(29,254)	118	-

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 10% კლება/მატების გავლენას ჯგუფზე. აღნიშნული 10% (2017: 10%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 10%-იანი (2017: 10%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 10%-ით (2017: 10%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2018	2017	2018	2017
მოგება/ზარალი	2,925	4,262	12	14
სხვა კაპიტალი	-	-	-	-
	2,925	4,262	12	14

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს ჯგუფის სავალუტო რისკთან მიმართებით კავშირს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფს გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. ჯგუფის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით.

შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2018	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი		
ლარი	10.58%	10.69%
დოლარი	8.48%	9.36%
ევრო	7.50%	7.76%
ობლიგაციები		
ლარი	11.0%	11.5%

2017	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი		
ლარი	11.60%	11.60%
აშშ დოლარი	9.00%	9.00%
ობლიგაციები		
აშშ დოლარი	11.00%	12.00%

საპროცენტო განაკვეთზე მგრძნობელობის ანალიზის ჩასატარებლად ქვემოთ მომზადებულია 3%-ის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება. 3% წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას შესაძლო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ.

თუ საპროცენტო განაკვეთი იყო 3%-ით მაღალი/დაბალი და ყველა სხვა ცვლადები იყო უცვლელი, ჯგუფი:

- 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წლის ბოლოს მოგება გაიზრდებოდა/შემცირდებოდა 599 ათასი ლარით (2017: გაიზრდებოდა/შემცირდებოდა 645 ათასი ლარით);

1.5.1.1 ჯგუფის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთზე იზრდება/მცირდება ძირითადად იმის გამო, რომ იცვლება მცურავი საპროცენტო განაკვეთი (LIBOR და საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთები).

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო.

მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოქმნის შემდეგი ფინანსური ინსტრუმეტები წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებით:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები მიმდინარე ღირებულებით		
მოთხოვნები	8,039	8,260
ფული საბანკო ანგარიშებზე	913	8,659
	8,952	16,919

რისკების მართვის მიზნით ჯგუფი ნაღდ ფულს კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში ათავსებს. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მისი ფინანსური ატივები არაა გაუფასურებული არცერთი საანგარიშგებო თარიღისთვის და განიხილება როგორც კარგი საკრედიტო ხარისხის მქონე. ჯგუფის არცერთი ფინანსური აქტივი არ არის გირაოს ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფის ქვეშ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით, ჯგუფი არ ხასიათდება რაიმე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკით რომელიმე კონტრაგენტის ან საერთო მახასიათებლების მქონე კონტრაგენტების ჯგუფის მიმართ. მომხმარებლებთან არსებული წარსული გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით ხელმძღვანელობა სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკრედიტო ხარისხს დადებითად აფასებს.

ფულისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების გაუფასურება შეფასდა 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე და ასახავს მოკლევადიანი დაფარვების ექსპოზიციას. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები ხასიათდებიან დაბალი საკრედიტო რისკით, რაც ეფუძნება გარე კონტრაქტორების საკრედიტო რეიტინგებს.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2018 ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		9.83%	10.02%	
6 თვეზე ნაკლები	63,060	7,597	3,750	74,407
6 თვიდან 1 წლამდე	1,114	1,763	-	2,877
1-5 წლამდე	-	15,283	-	15,283
5 წელზე მეტი	-	-	-	-
	64,174	24,643	3,750	92,567

2017 ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		11.0%	10.0%	
6 თვეზე ნაკლები	44,636	7,203	13,647	65,486
6 თვიდან 1 წლამდე	212	5,417	157	5,786
1-5 წლამდე	-	11,832	3,632	15,464
5 წელზე მეტი	-	586	-	586
	44,848	25,038	17,436	87,322

ჯგუფი ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

1.6 „კომპანიის“ ბიზნესთან დაკავშირებული რისკები

„კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

როგორც ქვემოთ მოცემული ბიზნეს-აღწერილობიდან დასტურდება, ბაზარი, რომელზეც „კომპანია“ ოპერირებს, არის ძალიან ცვალებადი და ხასიათდება ახალი მოთამაშეების გამოჩენით და არსებული მოთამაშეების გასვლით. ახალ მოთამაშეებს აქვთ სხვადასხვა დონის ფინანსური შესაძლებლობები და ბაზარზე მუშაობის გამოცდილება. მიუხედავად იმისა, რომ „კომპანია“ ბაზარზე ბოლო 10 წლის მანძილზე წარმატებულად ფუნქციონირებს, ხასიათდება მზარდი ტენდენციით და ფართოვდება, ახლადგამოჩენილი კონკურენტების გამოცდილების მაღალი დონის ან „კომპანიის“ მიერ თავისი განვითარების მიზნების (რომლებიც ძირითადში მოიცავს ბაზრის წილის ზრდას და პლატფორმის გაფართოებას ქვეყნის რეგიონებში) მიუღწევლობის შედეგად, „კომპანიამ“ შესაძლებელია ვერ შეინარჩუნოს საკუთარი ზრდის მაჩვენებელი და/ან ამჟამინდელი პოზიცია ბაზარზე.

საქართველოს საცალო ყოველდღიური მოხმარების საქონლის ბაზარი მაღალ კონკურენტულია და რთულია დანამდვილებით თქმა, რომ კომპანია შეძლებს წარმატებით გაუწიოს კონკურენცია მის არსებულ და მომავალ კონკურენტებს.

საცალო ვაჭრობის სფერო მაღალ კონკურენტულია. კომპანია კონკურენციას უწევს როგორც სხვადასხვა მასშტაბის მქონე ქართულ საცალო მოვაჭრეებს, ისე საერთაშორისო ოპერატორებს.

კომპანიის კონკურენტების აქტიურობამ და ცვლილებებმა მათ საოპერაციო და სხვა ბიზნეს სტრატეგიებში, ფასებმა, მომსახურების გაუმჯობესებამ, ახალი კონკურენტების გამოჩენამ ბაზარზე ან კონკურენტული ახალი ბრენდების შემოსვლამ შესაძლოა შეამციროს კომპანიის შემოსავლები გაყიდვებიდან, გაზარდოს მიმდინარე ხარჯები და/ან შეამციროს მოგების მარჟა. თუ კომპანია ვერ შეძლებს მომხმარებლისთვის პროდუქტების შეთავაზებას კონკურენტულ ფასად, თუ მომხმარებლები არ დაკმაყოფილდებიან ნიკორა ტრეიდის პროდუქტის არჩევანით, ან თუ კომპანიის საკუთარი მარკის საქონელი არ იქნება კონკურენტუნარიანი, კომპანიის კლიენტებმა შესაძლოა შეამცირონ ან შეწყვიტონ მათი ყიდვა კონკურენტების სასარგებლოდ. ამ და სხვა ფაქტორებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის შემოსავლების შემცირება გაყიდვებიდან, საბაზრო წილის დაკარგვა ან იძულებითი რეაგირება მისი კონკურენტების მიერ განხორციელებულ აგრესიულ საფასო პოლიტიკაზე, რაც გამოიწვევს არსებული მოგების მარჟის შემცირებას.

კომპანიის მიზანია ჰქონდეს მიმზიდველი ფასები, ასორტიმენტი და მაღაზიის ფორმატი, იმგვარად, რომ შეძლოს კონკურენციის გაწევა სხვადასხვა ბაზრებზე. კომპანია რეგულარულად მიმოიხილავს ბაზარს, სავაჭრო შესაძლებლობებს და კონკურენტების საქმიანობებს; თვალყურს ადევნებს მთელი რიგი ღონისძიებების შესრულებას, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომსახურების მაღალი ხარისხის შესანარჩუნებლად; კომპანია მუდმივად აკვირდება მომხმარებლის აღქმებს საკუთარი და კონკურენტების შესახებ, იმისათვის, რომ საჭიროების შემთხვევაში სწრაფი რეაგირება შეძლოს.

კომპანიას აქვს რისკები ახალი ან არსებული საცალო მაღაზიების გაფართოებასთან და განვითარებასთან დაკავშირებით

კომპანია სწრაფად გაიზარდა მას შემდეგ რაც საქმიანობა დაიწყო. მაღაზიათა ქსელი, რომელიც მოიცავდა 52 მაღაზიას 2010 წელს, 2018 წლის აპრილის მდგომარეობით მოიცავს 228 მაღაზიას.

ზრდის ამგვარი ტემპის გამო შესაძლოა შემცირდეს კომპანიის ეფექტურობა, წარმოიქმნას სირთულეები ოპერაციების დონეზე, გამოიწვიოს წყვეტა საწარმოო ციკლში (შესყიდვა, მომარაგება). უნდა აღინიშნოს, რომ ამ რისკების მართვაში კომპანიას დიდი გამოცდილება აქვს. 2015 წელს მოხდა ნუგეშის ქსელის შესყიდვა, ასევე აქტიურად მიმდინარეობდა ახალი მაღაზიების გახსნა. ყოველივე ამის შედეგად 2015 წელს სავაჭრო ობიექტების რაოდენობა 93-ით გაიზარდა, რაც 85%-იან ზრდას ნიშნავს. ახლადშეძენილი აქტივების ინტეგრაცია 2016 წელს წარმატებით დასრულდა, რაზეც მეტყველებს კომპანიის საოპერაციო შედეგების ზრდა, რომელიც აღმავალ ტრენდს ინარჩუნებს.

თუმცა, მიუხედავად ექსპანსიასთან დაკავშირებული რისკების ადექვატური მენეჯმენტისა, სწრაფმა ზრდამ შესაძლოა მნიშვნელოვანი წნეხი შეუქმნას ხელმძღვანელობას და მათი ყურადღება შეასუსტოს ყოველდღიურ საოპერაციო საკითხებთან დაკავშირებით.

კომპანიას შესაძლოა საფრთხე შეუქმნას რომელიმე მომწოდებელზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა

აღნიშნულმა შესაძლოა კომპანიას სირთულეები შეუქმნას რამდენიმე მიმართულებით. მაგ.: წყვეტა პროდუქციის მოწოდებაში, რომელიმე მომწოდებლის ბაზრიდან გასვლა. კომპანია აღნიშნულ რისკებს მართავს მომწოდებლების მაქსიმალური დივერსიფიკაციის გზით. უმსხვილესი მომწოდებლის წილი („ნიკორა ჯგუფში“ შემავალი კომპანიების გარდა) ნაკლებია 5%-ზე. გარდა ამისა პროდუქტების თითოეულ კატეგორიაში რამდენიმე მომწოდებელია,

რომლებიც ერთმანეთის კონკურენტები არიან, შესაბამისად, რომელიმე მათგანის გასვლა ქსელიდან არ იწვევს მნიშვნელოვან ცვლილებას კომპანიის საქმიანობაში, რადგან ასეთ მომწოდებელს მარტივად ანაცვლებს მისი კონკურენტი. ასევე შესაძლებელია საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანი პროდუქტების საკუთარი ძალებით იმპორტი.

კომპანია შესაძლოა აღმოჩნდეს მარაგების გაუვარგისების რისკის წინაშე პროდუქციის ვადის გასვლის გამო.

ამჟამად, მარაგების ბალანსის მონიტორინგი ხორციელდება გაყიდვების განყოფილების მიერ, პროდუქტის ვიზუალური მდგომარეობის, ვადის გასვლის, თაროების მოწესრიგების და სხვა პირობების რეგულარული შემოწმების გზით. ასევე მაღაზიებში პროდუქციის განლაგების და რეალიზაციისას „FIFO" მეთოდის დაცვით, რაც გულისხმობს რიგითობის დაცვას და პირველ რიგში უფრო ადრე შეძენილი პროდუქტის განლაგებას და გაყიდვას. დაზიანებული და/ან ვადაგასული პროდუქტები უბრუნდება მომწოდებელს ან იგზავნება საწყობში გასანადგურებლად.

კომპანია მეტწილად თვითდაზღვევის მექანიზმის გათვალისწინებით მუშაობს და შესაბამისად, რამდენიმე სადაზღვევო შემთხვევის ერთდროულად დადგომამ შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს მის საქმიანობაზე.

კომპანიის მაღაზიები ძირითადად განთავსებულია იჯარით აღებულ ფართებში. შესაბამისად, არც თვითონ უძრავი ქონება და არც მასში განთავსებული მარაგები თუ მანქანა-დანადგარები არ არის დაზღვეული. კომპანიას მიაჩნია, რომ აღნიშნული რისკი მეტწილად დივერსიფიცირებულია, ვინაიდან მაღაზიები საკმაოდ მცირე მოცულობისაა და ერთი კონკრეტული ლოკაციის დაზიანებამ (თუნდაც სრულმა) არ შეიძლება მოიტანოს იმხელა ზიანი, რაც ფინანსურად მომგებიანს გახდიდა შესაბამისი ობიექტების დაზღვევას.

მიუხედავად ზემოთქმულისა, იმ შემთხვევაში, თუ ერთდროულად დადგება სადაზღვევო რისკი ობიექტების მნიშვნელოვან რაოდენობაში ამან შესაძლოა არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საოპერაციო შედეგებსა და ზოგადად, მის საქმიანობაზე.

ფინანსური ანგარიშგების ახალი სტანდარტების გავლენა „კომპანიაზე"

„კომპანიის“ მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ დროულად მოახდენს ჯგუფის საანგარიშგებო პოლიტიკაში შესაბამისი სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების ასახვას, რომლებიც გამოქვეყნებულია, თუმცა ჯერჯერობით არ არის ეფექტური.

2018 წლის 1 იანვრის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და შეფასება მოხდება ფასს 9-ის შესაბამისად, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39-ს. „კომპანიის“| მენეჯმენტის შეფასებით ამ ცვლილებას არ ექნება მატერიალური ზეგავლენა „კომპანიის“ ფინანსურ ანგარიშგებაზე. 2018 წლის 1 იანვრიდან, ასევე იცვლება კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვასთან დაკავშირებული სტანდარტი (ფასს 15). გარდა ამისა, 2019 წლის 1 იანვრიდან, იჯარის აღრიცხვა მოხდება ფასს 16-ის მეშვეობით, რომელიც მოითხოვს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში იჯარის აღირიცხოს როგორც აქტივი „გამოყენების უფლებით“ და იჯარის ვალდებულება.

„კომპანიის“ ხელმძღვანელობას ჯერ არ შეუფასებია აღნიშნულ სტანდარტებთან დაკავშირებული ცვლილებების ეფექტი და მათი გავლენა კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანია მგრძნობიარეა როგორც საერთო მაკროეკონომიკური ცვლილებების ასევე სამომხმარებლო მოთხოვნის მიმართ

ბიზნესის მომგებიანობაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს ზოგადი ეკონომიკური პირობების გაუარესებამ. კომპანიას არ აქვს კონტროლი ეკონომიკურ ფაქტორებზე, რომელიც გავლენას ახდენს მის საქმიანობაზე, როგორიცაა საოჯახო და სამომხმარებლო ხარჯები. ეს ფაქტორები უფრო ართულებს კომპანიისთვის წინასწარ განჭვრიტოს ცვლილებები მისი მომწოდებლის ხარჯებში, მომხმარებლების განწყობაში, რამაც შესაძლოა არსებითი უარყოფითი გავლენა მოახდინოს კომპანიის ეფექტურობაზე მისი საოპერაციო და ფინანსური შედეგების თვალსაზრისით.

რყევები საქართველოს საცალო ყოველდღიური მოხმარების საქონლის ბაზარზე ისტორიულად დაკავშირებულია ცვლილებებთან საერთო ეკონომიკურ პირობებში, მოხმარებასთან, რომელიც ზოგადად იზრდება ეკონომიკური ექსპანსიის დროს და მცირდება რეცესიის დროს. საქართველოში ეკონომიკური ვარდნა გავლენას ახდენს როგორც საერთო მაკროეკონომიკურ პირობებზე, ასევე პირადი მოხმარების დონეზე. სამომხმარებლო მოთხოვნის შემცირებამ საქართველოში ასევე შესაძლოა გამოიწვიოს კონკრეტულ მომწოდებლებთან მოქმედი მიწოდების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული

ფასდაკლების პირობის შეუსრულებლობა, რომელიც საზიანო გავლენას იქონიებს კომპანიის საოპერაციო შედეგებზე.

ვალუტის კურსის ცვლილებებმა იქონია და შეიძლება მომავალშიც იქონიოს გავლენა „კომპანიაზე“.

“კომპანიის“ ხარჯების გარკვეული ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, უმეტესად აშშ დოლარში, მაშინ როცა მისი შემოსავლის დიდი ნაწილი დენომინირებულია ქართულ ლარში. „კომპანია“ პროდუქციის უდიდეს ნაწილს ადგილობრივ ბაზარზე ყიდულობს ადგილობრივი მომწოდებლებისგან და პირდაპირ ყიდის მომხმარებელზე. ადგილობრივი იმპორტიორებისგან გაკეთებული შესყიდვები ლარში არის დენომინირებული და კურსის ცვლილება პირველ რიგში იმპორტიორებზე ახდენს გავლენას და მხოლოდ შემდეგ შეიძლება გადაეცეს „კომპანიას“. გასაყიდი საქონელი სწრაფად ბრუნვადია, რის გამოც „კომპანიას“ საკურსო ცვლილებების შედეგად შეცვლილი თვითღირებულების გასაყიდ ფასებში ასახვა მალევე შეუძლია. იმის ზუსტად დადგენა თუ თავად ადგილობრივმა მომწოდებლებმა პროდუქციის რა ნაწილი შემოიტანეს იმპორტის მეშვეობით და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ადგილობრივი მომწოდებლების ფასებზე გაცვლით კურსების ცვლილებას მენეჯმენტის შეფასებით შეუძლებელია.

„კომპანიის“ საიჯარო კონტრაქტები უმეტესწილად აშშ დოლარშია დენომინირებული და მათთან მიმართებით „კომპანიას“ ყოველთვის არ აქვს შესაძლებლობა აწარმოოს მოლაპარაკებები სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით, რათა შეამციროს საკუთარი სავალუტო რისკები, და, ამასთან, ფასების ზრდა ქართულ ლარში შეიძლება იყოს კონტრპროდუქტიული (გამოიწვიოს მომხმარებელთა რაოდენობის შემცირება). შედეგად, ვალდებულებების ვალუტის კურსის მიმართ ლარის კურსის ნებისმიერმა გაუფასურებამ შესაძლებელია გამოიწვიოს წმინდა მოგების შემცირება, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს ბიზნესის ზრდისკენ მიმართული ინვესტიციების შეწყვეტა და მენეჯმენტის მობილიზება არსებული საბაზრო პოზიციის შენარჩუნებისკენ და აღნიშნულმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

მიუხედავად იმისა, რომ „კომპანიას“ სურს შეამციროს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალდებულებების რაოდენობა, მსგავსი ზომები არ იძლევა უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკებისგან დაცვის გარანტიას. თუ ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში შეიცვლება, ამან შესაძლებელია „კომპანიას“ მიაყენოს ზიანი, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიაზე“.

„კომპანია“ ოპერირებს ისეთ სფეროში, რომლის მარეგულირებელი კანონმდებლობა დინამიურია და მუდმივად იცვლება.

რამდენადაც „კომპანია“ ძირითადად ოპერირებს საკვების და საყოფაცხოვრებო საქონლის საცალო ვაჭრობის სექტორში, აღნიშნული სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა ყოველთვის იყო საზოგადოებრივად სენსიტიური საკითხი. 2004 წლის შემდეგ, „მთავრობის“ მიერ ბაზრის ფართო ლიბერალიზაციას მოჰყვა საკვები პროდუქტების ხარისხისა და მათი წარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობის განვითარების ტენდენცია.

მარეგულირებელი კანონმდებლობა შესაძლებელია შეიცვალოს, რამდენადაც საქართველო, ევროკავშირის ბაზარზე სრული ინტეგრაციის მიზნით, ახორციელებს საკუთარი კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროკავშირის კანონმდებლობასთან, „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და „**ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) საფუძველზე**. „კომპანიის“ მენეჯმენტის აზრით, საქართველომ, მსგავსი ჰარმონიზაციის ფარგლებში, მომავალში შესაძლოა მიიღოს ევროკავშირის საკვების უსაფრთხოების რეგულაციების ეკვივალენტური რეგულაციები, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის დანახარჯების ზრდა.

„კომპანიას“ შესაძლებელია წარმოეშვას მნიშვნელოვნად მეტი დავალიანება ან განახორციელოს სხვა ქმედებები, რამაც შეიძლება გაზარდოს ზემოთ მითითებული რისკების ინტენსივობა.

ორგანული ზრდის ეფექტურად მართვის მიზნით, „კომპანიამ“ დროულად უნდა გააფართოვოს და განავითაროს თავის ოპერაციული სისტემები და პროცედურები. თუ „კომპანია“ ვერ შეძლებს ამას საჭირო სახსრების ან კვალიფიციური პერსონალის არარსებობის გამო, შესაძლებელია იგი ვეღარ მოემსახუროს მისი მომხმარებლების მოთხოვნებს, აიყვანოს და შეინარჩუნოს ახალი თანამშრომლები, დაიწყოს ახალი ბიზნესი, ეფექტურად მართოს ბიუჯეტის ხარჯები, ზუსტად განსაზღვროს ოპერაციული ხარჯები ან სხვაგვარად ეფექტურად წარმართოს საკუთარი ბიზნესი. იმ საქმიანობის სფეროების ბუნების გათვალისწინებით, რომლებშიც „კომპანიას“ ოპერირებს, შესაძლებელია მას დროდადრო მოუწიოს პოტენციურ დანახარჯებთან დაკავშირებით მენეჯმენტის გათვლების შეცვლა და, შედეგად, უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, შეიძლება ასევე შეიცვალოს მისი დაფინანსების მოთხოვნები. აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს პროექტის დანახარჯების რესტრუქტურიზაცია და გაზარდოს ან შეამციროს „კომპანიის“ მოსალოდნელი ფულადი სახსრების მიმოქცევა.

მითითებულმა რისკმა, ასევე ზემოთ აღწერილმა ნებისმიერმა სხვა ფაქტორმა, შეიძლება გამოიწვიოს „კომპანიის“ დაფინანსების მოთხოვნების ზრდა, რამაც, თავის მხრივ, შესაძლებელია გაზარდოს „კომპანიის“ სავალო ტვირთი. აღნიშნულმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ განვითარების სტრატეგიასა და ასევე მის უნარზე დროულად შეასრულოს ფინანსური ვალდებულებები.

საქართველოში განვითარებულ მაკროეკონომიკურ და პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული რისკები

„კომპანიის“ ოპერაციები სრულად ხორციელდება საქართველოში და მისი შემოსავალი მთლიანად მიღებულია საქართველოში არსებული წყაროებიდან. შესაბამისად, „კომპანიის“ საერთო ფინანსური მდგომარეობა და მისი ოპერაციების შედეგები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია საქართველოში არსებულ ეკონომიკურ, სამართლებრივ და პოლიტიკურ პირობებზე. ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა მთლიანი შიდა პროდუქტი („**მშპ**“), ინფლაცია, საპროცენტო განაკვეთები და ვალუტის გაცვლითი კურსები, ასევე უმუშევრობა, პირადი შემოსავალი და კომპანიების ფინანსური მდგომარეობა, არსებითი გავლენა აქვს მომხმარებლების მოთხოვნაზე „კომპანიის“ მომსახურების მიმართ.

რეგიონალურმა დაძაბულობამ შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს ადგილობრივ ეკონომიკასა და „კომპანიის“ ბიზნესზე.

საქართველო ესაზღვრება რუსეთს, აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს და შესაძლებელია მასზე უარყოფითი გავლენა იქონიოს პოლიტიკურმა არეულობამ მის საზღვრებს შიგნით და მეზობელ ქვეყნებში. კერძოდ, 1991 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს დაძაბული ურთიერთობა აქვს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებთან და ასევე რუსეთთან. აღნიშნული დაძაბული ურთიერთობა დროთა განმავლობაში გამოიხატა სამშვიდობო შეთანხმებების დარღვევასა და არარეგულარულ ძალადობაში. 2008 წლის აგვისტოში მოხდა კონფლიქტის ესკალაცია სამხრეთ ოსეთის რეგიონში, სადაც ქართული სამხედრო ძალები დაუპირისპირდნენ ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს და რუსეთის სამხედრო ძალებს, რომლებმაც გადმოკვეთეს საერთაშორისო საზღვარი. შედეგად, საქართველოში გამოცხადდა საბრძოლო მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ და რუსეთმა ხელი მოაწერეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, რომლის

საფუძველზეც რუსეთს საკუთარი სამხედრო ძალები უნდა გაეყვანა საქართველოს ტერიტორიიდან. იმავე თვის ბოლოს რუსეთმა სცნო გამოყოფილი რეგიონების დამოუკიდებლობა და მას შემდეგ დაძაბულობა მუდმივად გრძელდება, რამდენადაც რუსეთის სამხედრო ძალები აგრძელებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებს ოკუპაციას. მაგალითად, 2013 წლის ზაფხულიდან დაწყებული, რუსეთის სასაზღვრო პოლიციამ რამდენჯერმე აღმართა მავთულხლართები საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის არსებული დემარკაციული ხაზების გასწვრივ. მსგავსმა ქმედებებმა მომავალში შესაძლებელია კიდევ უფრო გაზარდოს დაძაბულობის დონე. რუსეთი ასევე წინააღმდეგია დასავლეთ ევროპაში „NATO”-ს გაფართოებით, რამაც პოტენციურად შეიძლება მოიცვას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, მათ შორის, საქართველო. საქართველოს მთავრობამ მიიღო გარკვეული ზომები რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, თუმცა აღნიშნულს შედეგი არ მოჰყოლია ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ფორმალური თუ სამართლებრივი ცვლილების კუთხით.

ურთიერთობები აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არის დაძაბული და ამ ორ ქვეყანას შორის მუდმივად ხდება ძალადობრივი დაპირისპირების ეპიზოდები.

გარდა ამისა, გეოპოლიტიკურმა დაძაბულობამ რუსეთსა და უკრაინას შორის ასევე შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე. კრიზისი უკრაინაში დაიწყო 2013 წლის ბოლოს და ჯერ კიდევ გრძელდება. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ევროკავშირმა სავაჭრო სანქციები დაუწესეს რუსეთს, რუს მაღალჩინოსნებს და კრემლის თანამდებობის პირებს, ასევე რამდენიმე რუსულ ბანკსა და კომპანიას. მიმდინარე პოლიტიკურმა არასტაბილურობამ, სამოქალაქო არეულობამ და სამხედრო კონფლიქტმა უკრაინაში, რუსეთსა და უკრაინას შორის არსებული გეოპოლიტიკური კონფლიქტის გაგრძელებამ ან შემდგომმა ესკალაციამ, სავაჭრო სანქციების შედეგად რუსეთის ეკონომიკის შემდგომმა შემცირებამ, ნავთობის ფასის დაცემამ ან ვალუტის გაუფასურებამ, გაურკვევლობის დონის ზრდამ, რეგიონალური, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის დონის ზრდამ და საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობის ნებისმიერმა შემდგომმა გაუარესებამ, შესაძლებელია უარყოფითი გავლენა იქონიოს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ სტაბილურობაზე საქართველოში.

დაძაბულობა რუსეთსა და თურქეთს შორის შედარებით ახალ მოვლენას წარმოადგენს რეგიონში. 2015 წლის ნოემბერში თურქეთის მიერ, რუსეთ-სირიის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის გამო, რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებამ გამოიწვია კრიზისი ორ ქვეყანას შორის. 31 მაისს თურქეთმა რუსეთი და სირია დაადანაშაულა იდლიბში მდებარე ჰოსპიტალის დაბომბვაში. აღნიშნულის პასუხად, რუსეთმა თურქეთს დაუწესა რამდენიმე ეკონომიკური სანქცია. ეს სანქციები მოიცავდა რუსეთთან თავისუფალი სავიზო რეჟიმის შეჩერებას თურქეთის მოქალაქეებისთვის, შეზღუდვებს თურქეთში დაფუძნებული კომპანიებისთვის,

რომლებიც საქმიანობას ახორციელებდნენ რუსეთში, და შეზღუდვებს თურქული პროდუქციის იმპორტზე. საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობაზე შესაძლებელია გავლენა იქონიოს ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მნიშვნელოვანმა გაუარესებამ.

ეკონომიკურმა არასტაბილურობამ საქართველოში შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე.

ადრეულ 1990-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, საქართველოს საზოგადოებამ და ეკონომიკამ განიცადა სწრაფი ტრანსფორმაცია ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ერთპარტიული სახელმწიფოდან საბაზრო ეკონომიკის მქონე პლურალისტულ დემოკრატიად. აღნიშნული ტრანსფორმაციისთვის პერიოდულად დამახასიათებელი იყო მნიშვნელოვანი არასტაბილურობა, რაც იწვევდა “მშპ”-ს შემცირებას, ჰიპერინფლაციას, ვალუტის არამდგრადობას, სახელმწიფო ვალების მაღალ დონეს „მშპ”-თან მიმართებით, „შავი“ და „ნაცრისფერი“ ბაზრის ეკონომიკის არსებობას, უმუშევრობის მაღალ დონეს და საქართველოს მოსახლეობის ნაწილის გაღარიბებას.

2008 და 2009 წლებში მომხდარი ეკონომიკური ვარდნის შემდგომ, რაც გამოიწვია 2008 წლის კონფლიქტმა სამხრეთ ოსეთში და გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა (რამაც შეაჩერა მთავრობის მიერ 2004 წელს განხორციელებული რამდენიმე ეკონომიკური რეფორმის შედეგად დაწყებული მაღალი ეკონომიკური ზრდა), საქართველოს ეკონომიკა ზრდას დაუბრუნდა. საქსტატის ინფორმაციით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ოდენობამ 2014 წელს მიაღწია 1,818 მილიონ აშშ დოლარს, 2015 წელს - 1,652.5 მილიონ აშშ დოლარს, 2016 წელს - 1,602.9 მილიონ აშშ დოლარს, ხოლო 2017 წელს - 1,861.9 მილიონ აშშ დოლარს. ამასთან, “მშპ”-ს რეალური ზრდის მაჩვენებელმა 2014 წელს მიაღწია 4.6%-ს, 2015 წელს - 2.9%-ს, 2016 წელს - 2.8%-ს, ხოლო 2017 წელს - 5.0%-ს. ზრდის ტემპის გაუმჯობესება უმთავრესად გამოწვეული იყო ფაქტობრივი ზრდით მშენებლობაში, ფინანსურ წარმომადგენლობაში, უძრავ ქონებაში, სასტუმროებსა და რესტორნებში, და ასევე სავაჭრო და სატრანსპორტო სექტორებში. ამასთან, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის ზრდა უმთავრესად გამოიწვია პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემოდინებამ ნიდერლანდებიდან, აზერბაიჯანიდან, ჩინეთიდან და შეერთებული შტატებიდან. საქსტატის მონაცემებით, 2017 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა „მშპ“-ს 12.3% შეადგინეს (2016 წელს: 11.1%).

საქსტატის და სებ-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მიმდინარე ანგარიშგების დეფიციტმა 2015 წელს მშპ-ს 12.6% შეადგინა, 2016 წელს - 13.2%, ხოლო 2017 წელს 8.9%. მიმდინარე ანგარიშების

ბალანსის გაუმჯობესება საქონლის და ტურიზმის მომსახურების ექსპორტის ზრდამ გამოიწვია. ბალანსის ზრდის მიუხედავად, უარყოფითი სალდო კვლავ წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკს. იმ შემთხვევაში, თუ არ გაგრძელდება წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის შემოსვლა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა შესაძლებელია გამოიწვიოს მთავრობის მიერ მიმდინარე ოპერაციების ანგარიშის დეფიციტის დასაფინანსებლად აღებული სესხების ოდენობების გაზრდა, ლარის კურსის გაუარესება ან იმპორტის შემცირება, რამაც შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკა არის საკმაოდ დოლარიზებული. „სებ“-ის მონაცემებით, დოლარიზაციის მაჩვენებელმა კომერციულ ბანკებში განთავსებული იურიდიული და ფიზიკური პირების დეპოზიტებისათვის 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 60.2%-ს წარმოადგენდა, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 69.5%-ს, 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 71.4%, ხოლო 2017 წლის მონაცემებით 65.6%-ს. მიუხედავად იმისა, რომ „სებ”-მა მიიღო ზომები საქართველოს სავალუტო ბაზრის განვითარების მხარდასაჭერად, დოლარიზაციის მაჩვენებელმა შესაძლებელია არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „სებ”-ის სავალუტო და გაცვლითი კურსების პოლიტიკის განხორციელების ეფექტურობაზე.

საქართველოს ეკონომიკაზე ასევე გავლენა მოახდინა რამდენიმე გარე ფაქტორმა, მათ შორის, რუსეთ-უკრაინის კრიზისმა, ეკონომიკის ვარდნამ რუსეთში და ვალუტის გაუფასურებამ პარტნიორ ქვეყნებში (თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის ჩათვლით). აღნიშნული ფაქტორების შედეგად 2014-2016 წლებში შემცირდა საქართველოდან ექსპორტის ოდენობა, რამაც გამოიწვია უცხოეთიდან მიღებული შემოსავლის ნაკლებობა და, აშშ დოლარის კურსის გამყარების გათვალისწინებით, 2015 წელს ლარის 29.0%-ით გაუფასურება აშშ დოლართან მიმართებით. იმ დროს, როცა არსებული გაუფასურება დაეხმარა საქართველოს ეკონომიკას ამგვარ გარე ფაქტორებთან ადაპტაციაში, აღნიშნულმა დაამძიმა იმ მსესხებლების მდგომარეობა, რომლებსაც სესხები აღებული ჰქონდათ აშშ დოლარში, და გაზარდა მოთხოვნა ლარში დენომინირებულ სესხებზე. გარდა ამისა, „საქსტატის“ მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა, რომელიც გაიზომა სამომხმარებლო ფასის ინდექსის საფუძველზე, 2014 წელს მიაღწია 2.0%, 2015 წელს - 4.9%-ს, ხოლო 2016 წელს - 1.8%-ს და 2017 წელს - 6.7%. 2017 წელს გაზრდილი ინფლაცია უმეტესად ისეთი ერთჯერადი ფაქტორებით იყო გამოწვეული როგორიცაა აქციზის განაკვეთის ზრდა თამბაქოს, ალკოჰოლსა და ნავთობპროდუქტებზე. მაღალმა და უწყვეტმა ინფლაციამ შეიძლება გამოიწვიოს ბაზრის არასტაბილურობა, ფინანსური კრიზისი, მომხმარებლის ყიდვა-უნარიანობის და თვითდაჯერებულობის შემცირება. არ არსებობს იმის გარანტია, რომ საქართველო თავს გაართმევს არსებულ გარე ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მის ეკონომიკაზე.

ნებისმიერმა ცვლილებამ სავალუტო პოლიტიკაში, აშშ დოლართან ან ევროსთან ლარის შემდგომმა გაუფასურებამ, ინფლაციის განგრძობადმა ზრდამ ან სხვა ნეგატიურმა, მათ შორის, გარე ფაქტორებმა, შესაძლებელია მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე. აღნიშნულმა კი, თავის მხრივ, შეიძლება არსებითად უარყოფითი გავლენა იქონიოს „კომპანიის“ ბიზნესზე, ფინანსურ მდგომარეობაზე, ოპერაციების შედეგებსა და პერსპექტივებზე.

შესაძლებელია წარმოიქმნას გამოწვევები „DCFTA“-ის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის კუთხით.

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „**ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე, რაც გულისხმობს ევროკავშირთან ვაჭრობის ლიბერალიზაციას. მოსალოდნელია, რომ „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შექმნის ახალ ბიზნეს-შესაძლებლობებს, თუმცა შესაძლებელია ასევე წარმოშვას გამოწვევები ბიზნესისთვის, მეურნეობისთვის და სახელმწიფოსთვის.** „ასოცირების ხელშეკრულებისა“ და **„DCFTA“-ის განხორციელების მიზნით, საქართველო შეიძლება ვალდებული გახდეს მოახდინოს თავისი კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის ვაჭრობის და კონკრეტული სექტორების მარეგულირებელ კანონმდებლობასთან და მოსალოდნელია, რომ აღნიშნული ჰარმონიზაციის პროცესი გარკვეულ გამოწვევებთან იქნება დაკავშირებული.**

მას შემდეგ, რაც საქართველო 2000 წელს გახდა „WTO”-ს წევრი, იგი ეტაპობრივად ახდენდა თავისი ვაჭრობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობის ნორმებთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციას. უახლესი საკანონმდებლო ცვლილებები მოიცავს 2013 წელს საქართველოს შრომის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რაც ემსახურებოდა საქართველოს შრომითი კანონმდებლობის „ასოცირების ხელშეკრულებითა“ და **„DCFTA“-ით ნაკისრ ვალდებულებებთან დაახლოებას.** აღნიშნული ცვლილებებით დამსაქმებლებს დაეკისრათ ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების ვალდებულება, ასევე გაიზარდა ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად დასაქმებულისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (ერთი თვის ხელფასიდან ორი თვის ხელფასამდე), გამყარდა დასაქმებულის უფლებები დამსაქმებლის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრებასთან დაკავშირებით, აიკრძალა სამსახურიდან განთავისუფლება ობიექტური მიზეზის არსებობის გარეშე და გარანტირებულ იქნა საბაზისო სამუშაო პირობები. კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით ასევე გაძლიერდა კონკურენციის სფეროს მარეგულირებელი სამართალი, რამაც შეიძლება შეზღუდოს „კომპანიის“ შესაძლებლობა გაზარდოს თავისი საბაზრო წილი.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2018 წლის 7 მარტს მიღებული იქნა სრულიად ახალი კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ. აღნიშნული კანონი ამჟამად ვრცელდება მხოლოდ მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე. მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების ჩამონათვალს განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა სოციალურ პარტნიორებთან შეთანხმებით. აღნიშნული ჩამონათვალში, დღეის მდგომარეობით, არ შედის საცალო გაყიდვების ან საკვების წარმოების ბიზნესი. მიუხედავად ამისა, არ არის გამორიცხული, რომ მომავალში კანონის მოქმედების სფერო გაფართოვდეს, რამაც შესაძლოა დამატებით ვალდებულებები დააკისროს კომპანიას და შეუქმნას დამატებითი ხარჯები.

ასევე, შესაძლებელია სხვა ცვლილებები განხორციელდეს მთავრობის პოლიტიკაში, მათ შორის, ცვლილებები შეიძლება შეეხოს ადრე გამოცხადებული სამთავრობო ინიციატივების განხორციელებას. გარდა ამისა, „ასოცირების ხელშეკრულების“ განხორციელება შეიძლება მძიმე ტვირთად დააწვეს მარეგულირებელ ორგანოებს, მოხდეს მათი რესურსების გადახრა მიმდინარე რეფორმებიდან და შეამციროს ამ ორგანოების ეფექტურობა.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, „კომპანია“ შესაძლებელია ვალდებული გახდეს შესაბამისად შეცვალოს თავისი პოლიტიკა და პროცედურები, რათა შესაბამისობაში იყოს ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებების მოთხოვნებთან. მაგალითად, „კომპანიამ“, შრომის კოდექსში ზემოთ მითითებული ცვლილებების გათვალისწინებით, შეიტანა ცვლილებები თავის შრომით ხელშეკრულებებში. ცვლილებები მოსალოდნელია საკვების უსაფრთხოების რეგულაციებშიც. „კომპანია“ ვარაუდობს, რომ ცვლილებები მომავალშიც გაგრძელდება, თუმცა შეუძლებელია იმის პროგნოზირება, თუ რა გავლენას მოახდენს ამგვარი ცვლილებები „კომპანიაზე“ და რამდენად შეძლებს „კომპანია“ დაიცვას ამგვარი ცვლილებებით განსაზღვრული მოთხოვნები.

1.7 მარეგულირებელი კანონმდებლობის მიმოხილვა

ზოგადი მიმოხილვა

სს “ნიკორა ტრეიდი” ექვემდებარება გარკვეულ საკანონმდებლო შეზღუდვებს, რამდენადაც ის ჩართული არი საკვების საცალო გაყიდვაში. შესაბამისად, იგი ვალდებულია დაიცვას გარკვეული საკანონმდებლო მოთხოვნები, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია პროდუქტების მიმოქცევასთან და საკვები პროდუქტების უსაფრთხოებასთან. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული იმ ტექნიკური რეგულაციების აბსოლუტური უმეტესობა, რომლებიც რელევანტურია „კომპანიის“ ბიზნეს-საქმიანობისთვის.

ვინაიდან ნიკორა ტრეიდს გამოშვებული აქვს 25 მლნ ლარის ღირებულების ობლიგაციები, საჭიროდ მიგვაჩნია ამ სფეროს მარეგულირებელი ზოგიერთი ნორმის მიმოხილვაც, რაც მოცემულია წინამდებარე ტექსტში.

მარეგულირებელ კანონმდებლობის განვითარება

პირველი საკანონმდებლო აქტი, რომელიც არეგულირებდა საცალო გაყიდვებს (მათ შორის, საკვები პროდუქტების საცალო გაყიდვებს) იყო 1996 წლის 20 მარტს მიღებული საქართველოს კანონი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ. კანონი არეგულირებდა მომხმარებელთა საბაზისო უფლებებს და აღიარებდა კეთილსინდისიერი ვაჭრობის ისეთ ძირითად პრინციპებს, როგორიცაა გაყიდული პროდუქტის უსაფრთხოება, პროდუქტის ადეკვატური ხარისხი, სწორი და ზუსტი ინფორმაცია პროდუქტზე და სხვ. კანონი ეფუძნებოდა პოსტსაბჭოთა სტანდარტებს და აწესებდა პასუხისმგებლობას საცალო გამყიდველებისა და მწარმოებლების მიერ კანონში განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევისათვის. შესაბამისი ურთიერთობებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო სასამართლო გზით. კანონი რამდენჯერმე შეიცვალა სექტორში არსებული გარემოს ცვალებადობის გამო.

კანონთან ერთად, ამ უკანასკნელის შევსების მიზნით, 1996 წლის 13 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მიღებულ იქნა რამდენიმე ნორმატიული აქტი. აღნიშნული აქტები, მათ შორის, მოიცავდა სპეციალური საკვები და არა-საკვები პროდუქტების გაყიდვის წესებს, ხილისა და ბოსტნეულის გაყიდვის წესებს, ალკოჰოლის გაყიდვის წესებს, და ა.შ. სხვა სფეროების რეგულირების მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულ მრავალ ტექნიკურ რეგულაციასთან ერთად, არსებობდა ცალკე კანონები სტანდარტიზაციის (1999 წლის 25 ივნისი), პროდუქციის და მომსახურების სერთიფიკაციის (1996 წლის 6 სექტემბერი) და გაზომვათა ერთიანობის უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დაკავშირებული იყო საქართველოში საკვები პროდუქტის საცალო გაყიდვასთან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი, რომელიც უზრუნველყოფდა საკვები პროდუქტის უსაფრთხოებას, იყო 1999 წლის 25 ივნისს მიღებული საქართველოს კანონი საკვებისა და თამბაქოს შესახებ. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მსგავსად, აღნიშნული კანონიც ეფუძნებოდა საბჭოთა სტანდარტებს და იყო ზოგადი ხასიათის. კანონი შეიცავდა შეზღუდვებს საკვების წარმოებაში პოტენციურად საშიში ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით და არ ითვალისწინებდა კონკრეტულ პასუხისმგებლობის ზომას აღნიშნული შეზღუდვების დარღვევისთვის, რაც რეგულირდებოდა ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კოდექსებით. ბუნებრივად, მზარდმა ბაზარმა და საკვების ადგილობრივი მწარმოებლების განვითარებამ წარმოშვა უფრო ახალი მარეგულირებელი სტანდარტების დადგენის საჭიროება, რამაც შედეგად გამოიწვია პროდუქტის უსაფრთხოებისა და ხარისხის შესახებ კანონის (2005 წლის 27 დეკემბერი) და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიღება.

თუმცა, აღნიშნული რეგულაცია პრაქტიკაში საკმაოდ არაეფექტური აღმოჩნდა, რამდენადაც იგი ეფუძნებოდა მოძველებულ სტანდარტებს, არ იყო რელევანტური დასავლური ბაზრისა და თავისუფალი ეკონომიკისთვის, შეიცავდა ბევრ წინააღმდეგობრივ ნორმას და, შედეგად, იყო გამოუსადეგარი. დანაწევრებული კანონების ცენტრალიზებისა და საკანონმდებლო სიცხადის უზრუნველყოფის მიზნით, 2012 წლის 8 მაისს მიღებულ იქნა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი და სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ახალი კოდექსი. პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის ახალი კოდექსი მიზნად ისახავდა საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას და ასევე სხვადასხვა კანონებსა და ტექნიკურ რეგულაციებში არსებული არაეფექტური საკანონმდებლო ნორმის გაუქმებას. რაც შეეხება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსს, იგი იყო „DCFTA“-ის მოლაპარაკებებისთვის საქართველოს მზადყოფნასთან დაკავშირებით ევროკავშირის კომისიის რეკომენდაციების პირდაპირი შედეგი.

ორივე კოდექსი, მათში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით, დღეის მდგომარეობით არის ძალაში. ისინი აღიარებენ ევროკავშირის დირექტივებით გარანტირებულ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სტანდარტებს პროდუქტის მიმოქცევასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და აწესებენ პასუხისმგებლობას უხარისხო პროდუქტისთვის და პროდუქტის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების დარღვევისათვის. სოფლის მეურნეობის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო არის ძირითადი სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანო, რომელიც ზედამხედველობას უწევს კოდექსების მოთხოვნათა დაცვას პრაქტიკაში.

„ასოცირების ხელშეკრულების“ საფუძველზე არსებული ვალდებულებები

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ ევროკავშირთან ხელი მოაწერა „ასოცირების ხელშეკრულებას“ და გახდა „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების“ („DCFTA“) მხარე.

„DCFTA“,თავისი არსით, მიზნად ისახავს გაზარდოს თავისუფლება საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის სფეროში, მოიცავს მრავალ რელევანტურ საკითხს (მაგ. საკვების უსაფრთხოება) და გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ეტაპობრივად დაახლოებას. იგი შესაძლებლობას აძლევს საქართველოს ისარგებლოს შემდეგი სამი ძირითადი თავისუფლებით ევროკავშირის ერთიან ბაზარზე: საქონლის თავისუფლება, მომსახურების თავისუფლება და კაპიტალის თავისუფლება.

„DCFTA“-ის მეოთხე თავი (სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები) შეიცავს საქართველოს ვალდებულებას ექვსი თვის ვადაში (2015 წლის თებერვალი) ევროკავშირს წარუდგინოს ევროკავშირის იმ კანონმდებლობის სია, რომელთანაც უნდა მოხდეს საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება. შემდგომში, აღნიშნული სია შეიცვალა საქართველოში ევროკავშირის ექსპერტების ვიზიტის შედეგად. არსებული რედაქციით კანონმდებლობის სია შეიცავს ევროკავშირის 102 საკანონმდებლო აქტს საკვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით და 84 აქტს ვეტერინარიასთან დაკავშირებით.

არსებობს გონივრული ვარაუდი იმისა, რომ საკვების წარმოებასთან და მეცხოველეობასთან დაკავშირებით ევროკავშირის სტანდარტების მიღება გაზრდის შესაბამისი ბიზნეს ოპერატორების საოპერაციო ხარჯებს.

ანტი-მონოპოლიური რეგულაციები

საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე ზედამხედველობას ახორციელებს 2014 წლის აპრილში დაფუძნებული კონკურენციის სააგენტო, რომელიც დაარსდა საქართველოს კონკურენციის შესახებ კანონის („**კონკურენციის შესახებ კანონი**“) საფუძველზე. „კონკურენციის შესახებ კანონი“ აღწერს და განსაზღვრავს იმ ქმედებებს, რომლებიც შეუთავსებელია სამართლიან კონკურენციასთან შესაბამის ბაზარზე. კანონის მიზანია უზრუნველყოს სამართლიანი კონკურენცია შესაბამის ბაზარზე, სპეციალურად რეგულირებული სექტორების გამოკლებით (კანონის მოქმედება არ ვრცელდება ისეთ სექტორებზე, რომელთაც ჰყავთ თავიანთი მარეგულირებელი ორგანო, მაგ.: კომერციული

ბანკები). კონკურენციის ცნების განმარტება კონკურენციის შესახებ კანონის მიხედვით არის შემდეგი: „ბაზარზე არსებულ და პოტენციურ ეკონომიკურ აგენტებს შორის უკეთესი პოზიციის დასაკავებლად არსებული კონკურენცია“. ამასთან დაკავშირებით, „კონკურენციის შესახებ კანონი“ გამოყოფს რამდენიმე სახის ქმედებას, რაც შეუთავსებლად ითვლება თავისუფალ კონკურენციასთან, კერძოდ: ა) დომინანტური პოზიციის ბოროტად გამოყენება; ბ) კონკურენციის შემზღუდველი ხელშეკრულება, გადაწყვეტილება კონკურენციის შეზღუდვაზე, შეთანხმებული ქმედება; გ) შემზღუდველი კონცენტრაცია (შერწყმა ან სხვა კონსოლიდაცია რაც იწვევს კონკურენციის შეზღუდვას); დ) არაკეთილსინდისიერი კონკურენცია; და ე) სახელმწიფო დახმარება.

ზოგადად, „კონკურენციის შესახებ კანონი“ შედგენილია ევროკავშირის კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლიანი კონკურენციის პრინციპებზე დაყრდნობით. ამასთან, „ასოცირების ხელშეკრულება“ შეიცავს სპეციალურ ნაწილს (თავი 10), რომელიც მთლიანად ეძღვნება კონკურენციის საკითხებს. შესაბამისად, ქართველი კანონმდებლის მიდგომა „კონკურენციის შესახებ კანონთან“ დაკავშირებით, შესაბამისობაშია ევროპულ მიდგომასთან.

კონკურენციის სააგენტო ახორციელებს კერძო პირების მიერ საქართველოს ანტი-მონოპოლურ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კონტროლს და აქვს სხვადასხვა უფლებები მოახდინოს რეაგირება მისი დარღვევის შემთხვევაში, მათ შორის, მოახდინოს ჯარიმების დარიცხვა. დარიცხული ჯარიმის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი კომპანიის წლიური ბრუნვის 5%-ს, რაც შეიძლება გაიზარდოს 10%-მდე განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში. შესაბამისი ეკონომიკური აგენტი უფლებამოსილია კონკურენციის სააგენტოს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

დასაქმება

დამსაქმებლის რანგში, „ნიკორა ჯგუფის“ კომპანიები ვალდებულნი არიან დაიცვან ადგილობრივი შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტები თანამშრომლების აყვანის, მათთან ხელშეკრულების შეწყვეტის და მათი დასაქმების ფარგლებში. ძირითადი შრომითი საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირებულია საქართველოს შრომის კოდექსით. მოქმედი შრომის კოდექსი მიღებულ იქნა 2010 წლის 17 დეკემბერს. თუმცა, 2013 წლის ივნისში მასში შეტანილ იქნა ცვლილებათა მთელი პაკეტი, რომელიც მიიღო პარლამენტმა და რომელმაც შეცვალა მისი შინაარსი. ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, მოქმედი შრომის კოდექსი აღარ მოქმედებს დამსაქმებლის სასარგებლოდ, პირიქით, მასში შეტანილია დასაქმებულის დამცავი უამრავი უფლება. ძირითადად ასეთი დაცვითი მექანიზმები დასაქმებულების სასარგებლოდ მოქმედებს ხელშეკრულების შეწყვეტის წესთან დაკავშირებით - დამსაქმებელი არ არის უფლებამოსილი

შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება უსაფუძვლოდ. ამასთან, ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც 30 თვეზე მეტი ხნის ვადით გრძელდება, ითვლება განუსაზღვრელი ვადით დადებულ ხელშეკრულებად და, შესაბამისად, მას არ შეიძლება გაუვიდეს მოქმედების ვადა (შესაძლებელია მხოლოდ მათი შეწყვეტა). დამსაქმებლები ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ზეგანაკვეთური შრომის საათები. ზეგანაკვეთურად ითვლება ნებისმიერი დრო, რომელიც აღემატება კვირაში 40 საათს (ზოგიერთ კონკრეტულ შემთხვევაში დასაშვებია კვირაში 48 საათი). განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსი არ ახდენს დიფერენცირებას ე.წ. ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლებსა და მუშა-ხელს შორის, ასევე სხვა თანამშრომლებისგან არ განასხვავებს მაღალი თანამდებობის პირებს, რომელთაც უკავიათ მენეჯერული პოზიციები, რაც შესაძლოა პრობლემატური იყოს გარკვეულ შემთხვევებში.

მნიშვნელოვანია, რომ შრომის კოდექსი არ ავალდებულებს დამსაქმებლებს უზრუნველყონ მათი თანამშრომლები ნებისმიერი სახის სადაზღვევო პაკეტით ან სხვა რაიმე სოციალური სარგებლით, ასევე არ ავალდებულებს მათ მისცენ თანამშრომლებს ანაზღაურება ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების დროს, თუმცა ორივეს შეთავაზება დამსაქმებლის მხრიდან ითვლება საუკეთესო პრაქტიკად. სხვა შემთხვევაში, დასაქმებულები უნდა დაეყრდნონ სახელმწიფოსგან მისაღებ ერთჯერად კომპენსაციას ორსულობის და მშობიარობის გამო შვებულების შემთხვევაში და საყოველთაო სახელწიფო დაზღვევას, რომელიც ლიმიტირებულ პაკეტს სთავაზობს მომხმარებლებს.

ლიკვიდაციის წესები

როგორც მეწარმე სუბიექტი, სს "ნიკორა ტრეიდი" და „ნიკორა ჯგუფის" ყველა წევრი გარკვეულ მომენტში შესაძლოა დაექვემდებაროს ლიკვიდაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი კანონმდებლობა იცნობს ლიკვიდაციის ორ რეჟიმს: (ა) ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია; და (ბ) იძულებითი ლიკვიდაცია.

<u>ნებაყოფლობითი ლიკვიდაცია</u> - როგორც წესი ნებაყოფლობით ლიკვიდაციაზე გადაწყვეტილება მიიღება კომპანიის პარტნიორების მიერ. თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული კომპანიის წესდებით, პარტნიორები, რომლებიც ფლობენ ხმების 75%-ს ან მეტს, უფლებამოსილნი არიან მიიღონ გადაწყვეტილება ლიკვიდაციის თაობაზე. აპლიკაციის წარდგენა ხდება საჯარო რეესტრში. ეს უკანასკნელი შეტყობინებას უგზავნის საქართველოს შემოსავლების სამსახურს (იმ პირობით, რომ ლიკვიდაციას წინ უსწრებს აუდიტორული შემოწმება იმის დასადგენად, რომ არ არსებობს რაიმე ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე) და უზრუნველყოფს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების

საჯაროობას, რათა ყველა კრედიტორს ჰქონდეს აღნიშნულ ინფორმაციაზე წვდომა. ყველა კრედიტორის სრული დაკმაყოფილება არის ნებაყოფლობითი ლიკვიდაციის პროცესის წარმატებით დასრულების აუცილებელი წინაპირობა.

იძულებითი ლიკვიდაცია - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიულ პირებს შესაძლოა დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (მათ შორის, პასუხისმგებლობას ფულის გათეთრების, თაღლითობის და უკანონო სამეწარმეო საქმიანობისთვის) და სასჯელი ჩადენილი დანაშაულისთვის, რაც მოიცავს იურიდიული პირის ლიკვიდაციას. იურიდიული პირის ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ და მისი აღსრულება უნდა განხორციელდეს მოქმედი წესების და პროცედურების მიხედვით.

გადახდისუუნარობა

დერეგულირებულ იურიდიულ პირებზე, მათ შორის, „ნიკორა ჯგუფის“ კომპანიებზე, ვრცელდება საქართველოს გადახდისუუნარობის შესახებ კანონით გათვალისწინებული პროცედურები (გამონაკლისია ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ., რომლებიც ექვემდებარებიან სპეციალური რეგულირების რეჟიმს და რომელთა გადახდისუუნარობის პროცედურა რეგულირებულია შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ).

კომპანიის გადახდისუუნარობის შეფასება ხორციელდება იმის მიხედვით, თუ რამდენად შეუძლია იურიდიულ პირს მისი ვალდებულებების დაფარვა მათი შესრულების ვადის დადგომისას. გადახდისუუნარობის პროცედურები შეიძლება დაიწყოს, თუ მოვალე გადახდისუუნარო გახდება ან შესაძლოა გახდეს გადახდისუუნარო ახლო მომავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადეკვატური ზომები იქნება მიღებული შესაძლო გადახდისუუნარობის თავიდან ასაცილებლად. გადახდისუუნარობის საქმისწარმოება შესაძლოა დაიწყოს თავად კომპანიამ ან მისმა კრედიტორებმა, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მისი დაწყების კანონით განსაზღვრული წინაპირობები.

გადახდისუუნარობის საქმისწარმოების დაწყების შემდეგ, ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არსებობს შემდეგი სახის რამდენიმე სცენარი, რომლის მიხედვითაც შეიძლება წარიმართოს გადახდისუუნარობის პროცესი: ა) გაკოტრება, რასაც მოჰყვება ლიკვიდაცია (საჯარო რეესტრიდან კომპანიის დერეგისტრაცია); ბ) რეაბილიტაცია (რაც სხვა იურისდიქციებში გაიგივებულია რეორგანიზაცია/რესტრუქტურიზაციასთან); ან გ)

გადახდისუუნარობის საქმის შეწყვეტა. „გ“ პუნქტში აღნიშნული ოფციის გამოყენება შესაძლოა იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს გადახდისუუნარობის საფუძვლები ან ასეთი საფუძვლები აღმოფხვრილ იქნა გადახდისუუნარობის დაწყების შემდეგ ან მოვალეს აქვს შესაძლებლობა მიმდინარე დავალიანებები გაისტუმროს სხვა კრედიტორების ინტერესების ხელყოფის გარეშე.

გაკოტრების შემთხვევაში კომპანიის აქტივები გაიყიდება აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ ორგანიზებულ აუქციონზე და კრედიტორები (რაც ასევე მოიცავს ობლიგაციების მფლობელებს) დაკმაყოფილდებიან კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით:

i. პირველი რანგი - აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის გადასახდელი პროცედურული ხარჯები და მოსაკრებელი;
ii. მეორე რანგი - სასამართლოში გადახდისუუნარობის პროცესის დაწყების თაობაზე განცხადების წარდგენის შემდეგ წარმოშობილი ვალდებულებები, რაც მოიცავს საგადასახადო ვალდებულებებს;
iii. მესამე რანგი - გაკოტრების მმართველის დანიშვნასთან დაკავშირებული ხარჯები და მისი ანაზღაურება;
iv. მეოთხე რანგი - ყველა უზრუნველყოფილი მოთხოვნა, რაც მოიცავს საგადასახადო უზრუნველყოფილ მოთხოვნებს;
v. მეხუთე რანგი - საგადასახადო ვალდებულებები, რომლებიც არ არის უზრუნველყოფილი და არ ვარდება მეოთხე რანგში;
vi. მეექვსე რანგი - ყველა სხვა არაუზრუნველყოფილი მოთხოვნა, რაც მოიცავს ობლიგაციების მფლობელების მოთხოვნებს;
vii. მეშვიდე რანგი - დაგვიანებული მოთხოვნები ანუ მოთხოვნები, რომელიც სასამართლოს წარედგინა კანონით დადგენილი მოთხოვნების წარდგენის ვადის ამოწურვის შემდეგ.

ამონაგები თანხა, რაც არ არის საკმარისი ერთი და იმავე რანგის მოთხოვნების სრულად დასაკმაყოფილებლად, კრედიტორებს შორის განაწილდება თანაბარი პრიორიტეტით შესაბამისი მოთხოვნის თანხების პროპორციულად. ზემოაღნიშნული რიგითობა არ შეეხება ფინანსურად უზრუნველყოფილ მოთხოვნებს, რომლებიც პრიორიტეტულად დაკმაყოფილდება სწორედ ამ უზრუნველყოფის საშუალებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია გააკეთებს განაცხადს გადახდისუუნარობის პროცესის დაწყებაზე და გეგმავს რეაბილიტაცია/რეორგანიზაციას, მაშინ კომპანიამ მხედველობაში უნდა მიიღოს ის, რომ მას მოუწევს კომპანიის არსებული კრედიტორების სრულად დაკმაყოფილება.

1.8 „ობლიგაციების“ დაბეგვრა საქართველოში

წინამდებარე თავი შეჯამებას უკეთებს ქართულ საგადასახადო სისტემას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელთათვის. წინამდებარე შეჯამება ეფუძნება „კომპანიის“ მიერ მოქმედი კანონების, რეგულაციების და გადაწყვეტილებების გაგებას და ექვემდებარება საგადასახადო სამართლის ინტერპრეტაციების და პრაქტიკის ცვლილებებს, მათ შორის, ცვლილებებს, ინტერპრეტაციებს და განცხადებებს, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ უკუძალა. ქვემოთ აღნიშნული გარკვეული განცხადებები „ობლიგაციების“ მფლობელების შესაძლო საგადასახადო რეგულირებასთან დაკავშირებით ამ კონტექსტში უნდა იქნას წაკითხული.

წინამდებარე შეჯამება არ აღწერს ყველა საგადასახდო რეგულაციას, რაც შესაძლოა საინტერესო იყოს „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის, განსაკურებით იმ „ობლიგაციების“ მფლობელთათვის, რომლებზეც ვრცელდება სპეციალური საგადასახადო წესები. რეკომენდებულია „ობლიგაციების“ მფლობელებმა კონსულტაციები გაიარონ მათ პროფესიონალ მრჩევლებთან „ობლიგაციების“ შეძენის შედეგებთან დაკავშირებით, იმ ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით, რომლის რეზიდენტებიც არიან.

წინამდებარე ანალიზი წარმოადგენს საგადასახადო საკითხების ზოგად მიმოხილვას „ობლიგაციებთან“ დაკავშირებით, რომელიც მომზადებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

პროცენტის დაბეგვრა გადახდის წყაროსთან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „ობლიგაციების“ მფლობელებისთვის (რეზიდენტი ან არარეზიდენტი ფიზიკური პირები, არარეზიდენტი იურიდიული პირები და რეზიდენტი ან არარეზიდენტი ორგანიზაციები) გადახდილი პროცენტი იბეგრება გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით. გადახდის წყაროსთან დაბეგრილი პროცენტი მიმღები ფიზიკური პირის მიერ არ უნდა იქნას ჩართული მის ერთობლივ შემოსავალში. საქართველოს რეზიდენტი იურიდიულ პირები, ასევე არარეზიდენტი იურიდიული პირების მუდმივი დაწესებულებები შემოსავალში რთავენ ობლიგაციის ფლობისგან მიღებულ საპროცენტო შემოსავალს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, „ობლიგაციებიდან“ მისაღები პროცენტი გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება და ამგვარი პროცენტი არ უნდა იქნას ჩართული „ობლიგაციების“ მფლობელების ერთობლივ შემოსავალში (როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირების შემთხვევაში), თუ „ობლიგაციები“ იურიდიული პირის მიერ საქართველოში საჯარო შეთავაზების გზით არის გამოშვებული და სავაჭროდ დაშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებულ ორგანიზებულ ბაზარზე („**აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი**“)[5].

„ობლიგაციების“ იმ მფლობელებისთვის გადასახდელი პროცენტი, რომლებიც წარმოადგენენ საქართველოს მთავრობის მიერ ოფშორულ ზონებად აღიარებულ და შეღავათიანი დაბეგვრის სისტემის მქონე ქვეყნებში რეგისტრირებულ კომპანიებს, იბეგრება 15%-იანი განაკვეთით.

პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგვრაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ორმაგი დაბეგვრის თაობაზე საქართველოს და იმ ქვეყანას შორის გაფორმებულმა შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის „ობლიგაციების“ მფლობელი, რის საფუძველზეც ობლიგაციის მფლობელმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით (გათავისუფლდეს გადახდის წყაროსთან დაბეგვრისგან).

„ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების ან საშემოსავლო გადასახადი არ იქნება გადასახდელი „ობლიგაციების“ გაყიდვასთან დაკავშირებით, თუ მასზე გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“.

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“., შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგი საგადასახადო ვალდებულებები:

[5] გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N33/04 ბრძანების საფუძველზე, რომელიც მიღებულ იქნა 2018 წლის 20 თებერვალს, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (ს/კ: 211382145; სალიცენზიო ნომერით: №9001, თარიღი: 14.01.2000) ის ნაწილი, რომელიც 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ „ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ წესის“ შესაბამისად განსაზღვრულია „A“ და „B“ კატეგორიის სალისტინგო სეგმენტად (კატეგორიად), აღიარებულ იქნა ორგანიზებულ ბაზრად 2018 წლის 1 იანვრიდან. ამასთან, საქართველოს საფონდო ბირჟას განესაზღვრა ვადა 2018 წლის 31 აგვისტომდე, რომ დააკმაყოფილოს ეროვნული ბანკის ყველა მოთხოვნა და აღიარებულ იქნას ორგანიზებულ ბაზრად. იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს საფონდო ბირჟა დადგენილ ვადაში ვერ დააკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს, არსებობს იმის რისკი, რომ ბიჟამ დაკარგოს აღნიშნული სტატუსი, რასაც შედეგად მოჰყვება ინვესტორების მიერ შესაბამისი საგადასახადო შეღავათების დაკარგვა.

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი იურიდიული პირები 15%-იან მოგების გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს მოგების გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. მოგების გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი საწარმო (რის საფუძველზეც გამყიდველმა შესაძლებელია ისარგებლოს შეღავათით და გათავისუფლდეს გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან საქართველოში).

„ობლიგაციების“ მფლობელი არარეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, არარეზიდენტი ფიზიკური პირები 20%-იან საშემოსავლო გადასახადს გადაიხდიან თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ამგვარი გაყიდვა წარმოშობს საგადასახადო ვალდებულებას, გამყიდველ არარეზიდენტ პირს აქვს ვალდებულება სათანადოდ განაცხადოს და გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი საქართველოს საგადასახადო ორგანოების წინაშე, ან თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. იმ შემთხვევაში, როცა გადასახადის დაკავება ხდება საბროკერო კომპანიის მიერ, გადასახადის განაკვეთი შეადგენს არარეზიდენტის მიერ მიღებული ნამეტი შემოსავლის 10%-ს. საშემოსავლო გადასახადის გადახდაზე შესაძლოა გავლენა მოახდინოს საქართველოსა და იმ ქვეყანას შორის დადებული ორმაგი დაბეგვრის შესახებ შეთანხმებამ, რომლის რეზიდენტიც არის გამყიდველი პირი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი იურიდიული პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი იურიდიული პირები ვალდებულნი არიან შემოსავალში ჩართონ „ობლიგაციების“ გასხვისებით მიღებული ნამეტი შემოსავალი, რომლის დაანგარიშება ხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. საგადასახდო კოდექსში შეტანილი ახალი ცვლილებების თანახმად, მოგების გადასახადის გადახდა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების განაწილება მოხდა იურიდიული პირის პარტნიორებს შორის. შესაბამისად, რეზიდენტ იურიდიულ პირს შესაძლებელია დაუყოვნებლივ არ წარმოეშვას მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება.

„ობლიგაციების“ მფლობელი რეზიდენტი ფიზიკური პირების მიერ „ობლიგაციების“ გაყიდვის დაბეგვრა

თუ „ობლიგაციების“ გაყიდვაზე არ გავრცელდება „აღიარებული ორგანიზებული ბაზრის გამონაკლისი“, რეზიდენტი ფიზიკური პირები ვალდებულნი არიან გადაიხადონ 20%-იანი საშემოსავლო გადასახადი „ობლიგაციების“ გასხვისების შემდეგ. საშემოსავლო გადასახადის დაანგარიშება მოხდება თავდაპირველი ყიდვის ფასსა და შემდგომი გაყიდვის ფასს შორის არსებულ სხვაობაზე. თუ ნასყიდობა განხორციელებულია ქართული საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ასეთი საბროკერო კომპანია ვალდებულია დააკავოს შესაბამისი გადასახადი. გამონაკლისები შესაძლებელია გავრცელდეს „ობლიგაციების“ ზოგიერთ მფლობელზე, რომლებიც „ობლიგაციებს“ ფლობენ ორ კალენდარულ წელზე მეტი ხნის ვადით და არ იყენებენ მათ ეკონომიკურ საქმიანობაში.

გადასახადი ძირი თანხის გადახდაზე

„ობლიგაციის“ მფლობელების მიერ „ობლიგაციების“ გამოსყიდვისას მიღებული ძირი თანხა არ ითვლება დასაბეგრ შემოსავლად და, შესაბამისად, არ ექვემდებარება დაბეგვრას საქართველოში, იმ პირობით, რომ გამოსასყიდი ფასი არ აღემატება „ობლიგაციის“ თავდაპირველი გამოშვების ფასს.

დამატებული ღირებულების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსი „ობლიგაციების“ გაყიდვას განიხილავს იმგვარ ფინანსურ ოპერაციად, რომელიც გათავისუფლებულია დამატებული ღირებულების გადასახადისგან.

სხვა საკითხები

საქართველოს საგადასახდო კოდექსი საგადასახადო ორგანოს აძლევს უფლებას გადაამოწმოს მხარეების მიერ მითითებული ტრანზაქციის ფასი, შესაბამისი პროცედურული მოთხოვნების დაცვით.

1.9 კომპანიის არსებითი ხელშეკრულებები

საკრედიტო ხელშეკრულებები სს „თიბისი ბანკთან“

წინამდებარე ანგარიშგების მომზადების თარიღის მდგომარეობით, „ნიკორა ტრეიდსა“ და „თიბისი ბანკს“ შორის გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანია სარგებლობს სხვადასხვა მიზნობრივი სესხით (სესხების შესახებ ინფორმაცია იხილეთ ფინანსური ინფორმაციის თავში).

საკრედიტო ხელშეკრულებების მიზნობრიობა განსხვავდება და მოიცავს როგორც სს „საქართველოს ბანკის“ წინაშე არსებული ვალდებულებების რეფინანსირებას, ასევე კაპიტალური დანახარჯების და ძირითადი საშუალებების ფინანსირებას. საკრედიტო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულია მთელი რიგი როგორც არაფინანსური, ასევე ფინანსური კოვენანტები. მათ შორის, ბანკის ნებართვის გარეშე „კომპანია“ არ არის უფლებამოსილი გააფორმოს ლიზინგი, აიღოს სესხები ან რაიმე სხვა ფინანსური ვალდებულება ნებისმიერი ფინანსური ინსტიტუტიდან ან აიღოს ფინანსური ვალდებულებები (გარდა კონსიგნაციით შეძენილი სარეალიზაციო პროდუქციის ვალდებულებისა).

პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულება შპს „ნიკორასთან“

შპს „ნიკორა“ წარმოადგენს ნიკორა ტრეიდის ყველაზე მსხვილ მიმწოდებელს. შპს „ნიკორასა“ („გამყიდველი“) და „ნიკორა ტრეიდს“ („მყიდველი“) შორის გაფორმებულია პროდუქციის მიწოდების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „ნიკორა“ სუპერმარკეტების ქსელს ამარაგებს ხორცით, ხორცპროდუქტებით და ნახევარფაბრიკატებით. გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო პროდუქცია. გამყიდველი ასევე პასუხისმგებელია, რომ მიწოდებული პროდუქცია აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ეტიკეტირების და პროდუქტის უსაფრთხოების სტანდარტებს.

ხელშეკრულება ასევე ითვალისწინებს მყიდველის მიერ გამყიდველის პროდუქციის (ან კონკრეტული პროდუქტის ან ასორტიმენტის) დაშვებისათვის საფასურის გადახდას, ისევე როგორც რეტრო ბონუსების გადახდის სისტემას. ასევე მყიდველი და გამყიდველი შესაძლოა შეთანხმდნენ მყიდველის მიერ გარკვეული მარკეტინგული მომსახურების გაწევის პირობებზე.

ხელშეკრულება ითვალისწინებს გამყიდველის სანქცირებას პროდუქციის მიუწოდებლობის ან მიწოდების დაყოვნების, ისევე როგორც პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენილ სტანდარტთან შეუსაბამობის გამო. სანქციის სიმძიმე დამოკიდებულია დარღვევის ხარისხზე და პოტენციურ ზიანზე.

ხელშეკრულების საფუძველზე, გამყიდველი უფლებამოსილია საკუთარი სარეალიზაციო პოლიტიკის გათვალისწინებით მოახდინოს გარკვეული პროდუქტების დელისტირება, ხოლო რომელიმე პროდუქტით მომარაგების შეფერხების შემთხვევაში ვალდებულია მყიდველს აცნობოს 7 დღით ადრე მაინც.

ხელშეკრულება დადებულია 1 წლის ვადით. მყიდველი ნებისმიერ დროს არის უფლებამოსილი შეწყვიტოს ხელშეკრულება გამყიდველისთვის 15 დღით ადრე შეტყობინების მიწოდების საფუძველზე.

ხელშეკრულებები სხვა მომწოდებლებთან

კომპანია ყველა მომწოდებელთან დებს სტანდარტულ ხელშეკრულებებს, რომელთა საფუძველზეც უფლება-მოვალეობების გადანაწილება მეტწილად იდენტურია (იხ. შპს „ნიკორასთან“ არსებული ხელშეკრულების აღწერა). განსხვავდება მხოლოდ კომერციული პირობები (როგორიცაა გადახდის პირობები, რეტრო ბონუსების ოდენობა და ა.შ.).

1.10 ტრანზაქციები დაკავშირებულ პირებთან "კომპანიის" დონეზე

13. დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი აქციონერები, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

27.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფის მფლობელია სს "ნიკორა", რომელიც ფლობს ხმების 86.15 %-იან წილს.

27.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ათასი ლარი ტრანზაქციები	2018 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის
კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ		
საქონლის რეალიზაცია	431	327
მომსახურების გაწევა	4,256	3,607
მარაგების შესყიდვა	(70,016)	(63,784)
სერვისების მიღება	(2,656)	(2,442)
სესხების აღება	7,314	-
სესხების დაფარვა	(307)	(1,606)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	306	3
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	99	-
	(60,573)	(63,895)

ათასი ლარი ბალანსები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,009	2,424
მიღებული სესხები	(3,593)	(3,480)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(7,947)	(7,274)
	(10,531)	(8,330)

27.3 გარიგებები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ხელფასებში, მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	440	425
	440	425

2 კორპორაციული მართვის ანგარიშგება

კორპორაციული მართვის კოდექსი საქართველოში დღემდე არ არის მიღებული საკანონმდებლო დონეზე და შესაბამისად ქართული კომპანიები არ არიან ვალდებულნი დაიცვან ის კორპორატიული მართვის პროცედურები, რაც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. თუმცა, კომპანიას, როგორც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშვალდებულ საწარმოს, შექმნილი აქვს კორპორატიული მართვის კოდექსი საზოგადოების წესდების ფარგლებში, რომელიც მოიცავს კორპორატიული მართვის, გადაწყვეტილებების მიღების წესებს და აგრეთვე უმაღლესი მმართველი ორგანოს, სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირისთვის დადგენილ უფლება-მოვალეობებს; საზოგადოების წესდება საჯაროა, კერძოდ განთავსებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში, სადაც შესაძლებელია აგრეთვე ყველა თანმდევი ცვლილების ნახვა;

2.1 კომპანიის მმართველობის ორგანოები

სს ნიკორა ტრეიდში მოქმედებს საზოგადოების მართვის დუალისტური სისტემა, რაც გულისხმობს იმას, რომ საზოგადოებას ყავს ორი მმართველი ორგანო აქციონერთა საერთო კრება, როგორც მართვის უმაღლესი ორგანო და სამეთვალყურეო საბჭო.
საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო, შედგება სამი წევრისგან. სამეთვალყუროე საბჭოს ფუნქციაა კომანიის დირექტორის საქმიანობაზე ზედამხედველობა და კონტროლი.
საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოში ქვეკომიტეტად შექმნილია აუდიტის კომიტეტი, რომლის ფუნქციაა ზედამხედველობა გაუწიოს ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს,ხარისხის კონტროლის, რისკების მართვის და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას, ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით; საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხიმგებელი პირია აღმასრულებელი დირექტორი, რომლის უფლება- მოვალეობები აგრეთვე განსაზღვრულია წესდებით და კანონით. აღმასრლებელი დირექტორის ხელმძღვანელობის უფლებამოსილება გულისხმობს უფლებამოსილების ფარგლებში საწარმოს სახელით გადაწყვეტილებების მიღებას, ხოლო წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გულისხმობს საწარმოს სახელით გამოსვლას მესამე პირებთან ურთიერთობაში.

პარტნიორთა საერთო კრება

საზოგადოების უმაღლესი ორგანოა აქციონერთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში სულ მცირე ერთხელ, საზოგადეობის წლიური ბალანსის შედგენიდან 2 თვის ვადაში, სხვა შემთხვევებში მოიწვევა რიგგარეშე სარეთო კრება წესდებით განსაზღვრული პირების მიერ.

საერთო კრება უფლებამოსილია:

ა) შეცვალოს საზოგადოების წესდება, მათ შორის, საწესდებო კაპიტალი, საფირმო სახელწოდება, შეიტანოს სხვა ცვლილებები საზოგადოების წესდებაში, გადაწყვიტოს მისი ლიკვიდაციის საკითხი;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის, გაყოფის, ან გარდაქმნის შესახებ;

გ) მთლიანად, ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ აქციების უპირატესი შესყიდვის უფლება საწესდებო კაპიტალის გაზრდის დროს, აგრეთვე, საწესდებო კაპიტალის გაზრდის მიზნით აქციებში კონვერტირებადი სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისას.

დ) მიიღოს, ან უარყოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორების წინადადება მოგების გამოყენების შესახებ, ან როცა ეს ორგანოები ვერ იძლევიან ერთიან წინადადებას, მიიღოს გადაწყვეტილება წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

ე) აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან, განსაზღვროს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის არჩევის ვადა;

ვ) დაამტკიცოს აღმასრულებელი დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშები;

ზ) გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების, მივლინების და სხვა საკითხ(ებ)ი;

თ) აირჩიოს და გაათავისუფლოს გარე აუდიტორი.

ი) მიიღოს გადაწყვეტილებები სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელი დირექტორების წინააღმდეგ სასამართლო პროცესში მონაწილეობის შესახებ, ამ პროცესისათვის წარმომადგენლის დანიშვნის ჩათვლით;

კ) მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების ქონების შეძენის, გასხვისების, გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) ან სხვაგვარად დატვირთვის შესახებ, რომელთა ღირებულება აღემატება საზოგადოების აქტივების 50 (ორმოცდაათი) პროცენტზე მეტს, გარდა ისეთი გარიგებებისა, რომლებიც წარმოადგენს ჩვეულ საწარმოო საქმიანობას.

ლ)მიიღოს გადაწყვეტილებები საზოგადოების მიერ სესხებისა და კრედიტების აღების ან/და უზრუნველყოფის თაობაზე, რომლებიც აღემატება 20 (ოცი) მილიონ ლარს;

უფლების განხორციელების წესი

აქციონერთა კრების ზემოაღნიშნული უფლებამოსილებების განხორციელებისთვის, განსაზღვრულია აქციების მფლობელების მიერ გადაწყვეტილების მიღების ხმათა სხვადასხვა პროცენტული რაოდენობები, რომელიც მერყეობს ხმის უფლების მქონე კაპიტალის 50%- 75%- ზე მეტი აქციების მფლობელთა რაოდენობებს შორის, თუ კონკრეტულ შემთხვევაში კანონით სხვა რამ არ იქნა გათვალისწინებული;

ჩამოთვლილი უფლებამოსილებების გარდა, ყველა სხვა საკითხზე გადაწყვეტილებებს იღებს აღმასრულებელი დირექტორი ან სამეთვალყურეო საბჭო თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აქციონერთა უფლებამოსილებები:

საზოგადოების აქციონერს უფლება აქვს:

ა) პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით დაესწროს აქციონერთა საერთო კრებას და მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში;

ბ)იქონიოს ერთი ხმა აქციონერთა კრებაზე მის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებულ ყოველ აქციაზე.
გ) ინფორმირებული იქნას საერთო კრების ჩატარებისა და მათზე განსახილველი საკითხების თაობაზე;
დ) მოგების განაწილების შემთხვევაში მიიღოს დივიდენდები მისი კუთვნილი აქციების რაოდენობის პროპორციულად.
ე) განკარგოს საკუთარი აქციები კანონმდებლობით დადგენილი წესით. აქციების დაგირავების, გასხვისებისთვის ან მესამე პირზე სხვა ფორმით გადაცემისთვის აუცილებელია აქციონერთა საერთო კრების წინასწარი თანხმობა. ამ პუნქტის მოქმედება არ ვრცელდება საჯარო ფასიან ქაღალდებზე.
ვ) მოსთხოვოს საზოგადოებას თავისი აქციების შეფასება და გამოსყიდვა;
ზ) სამეთვალყურეო საბჭოსგან მოითხოვოს იმ საკითხების დაზუსტება, რომლებიც შედის აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგში.
თ)მოსთხოვოს განმარტებები აღმასრულებელ დირექტორსა (დირექტორებს) და სამეთვალყურეო საბჭოს საერთო კრების დღის წესრიგის თითოეული პუნქტის გამო და გამოთქვას თავისი აზრი.
ი) აქციების სარეთო რაოდენობის 5%-ის ან მეტის მფლობელებს უფლება აქვთ მოითხოვონ სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანი წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მათ გააჩნიათ საფუძვლიანი ეჭვი, რაიმე დარღვევის თაობაზე.
კ) საზოგადოება უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს აქციათა 5%-ის მფლობელი აქციონერების მოთხოვნა საზოგადოების სახელით დადებული გარიგებებთან და ინფორმაციებთან დაკავშირებით, თუ აღნიშნული მოთხოვნა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს ან შესაძლებელია საფრთხე შეექმნას საზოგადოების კომერციული საიდუმლოების განჭვავნებას.
ლ) აქციების 5%-ის მფლობელ აქციონერებს ან აქციონერთა ჯგუფს უფლება აქვთ, საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ ორგანოს (სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორებს) მოსთხოვონ საზოგადოების აქციონერთა რიგგარეშე კრების ჩატარება.

სამეთვალყურეო საბჭო
საზოგადოებაში შექმენილია სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 3 (სამი) წევრისაგან.
სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის არჩევა ხდება 3 (სამი) წლის ვადით, ხოლო უფლებამოსილების ვადა გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც მორიგი საერთო კრების მოწვევამდე.

სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენცია შემდეგია:

ა) კონტროლი გაუწიოს აღმასრულებელი ან/და სხვა დირექტორ(ებ)ის საქმიანობას; სამეთვალყურეო საბჭოს ნებისმიერ დროს შეუძლია, მოითხოვოს აღმასრულებელი ან სხვა დირექტორებისაგან საზოგადოების საქმიანობის ანგარიში.
ბ) სამეთვალყურეო საბჭოს შეუძლია გააკონტროლოს და შეამოწმოს საზოგადოების საბუღალტრო წიგნები, ასევე ქონებრივი ობიექტები, კერძოდ, საზოგადოების სალარო და ფასიანი ქაღალდებისა და საქონლის მდგომარეობა.

გ) მიწვიოს რიგგარეშე საერთო კრება, თუ ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს;
დ)შეამოწმოს წლიური ანგარიშები, მოგების განაწილების წინადადება და ინფორმაცია მდგომარეობის შესახებ და ამის თაობაზე მოახსენოს საერთო კრებას;
ე) სამეთვალყურეო საბჭო ახდენს აღმასრულებელი დირექტორის და ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე პასუხიმგებელი სხვა პირების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დანიშვნას და და მათ გამოწვევას, მათი უფლებამოსილების ფარგლების დადგენას, საჭიროების შემთხვევაში ასევე მათთან სასამსახურო ხელშეკრულების დადებას და შეწყვეტას;
ვ)სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, დირექტორებთან გარიგებების შესრულებისას წარმოადგინოს საზოგადოება, აგრეთვე, საერთო კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების სახელით მათ წინააღმდეგ წარმართოს სამართლებრივი დავა.

აგრეთვე,

აღმასრულებელმა დირექტორმა (დირექტორებმა) მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით შეიძლება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) საწარმოთა 50%-ზე მეტი წილის შეძენა და გასხვისება;
ბ) ფილიალების შექმნა და მათი ლიკვიდაცია;
გ) წლიური ბიუჯეტისა და გრძელვადიანი ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ვალდებულების მიღება;
დ) სესხების და კრედიტების აღება, რომლებიც აღემატება 10 (ათი) მილიონ ლარს.
ე) სესხების და კრედიტების უზრუნველყოფა, თუ ისინი არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობას და აღემატება 10 (ათი) მილიონ ლარს. დაუშვებელია სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისა და დირექტორების ვალდებულებათა უზრუნველყოფა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულია საერთო კრების მიერ.
ვ) ახალი სახის ეკონომიკური საქმიანობის დაწყება ან საქმიანობის არსებული სახის შეწყვეტა;
ზ) სამეურნეო პოლიტიკის ძირითადი (ზოგადი) პრინციპების დადგენა;
თ) სავაჭრო წარმომადგენლების (პროკურისტების) დანიშვნა და გამოწვევა;
ი) გადაწყვეტილების მიღება საზოგადოების აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების შესახებ, თუ ამგვარი დაშვება საზოგადოებას აკისრებს კანონით გათვალისწინებულ მნიშვნელოვან დამატებით ხარჯებს;
კ) ხელმძღვანელ პირთათვის მოგებისა და სხვა მსგავს ურთიერთობებში მონაწილეობის, მათი საპენსიო უზრუნველყოფის პრინციპების განსაზღვრა და აქციონერთა კრებაზე დასამტკიცებლად წარდგენა;
ლ) საზოგადოების უმაღლესი მენეჯმენტის რგოლის თანამშრომლების სამუშაოზე მიღება-გათავისუფლება და შრომის ანაზღაურების განსაზღვრა.
მ) საზოგადოების ქონებისა შეძენის, გასხვისების ან გაცვლის (ან ერთმანეთთან დაკავშირებული ასეთი გარიგებების) შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რომელთა ღირებულება შეადგენს საზოგადოების ქონების საბალანსო ღირებულების 10%-ს. ეს არ შეეხება საზოგადოების ჩვეულებრივ საქმიანობას;
ნ) გადაწყვეტილების მიღება იმ საკითხებზე, რომლებიც კანონით არ განეკუთვნება არც აღმასრულებელი დირექტორის და არც საერთო კრების კომპეტენციას.
ო)წმინდა მოგების განაწილების მოწონებულ წინადადებას სამეთვალყურეო საბჭო დასამტკიცებლად წარუდგენს საერთო კრებას.

სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა:

თავმჯდომარე/წევრი: 01024003505, 23.10.1968 ვასილ სუხიაშვილი

თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: 01024032145, 01.10.1963 ირაკლი ბოქოლიშვილი
წევრი: პ/ნ 01029016949, 24.03.1987 ეკა სელიმაშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთ წევრს, რომელიც სამართლებრივად ან/და ეკონომიკურად არ არის დაკავშირებული სააქციო საზოგადოებასთან მათ შორის არ ფლობს ამ საზოგადეობის აქციებს და არ იღებს აღნიშნული საზოგადოებიდან ანაზღაურებას ან სხვა ეკონომიკურ სარგებელს, წარმოადგენს ***ეკა სელიმაშვილი*** *პ/ნ* 01029016949.

ქალბატონი ეკა სელიმაშვილი გახლავთ სს ნიკორა ტრეიდის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. მანამდე ის იკავებდა ადმინისტრაციულ თანამდებობებს სხვადასხვა ორგანიზაციაში, მათ შორის კურირებდა უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობას გამომცემლობა საქართველოს მაცნეში. ქალბატონ სელიმაშვილს აქვს ბაკალავრის ხარისხი ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

სამეთვალყურეო საბჭოს შეხვედრები წლის განმავლობაში საშუალოდ ტარდება 3-5-ჯერ.

აუდიტის კომიტეტი:

სამეთვალყურეო საბჭოში ფუნქციონირებს აუდიტის კომიტეტი, რომლის ძირითადი ფუნქციაა ზედამხედველობა გაუწიოს:
ა)ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს;
ბ)ხარისხის კონტროლის, რისკების მართვის და საჭიროების შემთხვევაში ფინანსური ინფორმაციის შედა აუდიტის ეფექტიანობას;
გ)ფინანსური ანგარიშგების/ კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით;
დ)აუდიტის/აუდიტორული კომპანიის დამოუკიდებლობას „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის კომიტეტი შედგება სამი წევრისგან:
ა)თავმჯდომარე/წევრი:პ/ნ 01029016949, 24.03.1987 ეკა სელიმაშვილი
ბ)წევრი: 01024003505, 23.10.1968 ვასილ სუხიაშვილი
გ)წევრი: 01024032145, 01.10.1963 ირაკლი ბოქოლიშვილი

საზოგადოების ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

საზოგადოების ხელმძღვანელობა და მისი წარმომადგენლობა ევალება აღმასრულებელ დირექტორს.

აღმასრულებელი დირექტორი:

ა) წარმოადგენს საზოგადოებას სასამართლოში და მესამე პირებთან ურთიერთობაში და პასუხს აგებს საზოგადოების ყოველდღიურ მართვაზე;
ბ) საზოგადოების სახელით დებს გარიგებებს;
გ) განკარგავს საზოგადოების სახსრებსა და ქონებას, წარმოადგენს საზოგადოებას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, გასცემს მინდობილობებს;

დ) უზრუნველყოფს საერთო კრებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ზუსტ და დროულ აღსრულებას;
ე) ვალდებულია წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს ინფორმაცია გაწეული საქმიანობისა და საზოგადოების ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
ვ) ადგენს საზოგადოების წლიურ ანგარიშსა და სამეურნეო მდგომარეობის ანგარიშს, ასევე, წმინდა მოგების განაწილების წინადადებას სამეთვალყურეო საბჭოზე წარსადგენად.
ზ) აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია საზოგადოების საქმეები წარმართოს კანონმდებლობის, წინამდებარე წესდების და აქციონერთა გადაწყვეტილებების შესაბამისად. აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით განახორციელოს ის ქმედებები, რომელიც მოქმედი კანონმდებლობისა და წესდების თანახმად საჭიროებს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობას. თანხმობა მიიღება სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების ფორმით.
თ) სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს საზოგადოების თანამშრომლებს;
ი) საზოგადოების თანამშრომლებს განუსაზღვრავს დისციპლინური სახდელისა და წახალისების ფორმებს;
კ) ამტკიცებს საზოგადოებისა და მისი ფილიალებისა და წარმომადგენლობების საშტატო განრიგს;
ლ) განსაზღვრავს საზოგადოების თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ოდენობას და პირობებს;
მ) ადგენს და ამტკიცებს საზოგადოების შინაგანაწესს, შიდა სახელმძღვანელო ინსტრუქციებს;
ნ) ასრულებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრულ ინსტრუქციებს.

საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორია დავით ურუშაძე

ბატონი დავით ურუშაძე გამოცდილი ფინანსისტია. იგი „ნიკორა ტრეიდის“ დირექტორია 2015 წლის აპრილიდან და მანამდე სამი წლის განმავლობაში ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა. „ნიკორაში“ მოსვლამდე იგი მუშაობა „ბაზისბანკში“ სხვადასხვა პოზიციაზე და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხაზინის დეპარტამენტის უფროსი იყო. ბატონ ურუშაძეს აქვს მაგისტრის ხარისხი ფინანსებში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტიდან და ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

მმართველობითი ორგანოსა და სამეთვალყურეო საბჭოს მიმართ გამოყენებული დივერსიფიკაციის პოლიტიკა

დღეის მდგომარეობით არ არსებობს რაიმე სახის რეგულაცია, რომელიც კომპანიას ავალდებულებს წევრების მიმართ გაატაროს დივერსიფიკაციის პოლიტიკა, ასაკის, სქესის, კვალიფიკაციის ან სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით; კომპანია წევრებს შეარჩევს სხვადასხვა კრიტერიუმით, რომელიც ემყარება კომპანიის უმაღლესი ორგანოს - პარტნიორთა კრების შეფასებას კონკრეტულ პირზე, რომელიც დააკმაყოფილებს, პოზიციისთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს; აღნიშნულის შესაბამისად, საზოგადოებაში არ მოქმედებს წინასწარ დადგენილი რაიმე სახის პოლიტიკა ან ერთიანი პრაქტიკა;

სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევა

საზოგადოების აქციები სავალდებულო სატენდერო შეთავაზების მოთხოვნის საგანს არ წარმოადგენს;

2.2 კომპანიის სტრუქტურა და მენეჯმენტი

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს „ნიკორა ტრეიდის“ სააქციო კაპიტალის 92.5%-ს სს „ნიკორა“ ფლობს, ხოლო დანარჩენ წილს 8%-ს ფლობენ სხვა პირები, რომელთაგან არცერთი არ ფლობდა აქციათა 5%-ზე მეტს.

სს “ნიკორა ტრეიდი”-ს შიდა სტრუქტურა



ძირითადი თანამშრომლები

„კომპანიას“ მართავს დიდი გამოცდილების მქონე მენეჯერთა გუნდი, რომლის წევრებსაც ბევრი წელი აქვთ ნამუშევარი ჯგუფის შიგნით და გააჩნიათ ხანგრძლივი სამუშაო სტაჟი. სს „ნიკორა ტრეიდის“ ძირითადი თანამშრომლების მოკლე მიმოხილვა:

სამეთვალყურეო საბჭო

ვასილ სუხიაშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე

ბატონი სუხიაშვილი სს „ნიკორას“ ერთ-ერთი დამფუძნებელია და მისი დირექტორი იყო 1998-იდან 2008 წლამდე, როცა იგი სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე გახდა. სს „ნიკორას“ დაფუძნებამდე იგი მართავდა გაზიანი სასმელის სადისტრიბუციო ბიზნესს მოსკოვში. ბატონ სუხიაშვილის მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი მექანიკურ ინჟინერიაში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისგან.

ირაკლი ბოქოლიშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი/თავმჯდომარის მოადგილე

ბატონი ბოქოლიშვილი „ნიკორა ჯგუფის“ მმართველია 2010 წლიდან, როცა იგი დაინიშნა გენერალური დირექტორის თანამდებობაზე. იგი გახლდათ „ბაზისბანკის“ ერთერთი დამფუძნებელი სადაც 15 წლის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პოზიციებზე, მათ შორის ფინანსური დირექტორის და სამეთვალყურეო საბჭოს წევრის. მანამდე იგი მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტზე. ბატონ ბოქოლიშვილს დაცული აქვს დისერტაცია სსრკ-ს გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო აკადემიაში და გააჩნია სამეცნიერო ხარისხი მათემატიკასა და მათემატიკურ მოდელირებაში ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერისტეტისგან. მას აგრეთვე გააჩნია სამეცნიერო ხარისხი საბანკო და საფინანსო საქმიანობაში თბილისის ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

ეკა სელიმაშვილი, სს ნიკორას ტრეიდის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ქალბატონი ეკა სელიმაშვილი 2017 წლის ივლისიდან გახლავთ სს ნიკორა ტრეიდის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი. მანამდე ის იკავებდა ადმინისტრაციულ თანამდებობებს სხვადასხვა ორგანიზაციაში, მათ შორის კურირებდა უცხოელ პარტნიორებთან ურთიერთობას გამომცემლობა საქართველოს მაცნეში. ქალბატონ სელიმაშვილს აქვს ბაკალავრის ხარისხი ინგლისურ ენასა და ლიტერატურაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

ტოპ მენეჯმენტი

დავით ურუშაძე, აღმასრულებელი დირექტორი

ბატონი დავით ურუშაძე გამოცდილი ფინანსისტია. იგი „ნიკორა ტრეიდის“ დირექტორია 2015 წლის აპრილიდან და მანამდე სამი წლის განმავლობაში ეკავა ფინანსური დირექტორის თანამდებობა. „ნიკორაში“ მოსვლამდე იგი მუშაობა „ბაზისბანკში“ სხვადასხვა პოზიციაზე და ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ხაზინის დეპარტამენტის უფროსი იყო. ბატონ ურუშაძეს აქვს მაგისტრის ხარისხი ფინანსებში ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტიდან და ბაკალავრის ხარისხი ეკონომიკაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

თემურ ალექსანდრია, ფინანსური დირექტორი

ბატონი ალექსანდრია „ნიკორა ტრეიდის“ ფინანსური დირექტორია 2015 წლიდან. 2012-2015 წლებში იგი იყო უფროსი ანალიტიკოსი და ბიზნესის განვითარების კოორდინატორი „ვითიბი ბანკში“. მანამდე იგი კორპორატიული ბიზნესის ანალიტიკოსი იყო „პროკრედიტ ბანკში“. ბატონ ალექსანდრიას აქვს ბაკალავრის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან.

ლია სუხიაშვილი, კომერციული დირექტორი

ქალბატონი ლია სუხიაშვილი „ნიკორა ტრეიდის“ კომერციული დირექტორია 2006 წლიდან, ხოლო 2006 წლამდე სამი წლის განმავლობაში მუშაობდა მშობელი კომპანიის კომერციულ დეპარტამენტში. „ნიკორაში“ მოსვლამდე ქალბატონი სუხიაშვილი თბილისის ენდოკრინოლოგიის საეთაშორისო ცენტრში კარდიოლოგ ქირურგად მუშაობდა. მას აქვს სამედიცინო ხარისხი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისგან.

სალომე ხაბალაშვილი, შესყიდვების დირექტორი

ქალბატონი სალომე ხაბალაშვილი „ნიკორა ტრეიდის“ შესყიდვების დირექტორი 2015 წელს გახდა. 2010-2014 წლებში იგი რამდენიმე ქართულ კომპანიაში საქმიანობდა, მათ შორის, იყო შესყიდვების უფროსი Ideal Home-ში, მენეჯერი Maxhome-ში და შესყიდვების მენეჯერი Cash and Carry-ში. იგი მუშაობდა კორპორატიული კლიენტების აღმასრულებლის პოზიციაზე „საქართველოს ბანკში“ 2008-2009 წლებში და სხვადასხვა პოზიციაზე „ბაზისბანკში“ წინა ოთხი წლის განმავლობაში. ქალბატონ ხაბალაშვილს აქვს ბაკალავრის ხარისხი გერმანულ

ლიტერატურაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან და ბიზნესის ადმინისტრირების სერთიფიკატი თბილისის ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლისგან.

2.3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტორლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

წილი შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისთვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილს შვილობილი კომპანიის იდენტიფიცირებადი ნეტო აქტივების სამართლიან ღირებულებაში შესყიდვის დღისათვის, რასაც ემატება მათი წილი კაპიტალის ცვლილებაში შესყიდვის დღის შემდეგ. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია უმცირესობის წილზე არ აღემატება უმცირესობის წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ უმცირესობის წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი ნაწილდება ჯგუფზე.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია).

უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2017 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.5922 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.1044 ლარს. (2016 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6468 ლარი და ერთი ევრო 2.7940 ლარი).არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულების შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება

მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასების ნამეტი გადადის დაგროვილ მოგებაში როდესაც აქტივი გამოიყენება ჯგუფის მიერ. გადაფასების ნამეტის რაოდენობა არის განსხვავება აქტივის საწყისი ღირებულებისა და გადაფასებული საბალანსო ღირებულების მიხედვით დათვლილ ცვეთებს შორის. გადაფასებული ქონების შემდგომი რეალიზაციის ან ჩამოწერის შემდეგ, გადაფასების ნამეტი გადადის დაგროვილ მოგებაში.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად. იჯარით აღებული შენობები შედის ძირითად საშუალებებში თუ ისინი ფინანსური იჯარით იმართება. ასეთი აქტივები იცვითება მოსალოდნელი ექსპლუატაციის პერიოდზე ან იჯარის პერიოდზე, რომელიც უფრო მოკლე იქნება.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა ნაგებობები - 30 წელი

მანქანები და მძიმე ტექნიკა - 5 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი

ტრანსპორტი - 5 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 7-10 წელი

გუდვილი

გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გუდვილის გაუფასურების ტესტთან დაკავშირებული პროცედურების სანახავად იხილეთ შენიშვნა 3.9

სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალზე. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 5-7 წლით პროგრამებისთვის, უფლებებისა და სხვა მსგავსი არამატერიალური აქტივებისთვის.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები არ განიცდიან ცვეთას. ყოველწლიურად ხდება მათი არსებული ღირებულებისა და ამოღებადი თანხის შედარება იმისათვის რომ დადგინდეს გაუფასურებული ხომ არ არის არამატერიალური აქტივი.

იჯარა

ბასს 17-ის შესაბამისად, იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა მოიჯარეს, თუ მას ასევე გადაეცემა იჯარით აღებული აქტივის ყველა რისკი და ვალდებულება. აქტივი აღიარებულია იჯარის კონტრაქტის დაწყებისას იჯარით აღებული აქტივის სამართლიანი ღირებულებით ან, თუ უფრო დაბალია, იჯარის გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულია როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ იჯარით გათვალისწინებული თანხის ნაწილის გადახდა შეიძლება მოხდეს წინასწარ.

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივები შემდგომში ბუღალტრულად აღირიცხება სხვა აქტივების მსგავსად რომლებსაც ფლობს კომპანია.

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარით აღებულ ქონებაზე გადახდები აღიარებულია წლის ხარჯებში წრფივი მეთოდით, ასევე ხარჯად აღიარდება მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა მომსახურება და სადაზღვევო, როგორც გაწეული ხარჯი.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან ვალდებულება გაუქმდება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები (გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც ბალანსში სამართლიანი ღირებულებით არის აღიცხული, ხოლო მათი სამართლიანი ღირებულების ცვლილებები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

აღიარდება), თავდაპირველად აღირიცხება სამართლიან ღირებულებით, რასაც აგრეთვე ემატება ტრანზაქციის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შესაბამისი შეფასება

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- სესხები და მოთხოვნები
- სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების მოგება-ზარალში აღიარებით
- გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები
- ვადიანი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად მნიშვნელოვანია გამომდინარე იქიდან, რომ მისი შედეგი შესაძლებელია აისახოს როგორც მოგება-ზარალში, ასევე პირდაპირ კაპიტალზე. იხილეთ შენიშვნა 23.2 კომპანიის ფინანსური აქტივების კატეგორიებად დაყოფასთან დაკავშირებით.

ზოგადად, ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ წელიწადში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქტად “ფინანსური ხარჯი” ან “ფინანსური შემოსავალი”, გარდა სავაჭრო მოთხოვნების საეჭვო ნაწილისა, რომელიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით.

ი. სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ექვივალენტებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი წარდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ ჯგუფი ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო

ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის სხვაობით. ამ მიზნებისთვის მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დისკონტირება ხდება სავაჭრო მოთხოვნისთვის შესაბამისი თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ის მოთხოვნები, რომლებისგანაც თანხების ამოღება მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და ფულს გზაში.

ი. ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში

ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში მოიცავს გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფი აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. გგანმარტების თანახმად, ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილების ჰეჯირების საბუღალტრო აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან ეფუძნება სამართლიან ღირებულებაში ცვლილებას, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ხოლო არააქტიურ ბაზარზე შეფასების მოდელის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია 23.2 შენიშვნაში.

ი. სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული ტრანზაქციის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. საწყისი აღიარების შემდეგ სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის საწყის ღირებულებასა და დაფარვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ დაკავშირებულია და მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შექმნას, შეძენას ან წარმოებას. ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ი. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

გუდვილის გაუფასურება

გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც მენეჯმენტი ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტირდება წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე თავდაპირველად ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე ღირებულებას, რომლიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ამ აქტივს არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მისი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა

იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ არის გადაფასებული მდგომარეობით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო დღეს ფინანსური აქტივები ფასდება გაუფასურების ინდიკატორისთვის. ფინანსური აქტივების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი იმისა, რომ ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდეგ ერთი ან რამდენიმე შემთხვევის მოხდენის ალბათობა, ინვესტიციის სამომავლო ფულად ნაკადებზე მოახდენს გავლენას.

ამორტიზირებული ღირებულებით წარმდგენილი ფინანსური აქტივებისთვის, გაუფასურება წარმოადგენს აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის სხვაობას. ყველა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ მცირდება გაუფასურების ზარალით, გარდა სავაჭრო მოთხოვნებისა, სადაც საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდა და ეს შემცირება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებულ იქნას გაუფასურების აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევასთან, წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალი აისახება მოგება ზარალზე იმ პირობით, რომ ინვესტიციის საბალანსო ღირებულება გაუფასურების თარიღისთვის არ გადააჭარბებს აქტივის ამორტიზირებად ღირებულებას, გაუფასურების არ აღიარების შემთხვევაში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი მატება შემდგომი გაუფასურებით, უნდა აღიარდეს კაპიტალში.

კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის აქციონერების მიერ. სააქციო კაპიტალის წარდგენილი ნაშთი წარმოადგენს აქციების ნომინალურ ღირებულებას, რომელიც მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია მშობელ კომპანიასთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მშობელი კომპანიის რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლებში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგრ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (სხვა ვიდრე ბიზნეს კომბინაცია), რომელიც

იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები აღიარებულია დასაბეგრი დროებითი განსხვავებებით, რომლებიც უკავშირდება შვილობილ კომპანიებსა და ასოციაციებში ინვესტიციებს და ერთობლივ საწარმოებში ინტერესებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჯგუფს შეუძლია დროებითი განსხვავების შესწორებაზე კონტროლი და სავარაუდოა, რომ დროებითი განსხვავება არ შესწორდება უახლოეს მომავალში. გადავადებული საგადასახადო აქტივები, რომლებიც წარმოიქმნება ამგვარ ინვესტიციებსა და ინტერესებთან დაკავშირებული დროებითი განსხვავებებისაგან, არის აღიარებული მხოლოდ საკმარისი დასაბეგრი მოგების რაოდენობამდე. ასევე, მოსალოდნელი უნდა იყოს მათი დაბრუნება ახლო მომავალში.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწყვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და ჯგუფს განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

მოგების გადასახადში განხორციელებული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 1 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. ჯგუფის ხელმძღვანელობა თავიდან შეაფასებს აღნიშნულ საკითხს 2017 წლის 1 იანვრიდან.

შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, ჯგუფის მიერ ნებადართული სავაჭრო ფასდათმობების გათვალისწინებით.

შემოსავალი შემცირებულია მომხმარებლების სავარაუდო დაბრუნებებისა და შეღავათების შესაბამისად.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- ჯგუფმა მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- შესაძლოა, რომ დასრულების ეტაპისათვის დაკავშირებული ტრანზაქციის შემოსავალი საიმედოდ შეფასდეს; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

მომსახურების გაწევა

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა:

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება იქნას შეფასებული;
- მოსალოდნელია რომ კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონტრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ტრანზაქციასთან დაკავშირებული და ტრანზაქციის დასრულებისთვის საჭირო ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული

საიჯარო შემოსავალი

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარებულია წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფული და ფულადი ეკვივალენტები

კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისათვის, ფულის ეკვივალენტები მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებია, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი ეკვივალენტები საჭიროა უფრო მეტად მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისთვის, ვიდრე საინვესტიციო ან სხვა მიზნებისათვის. ჯგუფი აკლასიფიცირებს ინვესტიციებს, როგორც ნაღდი ფულის ექვივალენტებს, თუ ისინი ადვილად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს.

3 არაფინანსური ანგარიშგება

3.1 ადამიანური რესურსების მართვა

სს „ნიკორა ტრეიდი“ დღესდღეობით ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი დამსაქმებელია საქართველოს ბაზარზე. კომპანია აერთიანებს სავაჭრო ობიექტებს, დისტრიბუციის ქსელს, ცენტრალურ საწყობს და ადმინისტრაციას. კომპანიის თანამშრომლებით დაკომპლექტებას, თანამშრომელთა ადმინისტრირებას და არსებული ადამიანური კაპიტალის მართვას საქართველოს მასშტაბით ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი, რომელიც კომპანიის მასშტაბისა და საჭიროებიდან გამომდინარე 2017 წლის ნოემბრის თვიდან შეიქმნა სს „ნიკორა ტრეიდის“ ორგანიზაციულ სტრუქტურაში და ჰოლდინგის ცენტრალიზებული HR დეპარტამენტისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს სს “ნიკორა ტრეიდის“ HR სტრატეგიის დაგეგმვასა და განხორციელებას, კომპანიის ბიზნეს ამოცანებიდან გამომდინარე. დეპარტამენტის მიერ ხორციელდება, ასევე, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და პროცედურების შემუშავება; HR სისტემების გამართვა; სათანადო HR გადაწყვეტილებების მიღება კომპანიის ზედა რგოლის მენეჯმენტთან კოორდინირებით.

ადამიანური რესურსების მართვის მიზანს წარმოადგენს: ხელი შეუწყოს კომპანიის განვითარებას, შექმნას ძლიერი/მყარი ადამიანური კაპიტალი, მოიზიდოს მაღაკვალიფიციური კადრები, გააუმჯობესოს თანამშრომლების სამუშაო გარემო , ხელი შეუწყოს მათ განვითარებას, შეამციროს თანამშრომელთ გადინება და შექმნას კონკურენტუნარიანი გარემო, სადაც კომპანიისა და თანამშრომლების მიზნები ურთიერთთანხვედრაშია ერთმანეთთან. კომპანიაში შემუშავებულია შინაგანაწესი და ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება შესაბამისი პროცედურების დაცვით.

კომპანია მისი სწრაფი წინსვლისა და განვითარების ტემპიდან გამომდინარე, თვიდან თვემდე ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს და ხელს უწყობს ქვეყნის მოქალაქეების დასაქმებასა და კარიერულ განვითარებას. შესაბამისად, „ნიკორა ტრეიდში“ კომპანიის განვითარებასთან ერთად, თანამშრომელთა რაოდენობა წლიდან წლამდე მუდმივად ზრდადია. ქვემოთ მოცემულია დასაქმებულთა რაოდენობა კონკრეტული პერიოდების მიხედვით.

- 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით, „ნიკორა ტრეიდში“ დასაქმებულთა რაოდენობა - 4497 თანამშრომელი.
- 2019 წლის აპრილის მდგომარეობით - 4609 თანამშრომელი;
- 2019 წლის აგვისტოს მდგომარეობით - 4879 თანამშრომელი.

გენდერული თანასწორობის კუთხით მდგომარეობა დაბალანსებულია, მდედრობითი სქესის, ისევე როგორც მამრობოთი სქესის თანამშრომლები სარგებლობენ თანაბარი პირობებით

და შესაძლებლობებით. შესაბამისად, აქვთ თანაბარი პასუხისმგებლობები და ვალდებულებები. თანამშრომლის დაქირავების პროცესში ყურადღება ექცევა და აქცენტები კეთდება კანდიდატის საქმიანობასთან შესაბამისობასა, უნარებზე და კვალიფიკაციაზე, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და ა.შ.

დღევანდელი მდგომარეობით სქესის მიხედვით თანამშრომელთა გადანაწილება შემდეგია

- ქალი - 3368
- კაცი - 1511

რაც შეეხება ასაკობრივ განაწილებას, 2018 წლის აგვისტოს მდგომარეობით შემდეგი სურათია:

- 25 წლამდე - 2078
- 25-35 წელი - 1381
- 35-50 წელი - 957
- 50 წლოდან ზემოთ - 463

კომპანიაში არსებულ თითოეულ პოზიციაზე არსებობს გარკვეული სახელფასო ზღვარი, რომლის ფარგლებშიც ხდება კანდიდატის დაქირავება. კომპანიაში მუშაობს რამოდენიმე ტიპის სახელფასო სისტემა:

- დისტრიბუციის მიმართულებით
- ცენტრალური საწყობის მიმართულებით
- სავაჭრო მიმართულებით შემუშავებულია თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა, სამუშაო გრაფიკებისა და შესასრულებელი საქმის გათვალისწინებით.
- ადმინისტრაციაში მომუშავე თანამშრომლების სახელფასო სისტემა

აღსანიშნავია, რომ მ/წელს კომპანიაში ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის დანერგვასთან და პოზიციების კლასიფიკაციასთან ერთად, შემუშავდა და დაინარგე სახელფასე გრეიდების სისტემა.

სს „ნიკორა ტრეიდში“ მიმდინარეობს თანამშრომელთა შეფასების სისტემის გამართვასა და ეფექტურ განხორციელებაზე მუშაობა. 2018 წელს ჩატარდა მენეჯერების პროფესიული ატესტაცია, მიმდინარე წელს მენეჯერების პროფესიული უნარებისა და ცოდნის ატესტაციით შეფასებასთან ერთად, გაკეთდა მათი კომპეტენციების შეფასება. ასევე, 2019 წელს ჩატარდა ადმინისტრატორების ატესტაცია და შეფასდა მათი კომპეტენციები. 2019 წლის მესამე კვარტალში საპილოტე რეჟიმში განხორციელდა სათაო ოფისის თანამშრომლების შეფასება კომპეტენციების მოდელისა და ტალანტების მატრიცის მეთოდიკის გამოყენებით. შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, თანამშრომლებისთვის იგეგმება სხვადასხვა ტრენინგები, სემინარები, მასტერკლასები, მათი უნარებისა და პროფესიონალიზმის გაუმჯობესების მიზნით.

საკმაოდ დიდი ყურადღება ექცევა კომპანიაში არსებულ ორგანიზაციულ კლიმატს. სწორედ ამიტომ, თანამშრომელთა მოტივირებისა და ზოგადი კლიმატის გაუმჯობესების მიზნით, ხორციელდება სხვადასხვა კორპორატიული პროექტები: კორპორატიული ღონისძიება, სადღესასწაულო დღეების მილოცვა, სპორტული აქტივობები, საზაფხულო ექსკურსიები, გუნდურობისა და თანამშრომლებში კომუნიკაციის გაუმჯობესების მიზნით უკვე ორი წელია ვატარებთ თიმბილდინგს - ზაფხულის პერიოდში, ქალაქგარეთ, არაოფიციალურ გარემოში, ტარდება გუნდური აქტივობები, სადაც თანამშრომლები ერთვებიან სხვადასხვა თამაშებში. ასევე, წელიწადში მინიმუმ ერთხელ ხდება კორპორარიული კულტურის კვლევა. შედეგების ანალიზიდან გამომდინარე, იგეგმება თანამშრომლების ლოიალურობის გაძლიერებაზე მიმართული პროექტები.

ნიკორა ტრეიდში თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სისტემატიურად ტარდება ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებით, პერიოდულად ხორციელდება თანამშრომლების გადამზადება და პროფესიული ტრენინგების დაფინანსება.

ტრენინგები არის 2 სახის: შიდა, რომელსაც კომპანია ახორციელებს საკუთარი ტრენინ-ცენტრის ბაზაზე და ტრენერების რესურსით, გარე - რომელსაც ატარებენ სხვადასხვა თემატიკაში მოწვეული ექსპერტები, ტრენერები და კონსულტანტები. თემატიკები მოიცავს, როგორც პროფესიულ, ასევე უნარების გაუმჯობესების ტრენინგებს, როგორიცაა: ეფექტური მომსახურება, მოლაპარაკებების ტექნიკა, ეფექტური მართვა, ემოციური ინტელექტი და სხვა.

აღსანიშნავია, ასევე, რომ 2019 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში მოხდა სავაჭრო ობიექტების მენეჯერული რგოლის (მენეჯერი, ადმინისტრატორი) დატრენინგება ეფექტური მართვის უნარების გაუმჯობესების მიზნით.

კომპანია ასევე ზრუნავს თანამშრომლების პროფესიულ და კარიერულ განვითარებაზე და ვაკანტური პოზიციების შევსებისას პრიორიტეტს ანიჭებს შიდა რესურსებს.

ძალიან მნიშვნელოვანია თანამშრომლების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების საკითხი, თანამშრომლები სარგებლობენ ჯანმრთელობის კორპორატიული დაზღვევით. დაზღვევის ფარგლებში, წელიწადში ორჯერ: დისტრიბუციის, სავაჭრო, სასაწყობო და წარმოების მიმართულებებით დასაქმებულ თითოეული თანამშრომელი (ყველა, ვისაც პროდუქციასთან აქვს შეხება) გადის ჯანმრთელობის პროფილაქტიკურ შემოწმებას, ამას გარდა სათაო ოფისსში განთავსებულია პირადი ექიმის სამუშაო ოთახი, რომელიც თანამშრომლებს უწევს სამედიცინო მომსახურებას და საჭიროების შემთხვევაში ამისამართებს ვიწრო პროფილის ექიმთან.

მოცემულ მომენტში, კომპანიაში ინერგება ადამიანური რესურსების მართვის თანამედროვე სტანდარტები, რომლებიც ხელს შეუწყობს რომ თანამშრომლების ლოიალურობა, კმაყოფილება და ჩართულობა კიდევ უფრო გაიზარდოს, რაც თავის მხრივ, მომხმარებლის კმაყოფილებისა და მოსმახურების ხარისხის ზრდაზე აისახება.

3.2 შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

გარემოსდაცვით საკითხებში კომპანია მოქმედებს ნიკორა ჯგუში არსებული მიდგომების ჩარჩოებში. სს ნიკორას, რომელიც კომპანიის ძირითადი აქციონერია ჰყავს შესაბამისი პროფილის სპეციალისი - გარემოსდაცვითი მმართველი.
გარემოსდაცვითი მმართველის მიერ სისტემატიურად ხორციელდება ნარჩენების აღრიცხვიანობის კონტროლი, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების დახარისხების მეთვალყურეობა, მათი გადაცემა სათანადო კონტრაქტორ ორგანიზაციებზე, ხელშეკრულებების განახლება ნარჩენების გამტან ორგანიზაციებთან.
გარემოს დაბინძურების და მასზე მავნე ზეგავლენის მინიმიზაციის მიზნით სავაჭრო ობიექტების აღჭურვისას კომპანია იყენებს ენერგოეფექტურ და გარემოსადმი მეგობრულ ტექნიკას. კერძოდ: ენერგეოფექტურია მაცივარ დანადგარები, რომლებიც ახალი თაობის ფრეონს და ნაკლებ ელექტრო ენერგიას მოიხმარენ; ენერგიის დამზოგავი ლედ განათების სისტემები; ენერგიის დამზოგავი ღუმელები.

კომპანიას საქმიანობის განხორციელებისას , პრიორიტეტად აქვს დასახული შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხები. კომპანიის ხელმძღვანელობა აცნობიერებს შრომის უსაფრთხოების კუთხით არსებულ პასუხისმგებლობას და სათანადოდ უზრუნველყოფს დასაქმებულთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვას.

კომპანია უზრუნველყოფს ტრავმებისა და პროფესიული დაავადებებისაგან თავისუფალ და დაცულ სამუშაო გარემოს. ამის მიღწევა ხდება სამუშაო პროცესების სწორად მართვითა და პროფესიული ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობით. კომპანიის მენეჯმენტი მიისწრაფის მიმდინარე სამუშაო პროცესებისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისკენ.

კომპანიის ხელმძღვანელობა ადასტურებს თავის ვალდებულებას დაიცვას, როგორც საქართველოს შრომის უსაფრთხოების შესახებ ორგანული კანონი და სხვა საკანონმდებლო აქტები, ასევე საერთაშორისოდ აღიარებული უსაფრთხოების სტანდარტები.

3.2.1 საზოგადოებასთან ურთიერთობა

''ნიკორა ტრეიდი'' საცალო-სასურსათო ვაჭრობის ბაზარზე ლიდერი კომპანიაა. კომპანია აცნობიერებს კმაყოფილი მომხმარებლის მნიშვნელობას, ამიტომ მუდმივ კომუნიკაციაშია მათთან და ცდილობს, გაერკვეს მათ მოლოდინებში.

ამავე მიზნებისთვის პერიოდულად ტარდება კვლევები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობითაც ოპტიმალური შეთავაზებები ფორმირდება. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა მომხმარებლის განსაკუთრებული ინტერესი მაღალი ხარისხის და ჯანსაღ პროდუქტზე, რასაც კომპანია ძლიერ და ავტორიტეტულ ბრენდებთან თანამშრომლობით პასუხობს. ამ მიზნებისთვის ''ნიკორა ტრეიდი'' აქტიურად ავითარებს იმპორტის მიმართულებას. აქცენტი

ევროკაშირის ქვეყნებზე კეთდება, რადგან კომპანიას პროდუქციის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობაზე მაღალი მოთხოვნები აქვს. აღნიშნული კომპონენტის დაგეგმვა მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებით, მაქსიმალურად ხელმისაწვდომი ფასის ფორმირებით ხდება.

ასევე დიდი ყურადღება ექცევა GMO FREE სახის პროდუქტების იმპორტს კომპანიის ასორტიმენტში წარმოდგენაზე.

მომხმარებლებში ლოლიალობის ზრდის მიზნით მოქმედებს სპეციალური პროგრამა, რომელიც კომპანიის სავაჭრო ობიექტზე პროდუქტების შეძენისას, ბარათზე ქულების დაგროვებას გულისხმობს. დღევანდელი მონაცემებით ბარათის მფლობელლთა რაოდენობა 700 000 -ს ცდება, რაც ქვეყნის მასშტაბით აქტიურ ჩართულებაზე მიუთითებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, მომხმარებლებისთვის შეთავაზების სრულყოფის და კომპანიის პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა აქცია იგეგმება. აქციები უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს და ორ კვირაში ერთხელ ახლდება. ამას ემატება სეზონური, თემატური და სადღესასწაულო აქციები, რომელთა ერთობლიობაც კომპანიას აძლევს საშუალებას, შექმნას მომხმარებლის მოლოდინებზე დაფუძნებული შეთავაზებები.

2018 წელს კომპანიამ ‘’ლიბერთი ბანკთან’’ ერთად ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტი შექმნა, რომელიც დღემდე წარმატებით მიმდინარეობს. პროექტის ფარგლებში მხოლოდ „ ნიკორა სუპერმარკეტში“ ლიბერთი ბანკის ნებისმიერი სოციალური ბარათის მქონე პირს შეუძლია, მიიღოს ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტები, მათზე მორგებული ტარიფით. პროდუქტების არჩევანი მრავალფეროვანია და ყოველთვიურად განახლებადი. სულ მცირე დროის მონაკვეთში პენსიონერთა და სხვა სოციალური ბარათის მქონე პირთა მხრიდან მაღალი ინტერესი დაფიქსირდა, რაც მომავალში დინამიურ ზრდის მყარი საფუძველია. ‘’ნიკორა სუპერმარკეტისთვის’’ აღნიშნული პროექტი განსაკუთრებულად ღირებული და მნიშვნელოვანია, იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიას 20 წლიანი ისტორიის განმავლობაში ყოველთვის ჰქონდა და აქვს მაღალი კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა და სურვილი, ჩაერთოს მსგავსი ტიპის CSR კამპანიებში.

კომპანია აცნობიერებს თავის როლს სოცილური პასუხიმგებლობის კუთხით. ბოლო წლებში აქტიურად უწევს მხარდაჭერას სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდებსა და ღონისძიებებს.

2019 წელს ‘’ნიკორა ტრეიდში’’ საფუძველი ჩაეყარა მასშტაბურ პროექტს ‘’კლუბი ნიკორელი.“ ეს არის თანამშრომელთა სამოტივაციო პროექტი, რომელიც შინაარსითა და მასშტაბებით უპრეცედენტოა. ბენეფიტები და პრივილეგიების სია საკმაოდ დიდია.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კი კლუბის ბარათია, რომლის მფლობელებსაც აქვთ დამატებითი ფასდაკლება ''ნიკორა სუპერმარკეტში'' და ასევე სხვადასხვა სპეციალური შეთავაზება პარტნიორ კომპანიებში.

იქიდან გამომდინარე, რომ თითოეული თანამშრომელი იმ ღერძის ნაწილია, რომელზეც დღეს კომპანია დგას, ეცადა შეექმნა ყველასთვის საინტერესო სამოტივაციო პროექტი. პროექტზე მუშაობის პარალელურად ჩატარდა არაერთი კვლევა და შედეგად ''ნიკორა ტრეიდმა'' მიიღო ის, რომ ყველა აქტივობა თანამშრომლების ინტერესების დაკმაყოფილებისკენ არის მიზანმიმართული.

ამ ეტაპზე ''კლუბი ნიკორელი'' უკვე 1500-მდე თანამშრომელს აერთიანებს და ახალი წევრების დამატება ყოველკვირეულ რეჟიმში მიმდინარეობს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს ნიკორა ტრეიდი

2018 წლის 31 დეკემბერი

(დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი)

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	10
კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	12
ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	14

შპს გრანთ თორნთონ
ქეთევან წამებულის გამზირი 54
0144, თბილისი, საქართველო
ტ.+ 995 322 604 406

Grant Thornton LLC
54 Ketevan Tsamebuli Avenue
0144 Tbilisi, Georgia
+ 995 322 604 406

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

(*დოკუმენტი არის ინგლისური ორიგინალის თარგმანი*)

სს ნიკორა ტრეიდის აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სს ნიკორა ტრეიდის ("კომპანია") და მისი შვილობილების (ერთობლივად "ჯგუფის") კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, მოგება-ზარალისა და სხვა გაერთიანებული შემოსავლების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვას და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, გარდა იმ ეფექტისა, რაც შესაძლოა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ქონოდათ საკითხებს, რომლებიც განხილულია "დასკვნის მოდიფიცირების საფუძვლების" აბზაცში, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი საკითხის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

დასკვნის მოდიფიცირების საფუძვლები

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩართულია გუდვილი საბალანსო ღირებულებით 38,560 ათასი ლარი (2017 წლის 31 დეკემბერი: 38,560 ათასი ლარი). ამ თანხიდან 36,628 ათასი ლარი წარმოადგენს 2015 წელს შპს ნუგეშის 100%-ის შეძენისას წარმოქმნილი გუდვილის ღირებულებას. შპს ნუგეშის შეძენისას გუდვილის ღირებულება დათვლილი იყო როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენის მომენტში შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სააღრიცხვო ღირებულებას შორის. გუდვილის ღირებულების განსაზღვრის ასეთი მეთოდი არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც მოითხოვს, რომ გუდვილის ღირებულება განისაზღვროს როგორც სხვაობა შეძენისას გადახდილ ანაზღაურებასა და შეძენილი კომპანიის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებას შორის შეძენის თარიღისათვის. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები შპს ნუგეშის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე შეძენის თარიღისათვის, შესაბამისად ჩვენ ვერ დავრწმუნდით საჭიროა თუ არა რაიმე კორექტირება აღიარებული გუდვილისა და შეძენილი

კომპანიის ძირითადი საშუალებების, მარაგების, სავაჭრო მოთხოვნებისა და ვალდებულებების ნაშთებს შორის თანხების გადანაწილების კუთხით შეძენის თარიღისათვის. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენს მიერ გაცემული დასკვნა ასევე მოდიფიცირებული იყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ჩვენს მიერ გუდვილის გაუფასურების შეფასების მიზნით ჩატარებული პროცედურების შედეგად ჩვენ დავასკვენით, რომ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღიარებული გუდვილი არ არის გაუფასურებული.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, აღნიშნული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია ამ დასკვნის აბზაცში სათაურით“ აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე”. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან, როგორც ამას მოითხოვს პროფესიონალ ბუღალტერთათვის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ (“IESBA Code”) შემუშავებული ეთიკის კოდექსი, ჩვენი დამოუკიდებლობა ასევე შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ჩვენ სრულად ვასრულებთ სხვა მოთხოვნებს, რომელიც განსაზღვრულია ეთიკის ნორმებით. დარწმუნებული ვართ, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს გვაძლევს აუდიტორული დასკვნისთვის.

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები

აუდიტის მნიშვნელოვანი საკითხები, არის ისეთი საკითხები, რომლებიც ჩვენი პროფესიული მსჯელობით იყო ყველაზე მნიშვნელოვანი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას. კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტი მოიცავდა ასეთ საკითხებსაც და ჩვენ ცალკე მოსაზრებას აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებზე არ გამოვხატავთ.

გუდვილის გაუფასურება

ყოველწლიურად მენეჯმენტი განიხილავს გუდვილის გაუფასურებას და ამ პროცესში გუდვილის აღდგენითი ღირებულების დათვლისთვის იყენებს საპროგნოზო ბიუჯეტებს. რამდენადაც, ბიუჯეტების მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მნიშვნელოვან შეფასებებს, ამდენად გუდვილის აღდგენითი ღირებულების დათვლაში შეცდომის შედარებით მაღალი რისკი არსებობს. ჩვენი აუდიტორული პროცედურები, სხვასთან ერთად, მოიცავდა ჯგუფის მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიებისა და დაშვებების შეფასებას, კონკრეტულად იმ დაშვებებისა, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლებისა და მოგების მარჟების პროგნოზებთან. ჩვენ, ასევე, ყურადღება მივაქციეთ ჯგუფის ახსნა-განმარტებებს იმ დაშვებებთან დაკავშირებით, რომლებსაც განსაკუთრებული გავლენის მოხდენა შეუძლიათ გუდვილის აღდგენითი ღირებულების განსაზღვრაზე. გუდვილის გაუფასურების ანალიზი მოცემულია შენიშვნა 4-ში.

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების წარდგენაზე. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს ინფორმაციას ჯგუფის საქმიანობის შესახებ, რისკის ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა საჭირო ინფორმაციის წარდგენას საქართველოს ბუღალტრული აღრიცხის, ანგარიშგებისა და აუდიტის კანონის მიხედვით. მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი იქნება აუდიტის რეპორტის წარდგენის თარიღის შემდგომ.

ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებაზე მოსაზრებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობა ზემოთ ხსენებული მმართველობის ანგარიშგების წაკითხვაა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენთვის გახდება ხელმისაწვდომი და ამის შემდგომ გამოვხატავთ აზრს არის თუ არა სხვა ინფორმაცია მატერიალურად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის დროს მიღებული ინფორმაციასთან, ან თუ ადგილი ექნება მატერიაულრ უზუსტობებს, წარმოვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

ხელმძღვანელობისა და მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ფასს) პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა აგრეთვე მოიცავს შიდა კონტროლის ისეთი სისტემის შემუშავებასა და დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს თაღლითობით თუ შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის შესაძლებლობა გააგრძელოს საქმიანობა უწყვეტად და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინოს ახსნა-განმარტებითი ინფორმაცია საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებით. მენეჯმენტი აგრეთვე ვალდებულია მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება საწარმოს უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტი აპირებს ჯგუფის ლიკვიდაციას ან საქმიანობის შეჩერებას, ან თუ ჯგუფს არ აქვს სხვა რეალისტური არჩევანი.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან მეთვალყურეობა გაუწიონ ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების წარდგენის პროცესს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის აუდიტზე

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება მასზედ, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და წარვადგინოთ ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს აუდიტორულ დასკვნას (მოსაზრებას) აღნიშნულზე. დასაბუთებული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ ის არ არის გარანტია იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთას შესაბამისად ჩატარებული აუდიტი აუცილებლად გამოავლენს არსებით უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობა შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად. უზუსტობები მიიჩნევა არსებითად, თუკი, გონივრულობის ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ მათ, ცალ-ცალკე ან ერთობლიობაში, შეუძლიათ გავლენა მოახდინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, როგორც აუდიტის პროცესის შემადგენელი ნაწილი, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვიცავთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვსაზღვრავთ და ვაფასებთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამგვარი რისკების საპასუხოდ და მოვიპოვებთ ჩვენი აუდიტორული მოსაზრების ჩამოსაყალიბებლად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. თაღლითობით გამოწვეული არსებითი შეცდომების შეუმჩნევლობის რისკი შეცდომით გამოწვეული უზუსტობების შეუმჩნევლობის რისკზე მაღალია, რადგან თაღლითობა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა შეთქმულება, გაყალბება, განზრახ რაიმე ინფორმაციის გამოტოვება და არასრული სახით წარდგენა, ან შიდა კონტროლის არასწორი წარმართვა.

- ვერკვევით ჯგუფის კონტროლის სისტემის იმ ნაწილში, რომელიც მნიშვნელოვანია ჩვენი აუდიტის მიზნებისათვის, რათა დავგეგმოთ არსებული სიტუაციისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების, ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებების შესაბამისობას.

- განვიხილავთ რამდენად შესაფერისი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადება საწარმოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვებაზე დაყრდნობით და, მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე, ვაფასებთ, ხომ არ არის მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა დაკავშირებული იმ მოვლენებთან და პირობებთან, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ეჭვი გააჩინონ მომავალში ჯგუფის მიერ საქმიანობის უწყვეტად გაგრძელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არსებობს, მაშინ ჩვენგან მოითხოვება აუდიტორულ დასკვნაში მივუთითოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამისი ახსნა-განმარტებითი შენიშვნა, სადაც განხილულია აღნიშნული მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა, ხოლო თუკი ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული განუსაზღვრელობის არსებობა არ არის ადეკვატურად აღწერილი, მაშინ მოგვეთხოვება აუდიტორული დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი მოსაზრებები დაფუძნებულია ჩვენ მიერ აუდიტორული დასკვნის ხელმოწერის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე. თუმცა მომავალში შესაძლოა მოხდეს ისეთი მოვლენები, რომლებსაც გავლენა ექნებათ ჯგუფის ფუნქციონირების გაგრძელების შესაძლებლობაზე.

- განვიხილავთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშის მთლიან სტრუქტურას, რომელიც მოიცავს წარდგენებს, თუ რამდენად სამართლიანად არის ასახული მასში ტრანზაქციები და მოვლენები.

- მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები ჯგუფში შემავალ კომპანიების, თუ ბიზნეს აქტივობების ფინანსურ ინფორმაციაზე, რათა გამოგვეხატა მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჯგუფის აუდიტის მართვა, გაძღოლა და სათანადოდ ჩატარება. ჩვენ ვრჩებით ერთადერთ პასუხისმგებელად ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვქონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე.

მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს აგრეთვე ვაცნობებთ, რომ ჩვენ ვიცავდით პროფესიული ეთიკის იმ მოთხოვნებს რომლებიც ეხება დამოუკიდებლობას და აგრეთვე იმას, რომ ჩვენ მათ უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ყველა ურთიერთობის, და იმ სხვა საკითხების შესახებ, რომლებსაც გონივრულობის ფარგლებში შესაძლოა გავლენა ქონდეთ ჩვენს დამოუკიდებლობაზე, და სადაც შესაფერისია, იმ ზომების შესახებ, რომლებსაც მივმართავთ დამოუკიდებლობის დასაცავად.მმართველობით უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან განხილული საკითხებიდან, ჩვენ გამოვყოფთ საკითხებს, რომლებიც კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიმდინარე პერიოდის აუდიტისას იყვნენ ყველაზე მნიშვნელოვანნი და ამდენად, წარმოადგენენ აუდიტის მნიშვნელოვან საკითხებს. ამ საკითხებს აღვწერთ აუდიტორულ დასკვნაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ან რეგულაცია გვიკრძალავს ასეთი საკითხების გასაჯაროებას, ან, განსაკუთრებით იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ჩვენ მივიჩნევთ, რომ საკითხი არ უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნაში, რადგან ამ ინფორმაციის გახსნის უარყოფითი შედეგები სავარაუდოდ

გადააჭარბებს იმ სარგებელს, რაც ექნებოდა ამ ინფორმაციის წარდგენას საჯარო ინტერესებისათვის.

იმ აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მომზადდა ეს დასკვნა, არის ქეთევან ღამბაშიძე.

ვახტანგ ცაბაძე	ქეთევან ღამბაშიძე
მმართველი პარტნიორი	რეგისტრირებული აუდიტორი

17 ივნისი 2019

გადააჭარბებს იმ სარგებელს, რაც ექნებოდა ამ ინფორმაციის წარდგენას საჯარო ინტერესებისათვის.

იმ აუდიტის გარიგების პარტნიორი, რომლის შედეგადაც მომზადდა ეს დასკვნა, არის ქეთევან ღამბაშიძე.

ვახტანგ ცაბაძე
მმართველი პარტნიორი

ქეთევან ღამბაშიძე
რეგისტრირებული აუდიტორი

17 ივნისი 2019

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
გუდვილი	4	38,560	38,560	38,560
ძირითადი საშუალებები	5	45,509	19,371	17,462
არამატერიალური აქტივები	6	1,786	1,827	1,535
		85,855	59,758	57,557
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	7	33,137	20,813	15,174
საეჭრო და სხვა მოთხოვნები	8	8,039	8,260	5,599
სხვა მიმდინარე აქტივები		220	233	32
წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი		182	176	-
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	9	2,692	10,176	1,733
		44,270	39,658	22,538
სულ აქტივები		130,125	99,416	80,095
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
სააქციო კაპიტალი	10	20,610	20,419	19,597
საემისიო კაპიტალი	10	7,675	6,216	-
გადაფასების რეზერვი		-	-	320
აკუმულირებული მოგება/ზარალი		(11,555)	(10,414)	(14,176)
		16,730	16,221	5,741
არამაკონტროლებელი წილი		-	-	-
სულ კაპიტალი		16,730	16,221	5,741

თანდართული შენიშვნები 14-47 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	11,26	13,660	13,859	18,827
ობლიგაციები	12	25,000	-	13,234
		38,660	13,859	32,061
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	64,174	44,848	33,550
სესხები	11,26	9,980	11,148	8,482
ობლიგაციები	12	-	13,137	-
ობლიგაციების საპროცენტო ვალდებულებები	12	161	137	176
სახელშეკრულებო ვალდებულება		101	66	85
გადასახდელი მოგების გადასახადი		319	-	-
		74,735	69,336	42,293
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		130,125	99,416	80,095

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 17 ივნისი:

დავით ურუშაძე
გენერალური დირექტორი

თემურ ალექსანდრია
ფინანსური დირექტორი

თანდართული შენიშვნები 14-47 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი

	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)	2016 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სესხები	11,26	13,660	13,859	18,827
ობლიგაციები	12	25,000	-	13,234
		38,660	13,859	32,061
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	64,174	44,848	33,550
სესხები	11,26	9,980	11,148	8,482
ობლიგაციები	12	-	13,137	-
ობლიგაციების საპროცენტო ვალდებულებები	12	161	137	176
სახელშეკრულებო ვალდებულება		101	66	85
გადასახდელი მოგების გადასახადი		319	-	-
		74,735	69,336	42,293
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		130,125	99,416	80,095

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2019 წლის 17 ივნისი:

დავით ურუშაძე	თემურ ალექსანდრია
გენერალური დირექტორი	ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შემოსავალი		344,957	268,272
რეალიზაციის თვითღირებულება		(256,984)	(201,831)
საერთო მოგება		**87,973**	**66,441**
სხვა შემოსავალი		387	460
დისტრიბუცია და მარკეტინგის ხარჯები	14	(48,714)	(35,028)
ადმინისტრაციული ხარჯები	15	(33,478)	(22,390)
სხვა ხარჯები		(244)	(438)
შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან		**5,924**	**9,045**
ფინანსური ხარჯი	16	(4,210)	(4,138)
სხვა ფინანსური ხარჯები	17	(417)	929
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(1,443)	(1,904)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		**(146)**	**3,932**
მოგების გადასახადი		(995)	(490)
წლის წმინდა მოგება		**(1,141)**	**3,442**
სხვა გაერთიანებული შემოსავალი			
ერთეულები რომლებიც მომავალში არ გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალში			
ძირითადი საშუალების გადაფასება		-	320
სხვა *გაერთიანებული* შემოსავალი, მოგების გადასახადის გარეშე		-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი		**(1,141)**	**3,762**
- მოგება ერთ აქციაზე		(0.1207)	0.3675

თანდართული შენიშვნები 14-47 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი

	საქციო კაპიტალი	გადაფასე-ბის რეზერვი	კუმულირე-ბული მოგება/ზარა ლი (გადაანგარი-შებული	სულ სათაო კომპანიის მფლობე-ლებზე მიკუთვნება დი	არამაკონტ როლებელი წილი	სულ
2017 წლის 1 იანვარი	**19,597**	**320**	**(14,176)**	**5,741**	**-**	**5,741**
წლის მოგება/ზარალი	-	-	3,442	3,442	-	3,442
გადაფასების ნამეტის გადატანა დაგროვილ მოგებაზე	-	(320)	320	-	-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი	**-**	**(320)**	**3,762**	**3,442**	**-**	**3,442**
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	7,038	-	-	7,038	-	7,038
ტრანზაქციები მფლობელებთან	**7,038**	**-**	**-**	**7,038**	**-**	**7,038**
2017 წლის 31 დეკემბერი	**26,635**	**-**	**(10,414)**	**16,221**	**-**	**16,221**
წლის მოგება/ზარალი	-	-	(1,141)	(1,141)	-	(1,141)
სხვა გაერთიანებული შემოსავალი	-	-	-	-	-	-
სულ გაერთიანებული შემოსავალი	**-**	**-**	(1,141)	(1,141)	**-**	(1,141)
ჩვეულებრივი აქციების გამოშვება	1,651			1,651		1,651
2018 წლის 31 დეკემბერი	**28,286**	**-**	**(11,555)**	**16,730**	**-**	**16,730**

ფასს 9-ის და ფასს 15-ის საწყისმა განაცხადმა არ გამოიწვია გაუნაწილებებლი მოგების კორექტირება ქართულ ლარში.

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება/ზარალი	(1,141)	3,442
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	9,231	5,989
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული მოგება/ზარალი	(123)	-
მარაგების დანაკარგები	6,370	3,449
საპროცენტო ხარჯი	4,210	4,138
მოგების გადასახადის ხარჯი	995	490
სახელშეკრულებო ვალდებულების ცვლილება	34	66
საკურსო სხვაობის ზარალი	417	(929)
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე	**19,993**	**16,645**
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	221	(2,661)
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში	(18,694)	(9,187)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	16,711	10,602
ცვლილები წინასწარ გადახდებში	(13)	(144)
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**18,218**	**15,255**
გადახდილი პროცენტი	(4,142)	(4,196)
გადახდილი მოგების გადასახადი	(964)	(453)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	**13,112**	**10,606**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	(32,324)	(7,540)
არამატერიალური აქტივების შეძენა	42	(193)
გაცემული სესხები	20	(20)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან მიღებული ფული	-	-
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	**(32,262)**	**(7,753)**

თანდართული შენიშვნები 14-47 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული ფული	101,437	112,272
სესხებზე გადახდილი ფული	(104,653)	(115,671)
საწესდებო კაპიტალის ზრდით მიღებული ფული	-	23
ობლიგაციებიდან მიღებული ფული	25,000	-
ობლიგაციებზე გადახდილი ფული	(12,540)	(97)
აქციების გამოშვებით მიღებული ფული	1,650	7,015
დივიდენდები	-	-
წმინდა ფული საფინანსო საქმიანობიდან	**10,894**	**3,542**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების ზრდა/შემცირება	(8,256)	6,395
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	772	3,049
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	10,176	733
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს (შენიშვნა 25)	**2,692**	**10,176**

თანდართული შენიშვნები 14-47 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს "ნიკორა ტრეიდის" (შემდგომში "კომპანია") და მისი შვილობილი კომპანიების –შპს "ლაზი ჰოლდინგის" და შპს "ნუგეშის" – ფინანსურ ინფორმაციას. სს "ნიკორა ტრეიდი" არის საქართველოში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ახორციელებს მისამართზე: ც. დადიანის №7, ქარვასლა ბიზნეს ცენტრი. სს "ნიკორა ტრეიდი" ფლობს 67%-იან წილს საქართველოში რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ლაზი ჰოლდინგში" და აგრეთვე 100%-იან წილს შპს "ნუგეშში".

სს "ნიკორა ტრეიდის" 86%-იანი წილის მფლობელი არის საქართველოში დაფუძნებული და რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება "ნიკორა", ხოლო აქციების 14% ეკუთვნის სხვა აქციონერებს.

ჯგუფი ფლობს საცალო ვაჭრობის მაღაზიათა ქსელს საქართველოში და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს 258 მაღაზიას (2017 წლის 31 დეკემბერი: 216). ჯგუფი არის ერთ-ერთი ლიდერი კომპანია საქართველოს საცალო ბაზარზე.

საშუალო თანამშრომელთა რაოდენობა 2018 წელს არის 3,988 (2017: 2,680 თანამშრომელი).

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ჯგუფმა 2018 წელს მიიღო ახალი უწყება ფასს 15 *ამონაგები მომხამრებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან* და ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები* აღრიცხვისთვის. მნიშვნელოვანი საარიცხვო პოლიტიკის ცლილებების შესახებ იხილეთ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით.

2.2 მომზადების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების ახლანდელი (დისკონტირებული) ღირებულებით და ძირითადი საშუალებების ცალკეული ჯგუფებისა, რომლებიც წარმოდგენილია გადაფასებული ღირებულებით. თითოეული კატერგორიის აქტივისა და ვალდებულების შეფასებასთან დაკავშირებული დეტალები იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებში.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს ჯგუფის ოპერაციებისა და ჯგუფის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, ათასებში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია ათასამდე, თუ სპეციალურად სხვა რამ არ არის აღნიშნული.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია 22-ე შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს ჯგუფმა ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2018 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის და შეესაბამება ჯგუფის ოპერაციებს.

ამ ცვლილებების გავლენა და ბუნება გაშლილია ქვემოთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ახალი სტანდარტები და დამატებები პირველად გამოყენებულია 2017 წელს, მათ არ აქვთ მატერიალური ზეგავლენა ჯგუფის წლიურ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე.

ახალი და გადახედილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ გამოშვებული იმ ახალი სტანდარტების, ცვლილებებისა და ინტერპრეტაციების ჩამონათვალი, რომლებიც ეფექტურია 2018 წლის 1 იანვრიდან და მიღებულია ჯგუფის მიერ, წარმოდგენილია ქვემოთ:

სტანდარტი	დასახელება	თარიღი
ფასს 9	ფინანსური ინსტრუმენტები (შენიშვნა 3.9)	2018 წლის 1 იანვარი
ფასს 15	ამონაგები მომხამრებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (შენიშვნა 3.14)	2018 წლის 1 იანვარი
ბასს 28	ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში	2018 წლის 1 იანვარი

სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები არსებულ სტანდარტებზე, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური და ჯერჯერობით არ მიუღია ჯგუფს.

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, გამოქვეყნებული იყო გარკვეული ახალი სტანდარტები, არსებული სტანდარტების შესწორებები და ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერჯერობით ისინი არ არის ეფექტური და შესაბამისად ჯგუფს ჯერ არ მიუღია.

ახალი სტანდარტები და არსებული სტანდარტების შესწორებები:	**ეფექტურია სააღრიცხვო წლის დასაწყისისთვის ან შემდგომ**
ფასს 16, იჯარა. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავდა იჯარის აღრიცხვის ახალი სტანდარტი. (ა) ახალ სტანდარტს არ აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა მეიჯარეს მიერ იჯარის აღიცხვაზე. თუმცა, სტანდარტი მოითხოვს რომ მოიჯარემ ბალანსში იჯარა აღიაროს როგორც საიჯარო ვალდებულება აქტივის გამოყენების უფლებასთან კორესპონდენციაში. (ბ) მოიჯარე ვალდებულია ყველა იჯარისთვის გამოიყენოს შეფასების ერთნაირი მოდელი, თუმცა მას აქვს უფლება არ აღიაროს იჯარა ფინანსურად მოკლევადიანი იჯარის ან საიჯარო აქტივის დაბალი ღირებულების შემთხვევაში. (გ) ჩვეულებრივ, აღიარებულ იჯარასთან დაკავშირებული მოგების ან ზარალის აღიარების მოდელი მსგავსია დღევანდელი ფინანსური იჯარის აღრიცხვის, სადაც ფინანსური მდგომარეობის უწყისში საპროცენტო და ცვეთის ხარჯები აღიარებულია განცალკევებულად. სტანდარტის ამ ვადაზე ადრე გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვევაში, თუ იმავე თარიღისთვის გათვალისწინებული იქნება ფასს 15 შემოსავალი მომხმარებლებთან კონტრაქტებიდან. ფასს 16 –ზე გადასვლა შესაძლებელია რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის საფუძველზე. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.	2019 წლის 1 იანვარი
ყოველწლიური გაუმჯობესებები 2015–2017 ციკლი, განახლებები ფასს 3, ფასს 11, ბასს 12 და ბასს 23 ფასიკ 23 ცვალებადობა მოგების გადასახადის მიდგომასთან. ფასიკ 23 ხელმძღვანელობს თუ როგორ აისახება ცვალებადობის ეფექტები მოგების გადასახადის აღრიცხვაში ბასს 12-ის მიხედვით, კერძოდ: ცვალებადი საგადასახადო მიდგომები ერთობლივად უნდა განიხილებოდეს თუ არა, დაშვებები საგადასახადო ზედამხედველი პირების მიერ ჩატარებული შემოწმებებისთვის, დასაბეგრი მოგების (ზარალის) განსაზღვრა, საგადასახადო ბაზები, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალი, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტი, საგადასახადო განაკვეთები და ფაქტებისა და გარემოებების ცვლილების ეფექტი .	2019 წლის 1 იანვარი
ცვლილებები ფასს 9-ში, ფინანსური ინსტრუმენტები, დაკავშირებული წინასწარგადახდის პირობებთან უარყოფითი კომპენსაციით. აღნიშნული გულისხმობს ფასს 9-ში არსებული მოთხოვნების ცვლილებას შეწყვეტის უფლებასთან დაკავშირებით, რათა შესაძლებელი გახდეს ამორტიზებული ღირებულებით შეფასება (ან, ბიზნეს მოდელის მიხედვით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში) უარყოფითი კომპენსაციის შემთხვევაშიც კი.	2019 წლის 1 იანვარი

ახალი სტანდარტები და არსებული სტანდარტების შესწორებები:	ეფექტურია სააღრიცხვო წლის დასაწყისისთვის ან შემდგომ
ცვლილება სტანდარტში ბასს 19 დაქირავებულ პირთა კომპენსაციები: ცვლილებები განმარტავს: ჯგუფი იყენებს განახლებულ აქტუარული შეფასების მეთოდს მიმდინარე მომსახურების ღირებულების და პერიდში წმინდა პროცენტის განსაზღვრისთვის და ახდენს აქტივის ზედა ზღვრის იგნორირებას შეთანხმებასთან დაკავშირებული მოგების ან ზარალის კალკულაციისას, რაც ცალკე განიხილება სხვა სრულ შემოსავალში	2019 წლის 1 იანვარი
ცვლილებები ბასს 28-ში, ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, დაკავშირებული გრძელვადიან წილის ფლობასთან მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში. აღნიშნული ცვლილება განმარტავს, რომ საწარმო რომელიც იყენებს ფასს 9-ს, ფინანსური ინსტრუმენტები, გრძელვადანი წილის ფლობისთვის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში, რომელიც ქმნის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებში წმინდა ინვესტიციის ნაწილს, კაპიტალის მეთოდი არ გამოიყენება.	2019 წლის 1 იანვარი
ცვლილებები ფასს სტანდარტების კონცეპტუალურ ჩარჩოში შესწორებების შეტანის თაობაზე – ცვლილებები შემდეგი სტანდარტებისთვის ფასს 2, ფასს 3, ფასს 6, ფასს 14, ბასს1, ბასს 8, ბასს 34, ბასს 37, ბასს 38, ფასიკ 19, ფასიკ 20, ფასიკ 22 და SIC-32 ეხება მითითებებსა და ციტატებს ახალი ჩარჩოს შესაბამისად, ან მითითებებს იმის შესახებ, სადაც კონცეპტუალური ჩარჩოს სხვა ვერსია გამოიყენება	2020 წლის 1 იანვარი
ცვლილებები ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და ბასს 28 ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში (2011) დაკავშირებული ინვესტორის მიერ მეკავშირე ან ერთობლივი საწარმოს მიმართ რეალიზაციის ან ატივების სახით შენატანების მოპყრობის შესახებ	ფექტური თარიღი ჯერ განუსაზღვრელია.ადრეული მიღება დასაშვებია

მენეჯმენტი ვარაუდობს, რომ ყველა შესაბამისი ცვლილება მიღებულ იქნება ჯგუფის საანგარიშო პოლიტიკებში პირველი პერიოდისთვის, ცვლილებების ძალაში შესვლის დღიდან. ჯგუფის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ უნდა შეაფასოს ამ ახალი სტანდარტის გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

2.6 შვილობილი კომპანიები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

2018 წლის 31 დეკემბერი, შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
შპს ნუგეში	100%	საქართველო	18 ივნისი, 2010 წელი	საცალო გაყიდვა	1 ივლისი, 2015 წელი
შპს ლაზი ჰოლდინგი	67%	საქართველო	14 აპრილი, 2010 წელი	საცალო გაყიდვა	4 დეკემბერი, 2014 წელი

2017 წლის 31 დეკემბერი, შვილობილი	წილი %	ქვეყანა	დაარსების თარიღი	საქმიანობის სფერო	შესყიდვის თარიღი
შპს ნუგეში	100%	საქართველო	18 ივნისი, 2010 წელი	საცალო გაყიდვა	1 ივლისი, 2015 წელი
შპს ლაზი ჰოლდინგი	67%	საქართველო	14 აპრილი, 2010 წელი	საცალო გაყიდვა	4 დეკემბერი, 2014 წელი

2.7 ფინანსური ანგარიშგების ცვლილება

ჯგუფს შეაქვს ცვლილებები ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაში და ასწორებს წინა პერიოდის შეცდომებს, მათი აღმოჩენის შემდეგ რეტროსპექტულად ფინანსური ანგარიშგების თავდაპირველ ვერსიაში. ცვლილებების შეტანა ხდება შემდეგნაირად: გადაანგარიშდება შესადარისი თანხები წინა პერიოდებისთვის, რომლებშიც მოხდა შეცდომა; ან თუ შეცდომა მოხდა უფრო ადრეულ პერიოდში, ხდება აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის საწყისი ბალანსების ცვლილება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ისე თითქოს შეცდომის გასწორება მოხდა იმ პერიოდის განმავლობაში როდესაც ამის აუცილებლობა გაჩნდა. აქედან გამომდინარე, შესწორებული თანხის ოდენობა შედის იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში რომელშიც ის განხორციელდა.

ჯგუფმა ცვლილება შეიტანა ფინანსური ანგარიშგებაში რათა გაესწორებინა 2014 წლის ბოლოს შპს ლაზის შეძენასთან დაკავშირებული გუდვილის კალკულაციის დროს წარმოშობილი შეცდომები. კერძოდ, შპს ლაზის წმინდა აქტივები გადაჭარბებულად იქნება შეფასებული 333 ათასი ლარით, რის მიზეზსაც მარაგების და სხვა მოკლევადიანი აქტივების შეფასებაში დაშვებული შეცდომა წარმოადგენდა.

შესაბამისად, ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიჩია, რომ შეცდომა, რომელმაც შვილობილის შეძენისას აღიარებული გუდვილის არასწორი შეფასება გამოიწვია, უნდა გასწორებულიყო შეძენილ წმინდა აქტივებში მისი წილის პროპორციულად (67%).

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

3.1 საერთო მოსაზრებები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს –ის მიერ თითოეული ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯებისთვის განსაზღვრული შეფასების საფუძველზე. შეფასების საფუძვლები სრულად არის აღწერილი ქვემოთ მოცემულ საანგარიშგებო პოლიტიკებში. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული საანგარიშგებო პოლიტიკები შესაბამისობაშია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებულ პოლიტიკებთან, გარდა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებებისა, რომელიც ახსნილია შენიშვნებში 3.9.1 და 3.14.

3.2 კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები არის ის ორგანიზაციები, რომლებიც კონტროლდება ჯგუფის მიერ. კონტროლი ხორციელდება, როდესაც ჯგუფს აქვს უფლებამოსილება, პირდაპირ ან ირიბად მართოს ორგანიზაციის ფინანსური და საოპერაციო პოლიტიკა ისე რომ, მიიღოს სარგებელი მისი საქმიანობიდან. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები შეტანილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტორლის დაწყების დღიდან კონტროლის შეწყვეტის დღემდე.

ჯგუფის მიერ შვილობილი კომპანიის შესყიდვის აღრიცხვისათვის გამოიყენება შესყიდვის მეთოდი. შესყიდული იდენტიფიცირებადი აქტივები, ვალდებულებები და პირობითი ვალდებულებები, თავდაპირველად აღირიცხება შესყიდვის დღისთვის მათი სამართლიანი ღირებულებით, უმცირესობის წილის მოცულობის მიუხედავად.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ სამართლიან ღირებულებას, რომელიც მათ ქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება არის სხვაობა შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, სამართლიან ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების სამართლიან ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში.

არამაკონტროლებელი წილი არის წილობრივი მონაწილეობა შვილობილ კომპანიებში, რომელიც არ არის ჯგუფის მფლობელობაში. ანგარიშგების თარიღისთვის, არამაკონტროლებელის წილი წარმოადგენს არამაკონტროლებელი აქციონერების წილს შვილობილი კომპანიების იდენტიფიცირებადი აქტივების, ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებების წმინდა რეალურ ღირებულებაში, შესყიდვის თარიღისთვის, და შესყიდვის თარიღის შემდგომ, უმცირესობის წილს კაპიტალის მოძრაობაში. არამაკონტროლებელის მონაწილეობა წარმოდგენილია კაპიტალის მუხლებში.

ზარალი, რომელიც განაწილებულია არამაკონტროლებელ წილზე არ აღემატება არამაკონტროლებელ წილს შვილობილი კომპანიის კაპიტალში, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს არ აქვთ ზარალის გადაფარვასთან დაკავშირებული სხვა ვალდებულება. ყველა ასეთი ზარალი განაწილებულია ჯგუფზე..

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ტრანზაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანზაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია). მეკავშირე საწარმოებთან დაკავშირებული ტრანზაქციების საფუძველზე წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება გაქვითულია ინვესტიციებთან.

3.3 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6766 ლარს და ერთი ევრო შეადგენს 3.0701 ლარს. (2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი და ერთი ევრო 3.1044 ლარი).არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლოს კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ტრანზაქციის განხორციელების დღის კურსით), გარდა სამართლიანი ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.4 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა და შენობები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება საკმარისი სიხშირით, იმ მიზნით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების რეზერვის შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება.

გადაფასების ნამეტი გადადის დაგროვილ მოგებაში როდესაც აქტივი გამოიყენება ჯგუფის მიერ. გადაფასების ნამეტის რაოდენობა არის განსხვავება აქტივის საწყისი ღირებულებისა და გადაფასებული საბალანსო ღირებულების მიხედვით დათვლილ ცვეთებს შორის. გადაფასებული ქონების შემდგომი რეალიზაციის ან ჩამოწერის შემდეგ, გადაფასების ნამეტი გადადის დაგროვილ მოგებაში.

სხვა ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და სესხებთან დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება ჯგუფის პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური იჯარით აღებული შენობები ასევე ჩაირთვება ძირითად საშუალებებში. ასეთ აქტივებს ცვეთა ერიცხება მოსალოდნელ სასიცოცხლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯები, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა ნაგებობები	-	30 წელი
მანქანები და მძიმე ტექნიკა	-	5 წელი
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	-	5 წელი
ტრანსპორტი	-	5 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	-	7-10 წელი
მიწა	-	არ იცვითება

3.5 გუდვილი

გუდვილი წარმოადგენს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც წარმოიქმნება საქმიანი ბიზნეს კომბინაციის საფუძველზე, რომელიც ინდივიდუალურად არ არის განსაზღვრული და ცალკე აღიარებული. გუდვილი აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გუდვილის გაუფასურების ტესტთან დაკავშირებული პროცედურების სანახავად იხილეთ შენიშვნა 4.

3.6 სხვა არამატერიალური აქტივები

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება/ზარალზე. სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება 5-7 წლით პროგრამებისთვის, უფლებებისა და სხვა მსგავსი არამატერიალური აქტივებისთვის.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები არ განიცდიან ცვეთას. ყოველწლიურად ხდება მათი არსებული ღირებულებისა და ამოღებადი თანხის შედარება იმისათვის რომ დადგინდეს გაუფასურებული ხომ არ არის არამატერიალური აქტივი.

3.7 იჯარა

ბასს 17-ის შესაბამისად, იჯარით აღებული აქტივის ეკონომიკური მფლობელობა გადაეცემა მოიჯარეს, თუ მას ასევე გადაეცემა იჯარით აღებული აქტივის ყველა რისკი და ვალდებულება. აქტივი აღიარებულია იჯარის კონტრაქტის დაწყებისას იჯარით აღებული აქტივის სამართლიანი ღირებულებით ან, თუ უფრო დაბალია, იჯარის გადასახადების დისკონტირებული ღირებულებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. შესაბამისი თანხა აღიარებულია როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება, მიუხედავად იმისა, რომ იჯარით გათვალისწინებული თანხის ნაწილის გადახდა შეიძლება მოხდეს წინასწარ.

ფინანსური იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივები შემდგომში ბუღალტრულად აღირიცხება სხვა აქტივების მსგავსად რომლებსაც ფლობს კომპანია. ფინანსური იჯარის ვალდებულება მცირდება ფინანსური ხარჯებით შემცირებული საიჯარო გადახდებით, რომელიც აღიარდება როგორც ფინანსური ხარჯი. საიჯარო გადახდებიდან საპროცენტო ელემენტი განისაზღვრება როგორც პროპორცია კაპიტალის ნაშთიდან და აღიარდება მოგება-ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში.

ყველა სხვა იჯარა განიხილება როგორც საოპერაციო იჯარა. იჯარით აღებულ ქონებაზე გადახდები აღიარებულია წლის ხარჯებში წრფივი მეთოდით, ასევე ხარჯად აღიარდება მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა მომსახურება და სადაზღვევო, როგორც გაწეული ხარჯი.

3.8 სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება FIFO მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.9 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება,შემდგომი შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტუმენტების შესახებ ხელშეკრულების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც მისი სასიცოცხლო ვადა ამოიწურა ან ვალდებულება გაუქმდება.

3.9.1 ცვლილებები საანგარიშგებო პოლიტიკაში

ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები

ჯგუფმა მიიღო ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები, გამოშვებული 2014 წლის ივლისში, რომელიც ეფექტური იყო 2018 წლის 1 იანვრისთვის და ამ თარიღის შემდგომი საანგარიშგებო წლისთვის. ფასს 9-ის მოთხოვნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ბასს 39-ისგან ფინანსური ინსტრუმენტები: აღაიარება და შეფასება. ახალი სტანდარტის მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის ზოგიერთი ასპექტები.

ფასს 9 მოიცავს ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებულ ახალ მოთხოვნებსაც. ახალი მოთხოვნები გულისხმობს ჰეჯირების აღრიცხვის მეთოდის დაახლოებას რისკების მართვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან, ჰეჯირებულ საგნებსა და ჰეჯირების ინსტრუმეტებზე არსებული უფლების ზრდით და ჰეჯირების ეფექტიანობის შეფასებისას უფრო მეტად პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომის გამოყენებით.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL::

- ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

სასესხო ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL :

- ჯგუფი ფლობს აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია მიიღოს აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და შემდგომ გაყიდოს;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგნეს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

კაპიტალში წილობრივი ინვესტიციებისთვის, რომლის ფლობის მიზანი არ არის ვაჭრობა, ჯგუფს შეუძლია რეალური ღირებულებით ასახვის შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში. არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის საფუძველზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას, ჯგუფმა შეიძლება, ფინანსური აქტივი, შემდგომში შეუცვლელობის პირობით, განსაზღვროს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით როგორც სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარების კრიტერიუმებს, თუ ამით გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეუსაბამობას, რომელიც სხვაგავარად წარმოიქმნებოდა..

ბიზნეს მოდელის შეფასება:

ჯგუფი აფასებს ბიზნესოდელის, რომელშიც აქტივები ფლობილია პორტფელის დონეზე, მიზანს რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს, იმას თუ როგორ ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისთვის.

საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეფასება, წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირის და სარგებლის გადახდას:

შეფასების მიზნებისთვის, "ძირი" განიმარტება როგორც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება. სარგებელი კი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასხვისებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

იმის განსაზღვრისას საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და სარგებლის გადახდებს გულისხმობს თუ არა, ჯგუფი ითვალისწინებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ კონტრაქტის პირობებს. აღნიშნული ასევე მოიცავს იმის განსაზღვრას, ფინანსური აქტვი დაკავშირებულია თუ არა ისეთ საკონტრაქტო პირობასთან, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების პერიოდისა და თანხის ოდენობის ცვლილებას.

რეკლასიფიკაცია:

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ჯგუფი ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, მან უნდა მოახდინოს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია.

გაუფასურება:

ჯგუფი ფინანსურ აქტივზე მოსალოდნელ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ გაუსაფურების ზარალის რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით და გაცემული ვალდებულებითი პირობის გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ჯგუფმა გაუფასურების ზარალის რეზერი ყოველთვის უნდა შაფასოს თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია, გარდა იმ შეთხვევისა, როცა საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რა დროსაც ზარალის რეზერვი უნდა შეფასდეს ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება:

- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი სიდიდე. მათი შეფასება ხდება შემდეგნაირად:
- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც არ არის გაუფასურებული ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (ე.ი სხვობა ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის).
- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც გაუფასურებულია ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის.
- აუთვისებელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის: როგორც სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც ჯგუფისთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მთლობელი სესხს აითვისებს და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც ჯგუფი მოელის, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

ფინანსური აქტივების საკრედიტო გაუფასურება

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, ჯგუფი აფასებს გაუფასურებულია თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ იმ მოვლენათაგან, რომელიც გავლენას ახდენს მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, ერთი ან რამდენიმე მაინც მოხდა.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. ჯგუფი იყენებს რეზერვის შექმნის მოდელს და საშაულო საპროცენტო განაკვეთს მიიჩნევს, როგორც ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების მართვის საკეთესო საშუალებას.

ჩამოწერა:

ჯგუფმა ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ უნდა შეამციროს (ნაწილობრივ ან მთლიანად), თუ არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი ანაზღაურდება. ეს ჩვეულებრივ ის შემთხვევაა, როცა ჯგუფმა ამოწურა ყველა იურიდიული ძალისხმევა ფინანსური აქტივის აღსადგენად. თუმცა, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას რათა შესრულდეს ჯგუფის მიერ აღნიშნული თანხების აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურები.

გაუფასურების წარდგენა:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვის ღირებულება აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ფასს-ზე გადასვლა :

ფასს 9-ზე გადასვლისას, ჯგუფს საშუალება აქვს არ გადაინაგარიშოს წინა წლის მონაცემები.

ფასს 9-ზე გადასვლის შედეგად წარმოშობილი სხვაობები დაკავშირებული კლასიფიკაციასთან, შეფასებასთან და გაუფასურებასთან აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის: თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებული ფაქტებისა და შემთხვევების გათვალისწინების საფუძველზე გაკეთდა შემდეგი შეფასებები::

- ბიზნესმოდელის განსაზღვრა, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი ფლობს ფინანსურ აქტივს.

თუ ფინანსურ აქტივს ჰქონდა დაბალი საკრედიტო რისკი ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის, მაშინ ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკები მნიშვნელოვნად არ გაზრდილა.

ფასს 9-ის გამოყენებას ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის პოლიტიკაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჯერ არ მოუხდენია.

ფასს 9 მოიცავს ფინანსური აქტივის სამ პრინციპულ კლასიფიკაციას: შეფასებას ამორტიზებული ღირებულებით, შეფასებას რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და შეფასებას რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL). ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ძირითადად დამოკიდებულია იმ ბიზნესმოდელზე, რომლის ფარგლებშიც ჯგუფი ფინანსურ აქტივს ფლობს. ფასს 9 გამორიცხავს ბასს 39-ის მიხედვით განსაზღვრულ კატეგორიებს დაფარვის ვადების, სესხების და მოთხოვნების და გასაყიდად გამიზნული აქტივების კლასიფიკაციით. ამასთან ფასს 9 დიდწილად ინარჩუნებს ბასს 39-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისა და შეფასების შესახებ.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი და მასთან დაკავშირებული შენიშვნები ასახავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცალკეული კლასისთვის განსაზღვრულ კატეგორიებს ბასს 39-ის და ფასს 9-ის შესაბამისად 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის

ათასი ლარი	თავდაპირველი კლასიფიკაცია ბასს 39-ის მიხედვით	ახალი კლასიფიკაცია ფასს 9-ის მიხედვით	თავდაპირველი საბალანსო ღირებულება ბასს 39-ის მიხედვით	ახალი საბალანსო ღირებულება ფასს 9-ის მიხედვით
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	8,260	8,260
ფული და მისი ექვივალენტები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირებულება	10,176	10,176
სულ ფინანსური აქტივები			**18,436**	**18,436**
ფინანსური ვალდებულებები				
სესხები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	25,007	25,007
ობლიგაციები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	13,274	13,274
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	სხვა ფინანსური ვალდებულებები	44,848	44,848
სულ ფინანსური ვალდებულებები			**83,129**	**83,129**

ფასს 9-ის მიღებას გავლენა არ მოუხდენია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე 2018 წლის 1-ლი იანვრისთვის, ფასს 9-ზე გადასვლისას გაუფასურების ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ფასს 9-ზე გადასვლას გავლენა არ მოუხდენია რეზერვებისა და გაუნაწილებელი მოგების საწყის ღირებულებებზე.

3.9.2 ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ვალდებულებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ.

ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

პროცენტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯებში.

3.9.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთროული განხორციელების შესახებ.

3.10 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

გუდვილის გაუფასურება

გუდვილი განაწილებულია იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე, რომლებიც მოსალოდნელია, რომ ისარგებლებენ საწარმოთა გაერთიანების შედეგად წარმოქმნილი სინერგიით და წარმოადგენენ ჯგუფში ყველაზე დაბალ დონეს, რომელ დონეზეც მენეჯმენტი ახდენს გუდვილის მონიტორინგს. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები, რომლებზეც ხდება გუდვილის მიკუთვნება გაუფასურებაზე ტესტირდება წელიწადში ერთხელ მაინც. გაუფასურების ზარალი ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებზე თავდაპირველად ამცირებს იმ გუდვილის მიმდინარე ღირებულებას, რომლიც მიკუთვნებულია ასეთ ერთეულზე. დარჩენილი გაუფასურების ზარალი პროპორციულად ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში შემავალ სხვა აქტივებზე. გუდვილის გაუფასურების აღდგენა შემდგომ პერიოდებში არ ხდება.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია აქტივის სასიცოცხლო ვადის განსაზღვრა, ამ აქტივს არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მისი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი მომენტალურად აისახება, როგორც ხარჯი

იმ შემთხვევაში, როცა აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი არის წარმოდგენილი გადაფასებული ღირებულებით და გაუფასურების ზარალი პირდაპირ ამცირებს გაუფასურების რეზერვს.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის შებრუნება, მაშინ აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, თუ ეს აქტივი არ არის გადაფასებული მდგომარეობით, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის შებრუნება განისაზღვრება როგორც გადაფასების ზრდა.

3.11 კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას.

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელებში და ა.შ.) ხორციელდება კომპანიის აქციონერების მიერ. სააქციო კაპიტალის წარდგენილი ნაშთი წარმოადგენს აქციების ნომინალურ ღირებულებას, რომელიც მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს.

გადაფასების რეზერვი მოიცავს მიწისა და შენობების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანზაქცია რომელიც დაკავშირებულია მშობელ კომპანიასთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მშობელი კომპანიის რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლებში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

3.12 ანარიცხები

ანარიცხი აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენის შედეგად, და სავარაუდოა, რომ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის გადინება. თუ ეფექტი მატერიალურია, ანარიცხები განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით წინასწარ საგადასახადო განაკვეთზე, რაც ასახავს ფულის დროში ღირებულებას.

3.13 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა

გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები დაიბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში, ფინანსური და საგადასახადო ბასის საფუძველზე,შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება. შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება აღარ წარმოიქმნება 2017 წლის 1-ლი იანვრის შემდგომ პერიოდში და არაა წარმოდგენილი ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.14 შემოსავლის აღიარება

ჯგუფის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული ჯგუფმა უნდა შეასრულოს 5 საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) ჯგუფი დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

ჯგუფი აღიარებს საკონტრაქტო ვალდებულებას შეუსრულებელი ვალდებულების შესაბამისად და წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო ვალდებულება. ანალოგიურად, თუ ჯგუფი დააკმაყოფილებს შესრულების ვალდებულებას, ფულადი სახსრების მიღებამდე, ჯგუფი აღიარებს საკონტრაქტო აქტივს ან მოთხოვნებს ფინანსური მგომარეობის ანგარიშგებაში, რომელიც დამოკიდებულია გადახდის პერიოდისგან განსხვავებულ სხვა გარემოებებზე.

ჯგუფის საცალო გაყიდვების მიმართულება ახორციელებს ერთგული მომხამრებლის წამახალისებელ პროგრამას. ნიკორას სუპერტმარკეტების მომხმარებლებს სთავაზობენ ე.წ "ბონუს ბარათებს". ნიკორას სუპერმარკეტში დახარჯულ ყოველ 10 ლარზე ბარათის მფლობელებს საშუალება აქვთ დააგროვონ 10 ბონუს ქულა. 100 ბონუს ქულა შეესაბამება 1 ლარს, რომლითაც ბარათის მფლობელს მომავალში ნიკორას სუპერმრკეტში ნებისმიერი პროდუქტის შეძენის საშუალება აქვს. მოცემული ქულები წარმოადგენს ვალდებულებას ჯგუფისთვის, რადგან ისინი მომხმარებლებს იმ უფლებით უზრუნველყოფენ, რაც მათ მანამდე არ ჰქონდათ. გამოუყენებელი ქულები 2 წლის განმავლობაში მათი არააქტიურობის საფუძველზე უქმდება. ტრანზაქციასთან დაკავშირებული გასაყიდი ფასი იყოფა უფლებად და ვალდებულებად, კონტრაქტში დაფიქსირებული ცალკეული გასაყიდი ფასის საფუძველზე. შემოსავალი აღნიშნული უფლებიდან აღაირდება ბონუს ქულების განაღდებისა და მათი მოქმედების ვადას შორის ადრეული თარიღით.

ფასს 15-ის მიღების ზეგავლენა ჯგუფის ფინასურ ანგარიშგებაზე

თავდაპირველად ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ბონუს ქულებთან დაკავშირებული ვალდებულების საფუძველზე ჯგუფი აღაირებდა რეზერვს ბონუს ბარათების გამოყენებაზე დაყრდნობით, ხოლო რეზერვის ცვლილებას ასახავდა ადმინისტრაციულ ხარჯებში.

ფასს-ის მიღების შემდეგ ჯგუფი აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებას მიღებული თანხების საფუძველზე რომელიც დაკავშირებულია შესასრულებელ ვალდებულებასთან (მსგავსად "ბონუს ბარათების რეზერვის") და აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. შემოსავალი აღიარდება მხოლოდ ვალდებულებისთვის, რაც ასევე სრულდება.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ აღნიშნულ ცვლილებებს არ აქვს მატერიალური გავლენა საწყის გაუნაწილებელ მოგებასა და შემოსავლების ოდენობაზე, რადგან აღნიშნული უმეტესად გულისხმობს ცვლილებებს პრეზენტაციის თვალსაზრისით. ხელმძღვანელობის მიერ არ გატარებულა არანაირი კორექტირება მანმადე წარდგენილ ციფრებთან მიმართებაში ფასს 15-ზე გადასვლასთან დაკავშირებით, რაგდან აღნიშნული ცვლილება არამატერიალურად იქნა მიჩნეული.

3.15 ფული და ფულადი ეკვივალენტები

კონსოლიდირებული ანგარიშგების მიზნებისათვის, ფულის ეკვივალენტები მოკლევადიანი, მაღალი ლიკვიდურობის მქონე ინვესტიციებია, რომლებიც ადვილად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და რომლებიც ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი ეკვივალენტები საჭიროა უფრო მეტად მოკლევადიანი ვალდებულებების დაფარვისთვის, ვიდრე საინვესტიციო ან სხვა მიზნებისათვის. ჯგუფი აკლასიფიცირებს ინვესტიციებს, როგორც ნაღდი ფულის ექვივალენტებს, თუ ისინი ადვილად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილებების უმნიშვნელო რისკს.

4. გუდვილი

გუდვილის წმინდა საბალანსო ღირებულებაში მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი (გადაანგარიშებული)
მთლიანი საბალანსო ღირებულება		
ნაშთი წლის დასაწყისში	38,560	38,560
შეძენილი კომპანიების გაერთიანების გზით	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	38,560	38,560
აკუმულირებული გაუფასურება		
ნაშთი წლის დასაწყისში	-	-
გაუფასურების ზარალი	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება	38,560	38,560

4.1 გაუფასურების ტესტი

გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრა გამოყენების ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მოიცავს დეტალურ ხუთწლიან საპროგნოზო პერიოდს და ასევე ეყრდნობა მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ექსტრაპოლაციას დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით, რომელიც გაანგარიშებულია მენეჯმენტის მიერ დადგენილ ზრდის ტემპზე. გუდვილის ანაზღაურებადი ღირებულება შეადგენს 46,538 ათას ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 51,492 ათასი ლარი).

აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება დათვლილია შესაბამისი განაკვეთით, რომელიც ითვალისწინებს ფულის დროით ღირებულებას და აქტივთან დაკავშირებულ რისკებს.

ზრდის განაკვეთი

ზრდის განაკვეთი ასახავს გრძელვადიან საშუალო ზრდას პროდუქციის ხაზისთვის და ჯგუფის საქმიანობის სფეროსთვის. ზრდის საშუალო წლიური განაკვეთი არის 4% (2017 წლის 31 დეკემბერი: 4%).

დისკონტირების განაკვეთი

დისკონტირების განაკვეთი ითვალისწინებს საბაზრო რისკისა და სხვა რისკების შესაბამის კორექტირებებს. დისკონტირების განაკვეთი არის 17.81% (2017 წლის 31 დეკემბერი: 15.08%).

ფულადი ნაკადების მოძრაობასთან დაკავშირებული დაშვებები

ხელმძღვანელობის მთავარი მისია მოიცავს სტაბილური მოგების მარჟის შენარჩუნებას, რაც დაფუძნებულია წინა წლების გამოცდილებაზე. ჯგუფის ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეს საუკეთესო შესაძლო მიდგომაა პროგნოზების გასაკეთებლად. ფულადი ნაკადების პროგნოზი ასახავს სტაბილურ მოგების ზღვარს, რომელიც მიღწეულია უშუალოდ ბიუჯეტირებამდე. ფასები და ხელფასები ასახავს საჯაროდ ხელმისაწვდომ ინფორმაციას ინდუსტრიაში ინფლაციის განაკვეთის შესახებ.

ზემოხსენებული აქტივის აღდგენადი ღირებულების განსაზღვრის გარდა, ხელმძღვანელობა არცერთ ძირითად შეფასებაში მნიშვნელოვან ცვლილებას არ მოელის. აქტივის აღდგენადი ღირებულება ნაწილობრივ მგძნობიარეა დისკონტირების განაკვეთის ცვლილებაზე. თუ გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი 1%-ით გაიზრდება, მაშინ გუდვილის აღდგენადი ღირებულება იქნება 43,572 ათასი ლარი.

5. ძირითადი საშუალებები

ათასი ლარი	მიწა	შენობები	მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობები	იჯარით აღებული ქონების რემონტი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება (გადაფასებული მიწა და შენობები)							
2017 წლის 1 იანვარი	-	1,072	14,820	9,047	5,000	2,065	32,004
შემოსვლა	-	4	3,332	2,228	1,782	700	8,046
გასვლა	-	(395)	(74)	(22)	(100)	(73)	(664)
2017 წლის 31 დეკემბერი	-	681	18,078	11,253	6,682	2,692	39,386
შემოსვლა	493	6,977	16,439	6,136	4,535	868	35,448
გასვლა	-	-	(800)	(446)	(47)	(88)	(1,381)
2018 წლის 31 დეკემბერი	493	7,658	33,717	16,943	11,170	3,472	73,453
დაგროვილი ცვეთა							
2017 წლის 1 იანვარი	-	165	6,842	4,846	1,580	1,109	14,542
წლის ცვეთა	-	41	3,044	1,426	793	311	5,615
გასვლის შედეგად კორექტირება	-	(26)	(41)	(11)	(31)	(33)	(142)
2017 წლის 31 დეკემბერი	-	180	9,845	6,261	2,342	1,387	20,015
წლის ცვეთა	-	252	4,804	2,158	1,223	469	8,906
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	(710)	(196)	(29)	(42)	(977)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	432	13,939	8,223	3,536	1,814	27,944
საბალანსო ღირებულება							
2017 წლის 31 დეკემბერი	-	501	8,233	4,992	4,340	1,305	19,371
2018 წლის 31 დეკემბერი	493	7,226	19,778	8,720	7,634	1,658	45,509

35,587 ათასი ლარის ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის არის დაგირავებული. (2017: 19,371 ათასი ლარი).

მიწა და შენობები მოცემულია გადაფასებული ღირებულებით. გადაფასებული ღირებულება წარმოადგენს დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებას, ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირად, თუ საბაზრო ღირებულებაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია. ჯგუფის მიწა და შენობები ბოლოს შეფასებული იყო 2015 წლის 31 დეკემბრისთვის დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ. შეფასება მოხდა გასაყიდი შესადარისი ფასების, ღირებულების და შემოსავლების კაპიტალიზაციის მიდგომებით.

6. არამატერიალური აქტივები

ათასი ლარი	პროგრამები	უფლებები	სხვა	სულ
ღირებულება				
2017 წლის 1 იანვარი	1,209	1,042	167	2,418
შემოსვლა	666	-	-	666
გასვლა	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	1,875	1,042	167	3,084
შემოსვლა	411	37	1	449
გასვლა	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	2,286	1,079	168	3,533
დაგროვილი ცვეთა				
2017 წლის 1 იანვარი	513	370	-	883
წლის ცვეთა	178	195	1	374
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	691	565	1	1,257
წლის ცვეთა	231	258	1	490
გასვლის შედეგად კორექტირება	-	-	-	-
2018 წლის 31 დეკემბერი	922	823	1	1,747
საბალანსო ღირებულება				
2017 წლის 31 დეკემბერი	1,184	477	166	1,827
2018 წლის 31 დეკემბერი	1,364	256	166	1,786

7. მარაგები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შეძენილი მარაგები	32,978	21,122
ნედლეული	182	107
სხვა	417	179
მარაგების სავარაუდო დანაკარგის რეზერვი	(440)	(595)
	33,137	20,813

მარაგები არ არის დატვირთული იპოთეკით.

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	7,921	7,325
სხვა მოთხოვნები	118	935
	8,039	8,260
საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	-	-
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	8,039	8,260

ყველა თანხა არის მოკლევადიანი. სავაჭრო მოთხოვნების წმინდა საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღიანია,რომელსაც არ ერიცხება პროცენტი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ აქვს გაუფასურებული სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მოთხოვნები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 21-ში.

9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	1,779	1,517
საბანკო ანგარიშები	913	8,659
	2,692	10,176

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 21-ში.

10 კაპიტალი

10.1 სააქციო კაპიტალი

აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები 2018 ათასი	ჩვეულებრივი აქციები 2017 ათასი
ნებადართული აქციები	10,000	10,000
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 2.18 ლარი თითოეული	21,800	21,800
წლის განმავლობაში გამოშვებული და სრულად გადახდილი	88	9,367
ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა 2.18 ლარი თითოეული	20,610	20,419
დამატებითი განაღდებული კაპიტალი	7,675	6,216

2017 წლის 31 ივლისში ჯგუფმა შეიცვალა იურიდიული ფორმა და ჩამოყალიბდა სააქციო საზოგადოებად. ავტორიზებულმა სააქციო კაპიტალმა შეადგინა 10,000,000 ჩვეულებრივი აქცია და განისაზღვრა 2.18 ლარის ნომინალური ღირებულებით. (სააქციო კაპიტალი 21,800 ათასი ლარი).

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის სააქციო კაპიტალი იყო 26,635 ათასი ლარი.

11 სესხები

ათასი ლარი

	მიმდინარე		გრძელვადიანი	
	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
უზრუნველყოფილი სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	9,980	11,148	13,660	13,859
ოვერდრაფტი	-	-	-	-
	9,980	11,148	13,660	13,859

საბანკო სესხები არის 1-დან 6 წლამდე ვადიანობის და აქვთ საშუალოდ წლიური 10% მცოცავი განაკვეთი (საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი და 6 თვიანი აშშ დოლარის LIBOR-ზე). (2017: 11% წლიური მცოცავი განაკვეთი).

საბანკო სესხები აღებულია ზოგადი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებით. სესხებს უზრუნველყოფად უდევს ჯგუფის მფლობელობაში არსებული ძირითადი საშუალებები (იხილეთ შენიშვნა 5).

საბანკო სესხების სამართლიანი ღირებულება უტოლდება საბალანსო ღირებულებას, რადგან დისკონტირების გავლენა უმნიშვნელოა.

სესხები ვალუტების მიხედვით იხილეთ შენიშვნა 21-ში.

12. ობლიგაციები

2018 წლის 18 მარტს სს ნიკორა ტრეიდის მიერ შესრულებულ იქნა ვალდებულებები ობლიგაციების მფლობელების მიმართ არსებული 13,274 ათასი ლარის ოდენობით.

2018 წლის 6 აგვისტოს, თიბისი კაპიტალმა, როგორც საბროკერო აგენტმა, გამოუშვა სს ნიკორა ტრეიდისთვის 25 მილიონი ლარის ღირებულების ობლიგაციები. ობლიგაციებს ერიცხება წლიური 11% (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11.50%) და 3 წელში ეწურება ვადა. პროცენტის გადახდა წარმოებს კვარტლურად "შეთავაზების მიმოხილვაში" მითითებულ თარიღებში. ქვედა ცხრილი წარადგენს ობლიგაციებზე ფინანსურ ინფორმაციას:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ობლიგაციები	25,000	13,137
საპროცენტო გადასახდელები ობლიგაციებზე	161	137
	25,161	13,274

წლის განმავლობაში მოძრაობა:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ბალანსი წლის დასაწყისში	13,274	13,410
ობლიგაციების გამოშვება	25,000	-
პროცენტის დარიცხვა	1,520	1,411
პროცენტის გადახდა	(1,332)	(1,368)
ძირის გადახდა	(12,540)	-
საკურსო სხვაობა	(761)	(179)
ბალანსი წლის ბოლოს	25,161	13,274

სს ნიკორა ტრეიდის ობლიგაციების კონტრაქტი ითვალისწინებს გარკვეულ შემზღუდველ პირობებს. მოცემული გულისხმობს გარკვეული ფინანსური კოეფიციენტების დაკმაყოფილებას. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გვაქვს შემდეგი 3 ფინანსური შემზღუდველი პირობა:

1) Debt/EBITDA- კოეფიციენტმა არ უნდა შეადგინოს 3.5-ზე მეტი 2018 წლის შედეგების მიხედვით.

2) ICR- არ უნდა იყოს 2.5-ზე ნაკლები 2018 წლის შედეგების საფუძველზე

3) DSCR - კოეფიციენტი არ უნდა იყოს 1.1-ზე ნაკლები 2018 წლის შედეგების საფუძველზე

კოეფიციენტები იანგარიშება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ჯგუფი აკმაყოფილებს 2 კოვენანტს აღნიშნული სამიდან.

ობლიგაციები წარმოადგენს ჯგუფის პირდაპირ არაუზრუნველყოფილ ვალდებულებებს, რომლებიც რიგითობით უთანაბრდება ერთმანეთს და ჯგუფის ყველა სხვა არაუზრუნველყოფილ და არა-სუბორდინირებულ ვალდებულებას.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	62,517	43,490
საგადასახადო ვალდებულება	1,114	211
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	543	230
სხვა	-	917
	64,174	44,848

14. გაყიდვების და მარკეტინგის ხარჯი

გაყიდვების და მარკეტინგის რეკლასიფიცირებული დანახარჯები მოიცავს მაღაზიის კონსულტანტების, მოლარეების და მარკეტინგისა და დისტრიბუციის თანამშრომლების ხელფასსა და ანაზღაურებას, ასევე მოიცავს სავაჭრო მაღაზიის, თაროების, მაცივრებისა და სხვა აღჭურვილობის, სადისტრიბუციო მანქანების ცვეთასა და სხვა გაყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
იჯარა	19,861	14,917
თანამშრომელთა ხელფასი	19,011	13,846
ცვეთა	6,497	4,148
დისტრიბუცია	1,628	1,032
მარკეტინგის ხარჯი	1,718	1,085
	48,714	35,028

15. ადმინისტრაციული ხარჯები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
თანამშრომელთა ხელფასი	10,537	7,592
კომუნალური ხარჯი	7,423	5,646
მარაგების ჩამოწერის ზარალი	6,370	3,449
ცვეთა და ამორტიზაცია	2,900	1,841
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	1,740	1,031
საოფისე ხარჯი	1,498	1,017
საბანკო ხარჯი	1,468	1,153
რემონტი	1,445	595
სხვა	97	66
გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	-	-
	33,478	22,390

16. ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	2,384	2,616
საპროცენტო ხარჯები ობლიგაციებზე	1,520	1,400
საპროცენტო ხარჯი სესხებზე დაკავშირებული მხარეებისგან	306	122
	4,210	4,138

17. სხვა ფინანსური ხარჯები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საკურსო სხვაობის მოგება/ზარალი:		
ფული და მოთხოვნებზე	(91)	78
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით დაანგარიშებული	(326)	851
	(417)	929

18. ანგარიშის წარდგენის შემდგომი მოვლენები

რეპორტის შედგენის თარიღის შემდგომ, წლის პირველ კვარტალში სს ნიკორა ტრეიდმა გაყიდა დარჩენილი აქციები. სულ გაიყიდა 545,723 ცალი აქცია ღირებულებით 12,424 ათასი ლარი.

19. მნიშვნელოვანი ბუღალტრული დაშვებები და შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შეფასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გათვალისწინებულია სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენები და სარწმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

19.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

ჯგუფის შეფასებებს და დაშვებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული საადრიცხვო შეფასებები, განმარტების თანახმად, შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების კორექტირების საჭიროების მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

მენეჯმენტს შეფასებული აქვს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასიცოცხლო ხანგრძლივობა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვნად განსხვავებული იქნება.

გადაფასების მოდელით აღრიცხული ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება.

ჯგუფის მიწა და შენობები აღრიცხულია რეალური ღირებულებით. ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება გამოყვანილია დამოუკიდებელი პროფესიონალი შემფასებლის ანგარიშის საფუძველზე, რომელმაც გადააფასა აღნიშნული აქტივები. გადაფასება მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს. ამდენად, ჯგუფის ძირითადი საშუალებების ფაქტიური რეალური ღირებულება შესაძლოა განსხვავდებოდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ღირებულებებისგან.

უიმედო ვალი

ჯგუფი აფასებს მისაღები მოთხოვნების ამოღების დონეს მის გამოცდილებაზე და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების დონე შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის შეფასებებისგან.

მარაგების გაუფასურების რეზერვი

მარაგების გაუფასურების რეზერვი იქმნება ძნელად-გასაყიდვადი, მოძველებული და სავაჭრო მაღაზიებში მარაგის შესაძლო დანაკარგებისთვის. მარაგის გაუფასურების რეზერვის საბალანსო ღირებულების განსაზღვრა ეყრდნობა შეფასებებს მარაგზე მოთხოვნის, მარაგების ბრუნვის, შესაძლო დაზიანების ან მოპარვის შესახებ. შესაბამისად რეალური დანაკარგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტის არსებული შეფასებისაგან..

გუდვილის მიმდინარე ღირებულება

გუდვილის მიმდინარე ღირებულებაზე გავლენას ახდენს გაუფასურება. გუდვილი არის აქტივი, რომელიც წარმოადგენს სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც წარმოიქმნება ბიზნესების გაერთიანების შედეგად სხვა აქტივებისაგან. მისი ინდივიდუალურად და ცალკე აღიარება ვერ ხდება. შესაბამისად გუდვილის გაუფასურების დადგენისათვის საჭიროა დაშვებები და შეფასებები რომელიც უკავშირდება ჯგუფის სამომავლო ტრანზაქციებს და სხვა მოვლენებს რომლებიც ვითარდება ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის გარშემო, რომელთაგან მრავალი არის ჯგუფის კონტროლს მიღმა. იმისათვის რომ გავზომოთ გუდვილის შესაძლო გაუფასურება ჯგუფი იყენებს ხუთი წლის ბიუჯეტს, რომელშიც ეხება მრავალ დაშვებას მათ შორის გაყიდვების ზრდის ტემპს, ინფლაციას, კონკურენციის დონეს, საბაზრო წილსა და სხვა.

მენეჯმენტის გაანგარიშებები, რომლებიც ეყრდნობა მიმდინარე შეფასებებს, დაშვებებსა და მოლოდინებს გვიჩვენებს, რომ გუდვილი მოცემული ანგარიშგების თარიღისთვის არ არის გაუფასურებული. თუმცა, მენეჯმენტის მიერ შეფასებულსა და რეალურად არსებული მდგომარეობას შორის სხვაობამ, შესაძლოა მატერიალური ეფექტი იქონიოს გუდვილის ღირებულებაზე.

მიწა და შენობები

ჯგუფის მიწის ნაკვეთი და შენობები წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით. რეალური ღირებულება არის დაფუძნებული შეფასებაზე, რომელიც მომზადებულია დამოუკიდებელი, კვალიფიციურ შემფასებლის მიერ, რომელიც ფლობს შესაბამის ლიცენზიას. მნიშვნელოვან შენატანები და ვარაუდები შემუშავებულია მენეჯმენტთან კონსულტაციის საფუძველზე

საბაზრო საპროცენტო განაკვეთები

მენეჯმენტმა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზნით გამოიყენა საბაზრო საპროცენტო განაკვეთები. საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებამ შესაძლოა ფინანსურ ვალდებულებებზე და საპროცენტო ხარჯებზე იქონიოს გავლენა.

19.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მთლიანი მოგების მარჟა კიდევ უფრო გაიზრდება. ეს ვარაუდი ეფუძნება ჯგუფის ძლიერ საბაზრო პოზიციას.

20. ფინანსური ინსტრუმენტები

20.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების თითოეული კატეგორიის საბალანსო ღირებულება წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8,039	8,260
ფული და საბანკო ანგარიშები	2,692	10,176
	10,731	18,436

ფინანსური ვალდებულებები

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით:		
სესხები	23,640	25,007
ობლიგაციები	25,161	13,274
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	64,174	44,848
	112,975	83,129

21. ფინანსური რისკის მართვა

ჯგუფი ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

ჯგუფი არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც ჯგუფთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

ჯგუფს აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფი ახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

ჯგუფის სავაჭრო ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად გამოწვეულია ჯგუფის სესხებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს ჯგუფის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

ერთეული 2018 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	სხვა
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	230	74	-
ფული და საბანკო ანგარიშები	-	-	-
სულ ფინანსური აქტივები	230	74	-
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები	9,749	405	-
ობლიგაციები	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	123	322	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,872	727	-
წმინდა პოზიცია	(9,642)	(653)	-

ერთეული 2017 წლის 31 დეკემბერი	დოლარი	ევრო	სხვა
ფინანსური აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	386	118	-
ფული და საბანკო ანგარიშები	6,295	-	-
სულ ფინანსური აქტივები	6,681	118	-
ფინანსური ვალდებულებები			
სესხები	17,383	-	-
ობლიგაციები	13,367	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,185	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	35,935	-	-
წმინდა პოზიცია	(29,254)	118	-

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 10% კლება/მატების გავლენას ჯგუფზე. აღნიშნული 10% (2017: 10%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარისა და დოლარის გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 10%-იანი (2017: 10%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარისა და ევროსთან მიმართებაში 10%-ით (2017: 10%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

ათასი ლარი	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	2018	2017	2018	2017
მოგება/ზარალი	2,925	4,262	12	14
სხვა კაპიტალი	-	-	-	-
	2,925	4,262	12	14

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს ჯგუფის სავალუტო რისკთან მიმართებით კავშირს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

ჯგუფს გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. ჯგუფის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით.

შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

2018	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი		
ლარი	10.58%	10.69%
დოლარი	8.48%	9.36%
ევრო	7.50%	7.76%
ობლიგაციები		
ლარი	11.0%	11.5%

2017	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
ვალდებულებები		
უზრუნველყოფილი საბანკო სესხი		
ლარი	11.60%	11.60%
აშშ დოლარი	9.00%	9.00%
ობლიგაციები		
აშშ დოლარი	11.00%	12.00%

საპროცენტო განაკვეთზე მგრძნობელობის ანალიზის ჩასატარებლად ქვემოთ მომზადებულია 3%-ის საპროცენტო განაკვეთის ცვლილება. 3% წარმოადგენს მენეჯმენტის შეფასებას შესაძლო საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შესახებ.

თუ საპროცენტო განაკვეთი იყო 3%-ით მაღალი/დაბალი და ყველა სხვა ცვლადები იყო უცვლელი, ჯგუფი:

- 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წლის ბოლოს მოგება გაიზრდებოდა/შემცირდებოდა 599 ათასი ლარით (2017: გაიზრდებოდა/შემცირდებოდა 645 ათასი ლარით);

ჯგუფის მგრძნობელობა საპროცენტო განაკვეთზე იზრდება/მცირდება ძირითადად იმის გამო, რომ იცვლება მცურავი საპროცენტო განაკვეთი (LIBOR და საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთები).

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ჯგუფი მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი წარმოიქმნება ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო.

მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოქმნის შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებით:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები მიმდინარე ღირებულებით		
მოთხოვნები	8,039	8,260
ფული საბანკო ანგარიშებზე	913	8,659
	8,952	16,919

რისკების მართვის მიზნით ჯგუფი ნაღდ ფულს კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებში ათავსებს. ჯგუფის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მისი ფინანსური ატივები არაა გაუფასურებული არცერთი საანგარიშგებო თარიღისთვის და განიხილება როგორც კარგი საკრედიტო ხარისხის მქონე. ჯგუფის არცერთი ფინანსური აქტივი არ არის გირაოს ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფის ქვეშ.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით, ჯგუფი არ ხასიათდება რაიმე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკით რომელიმე კონტრაგენტის ან საერთო მახასიათებლების მქონე კონტრაგენტების ჯგუფის მიმართ. მომხმარებლებთან არსებული წარსული გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით ხელმძღვანელობა სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკრედიტო ხარისხს დადებითად აფასებს.

ფულისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების გაუფასურება შეფასდა 12-თვიანი მოსალოდნელი ზარალის საფუძველზე და ასახავს მოკლევადიანი დაფარვების ექსპოზიციას. ჯგუფი მიიჩნევს, რომ ფული და ფულადი სახსრების ექვივალენტები ხასიათდებიან დაბალი საკრედიტო რისკით, რაც ეფუძნება გარე კონტრაქტორების საკრედიტო რეიტინგებს.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

ჯგუფი ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას,

აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა ჯგუფმა დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება ჯგუფის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2018 ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		9.83%	10.02%	
6 თვეზე ნაკლები	63,060	7,597	3,750	74,407
6 თვიდან 1 წლამდე	1,114	1,763	-	2,877
1-5 წლამდე	-	15,283	-	15,283
5 წელზე მეტი	-	-	-	-
	64,174	24,643	3,750	92,567

2017 ათასი ლარი	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)		11.0%	10.0%	
6 თვეზე ნაკლები	44,636	7,203	13,647	65,486
6 თვიდან 1 წლამდე	212	5,417	157	5,786
1-5 წლამდე	-	11,832	3,632	15,464
5 წელზე მეტი	-	586	-	586
	44,848	25,038	17,436	87,322

ჯგუფი ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

22. რეალური ღირებულება

ჯგუფი ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების ანალიზს, რომლებიც წარდგენილია სამართლიანი ღირებულებით და ჯგუფდება 1 დონიდან 3 დონემდე. დონეები განმარტებულია ქვემოთ:

- დონე 1 – სამართლიანი ღირებულება განსაზღვრულია კოტირებული საბაზრო ფასით, რომელიც კოტირდება აქტიურ ბაზარზე;

- დონე 2- სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება კოტირებული ფასებით, რომელიც მოიცავს პირველ დონეს და მსგავსია არსებული აქტივისა ან ვალდებულების

- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შეფასებისგან, რომელიც მოიცავს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომლებიც ბაზარზე არ კოტირდებიან (არასაბაზრო მონაცემები).

23. კაპიტალის რისკის მართვა

ჯგუფი ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და აქციონერებსაც ადექვატური უკუგება აჩვენოს.

ჯგუფის კაპიტალის სტრუქტურა შედგება მფლობელთა კაპიტალისგან, რომელიც თავის თავში მოიცავს ჩვეულებრივ აქციებს, რეზერვებს და აკუმულირებულ მოგებას, და სესხებისაგან, რისი დეტალებიც წარდგენილია შენიშვნა 10-ში.

ჯგუფის მენეჯმენტი მუდმივად აფასებს ჯგუფის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე (ზედმეტი/გადაჭარბებული ლევერიჯი). ამ ანალიზისას გაითვალისწინება ჯგუფის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. ჯგუფი მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით ჯგუფმა შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, გამოუშვას ახალი აქციები ან გამოისყიდოს საკუთარი აქციები, აიღოს ახალი სესხები ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც ჯგუფი კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის გადასახედად, არის შემდეგი:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	16,730	16,221
გამოკლებული: ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე	(2,692)	(10,176)
კაპიტალი	14,038	6,045
მთლიანი კაპიტალი	16,730	16,221
სესხები	23,640	25,007
ობლიგაციები	25,161	13,274
სრული ფინანსირება	65,531	54,502
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	0.21	0.11

24. გაუთვალისწინებელი გარემოებები

24.1 ბიზნეს გარემო

როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე.

კრიზისი მსოფლიო ეკონომიკაში, შეიძლება შეეხოს საქართველოსთან მოთანამშრომლე ქვეყნებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ჯგუფზეც, მაგალითად რეალიზაციაზე, ფონდების მოძიებაზე და ა.შ. ყველა ამ პრობლემამ შეიძლება მნიშვნელოვანი სირთულეები შეუქმნას ლიკვიდურობის თვალსაზრისით, და შეიძლება დადგეს მისი სიცოცხლისუნარიანობის საკითხი. უფრო რთულ საბაზრო კრიზისის შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკა და ჯგუფის მდგომარეობა, შეიძლება გაუარესდეს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მაჩვენებლები მრავალადაა, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა. შესაბამისად, ჯგუფის ფინანსური ანგარიშგებები არ

მოიცავს კორექტირებებს, რომელიც შეიძლება ჩათვლილიყო საჭიროდ ზემოთხსენებული ფაქტორების შემთხვევაში.

24.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. ჯგუფს ამ ეტაპზე დაზღვეული აქვს ავტოპარკის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის ფარგლებში დაზღვეულია მესამე პირების მიმართ პასუხისმგებლობაც. ჯგუფი აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწყობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს ჯგუფის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

24.3 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან კანონით დაარიცხონ ჯარიმები და საურავები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული განმარტები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი ჯგუფზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

24.4 გარემოს დაცვა

მენჯმენტის აზრით, ჯგუფი შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხში. შესაბამისად მიიჩნევს, რომ ჯგუფს არ აქვს გარემოსდაცვით რეგულაციებთან შესაბამისობასთან დაკავშირებული რაიმე მიმდინარე ვალდებულება. საქართველოს გარემოსდაცვით კანონმდებლობაში მიმდინარეობს ცვლილებები, რაც არ გამორიცხავს შემდგომში ახალი კანონმდებლობით განპირობებული ვალდებულებების წარმოქმნას.

25. ფული და ფულის ექვივალენტები

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისათვის, ფული და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე. ნაღდი ფული და ბანკის ბალანსი წლის ბოლოს კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში უნდა დაკონსოლიდირდეს შესაბამისად, როგორც მოცემულია:

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული და საბანკო ნაშთები	2,692	10,176
საბანკო ოვერდრაფტი	-	-
	2,692	10,176

26. ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ჯგუფის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

ათასი ლარი	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
2018 წლის 1 იანვარი	13,859	11,148	25,007
ფულადი ნაკადების მოძრაობა			
საპროცენტო ვალდებულება	2,690	-	2,690
სესხის დაფარვა	(92,366)	(14,179)	(106,545)
სესხის აღება	98,406	3,031	101,437
არაფულადი ნაკადების მოძრაობა			
საკურსო სხვაობა (მეტობა)/დანაკლისი	1,052	-	1,052
რეკლასიფიცირებული	(9,980)	9,980	-
2018 წლის 31 დეკემბერი	13,660	9,980	23,640

27. დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი აქციონერები, საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

27.1 საკონტროლო ურთიერთობები

ჯგუფის მფლობელია სს "ნიკორა", რომელიც ფლობს ხმების 86.15 %-იან წილს.

27.2 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ქონდა შემდეგი ტრანზაქციები და ნაშთები:

ათასი ლარი ტრანზაქციები	2018 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბერის დასრულებული წლისათვის
კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ		
საქონლის რეალიზაცია	431	327
მომსახურების გაწევა	4,256	3,607
მარაგების შესყიდვა	(70,016)	(63,784)
სერვისების მიღება	(2,656)	(2,442)
სესხების აღება	7,314	-
სესხების დაფარვა	(307)	(1,606)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	306	3
საპროცენტო შემოსავლის დარიცხვა	99	-
	(60,573)	(63,895)

ათასი ლარი

ბალანსები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
კომპანიები საერთო კონტროლის ქვეშ		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,009	2,424
მიღებული სესხები	(3,593)	(3,480)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(7,947)	(7,274)
	(10,531)	(8,330)

27.3 გარიგებები ხელმძღვანელობასთან და ოჯახის წევრებთან

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა ხელფასებში, მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ხელფასები და ბონუსები	440	425
	440	425

28. გადაანგარიშება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების შესადარის ინფორმაციაზე

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ჯგუფის მენეჯმენტმა აღმოაჩინა რომ 2014 წელს შპს ლაზის შეძენისას აღიარებული გუდვილი არასწორია. თავდაპირველად გუდვილი დათვლილი იყო როგორც სხვაობა: (ა) გადახდილ ფულად სახსრებსა და (ბ) შპს ლაზის იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულებას შორის. მენეჯმენტის დასკვნით, შეძენის მომენტში შპს ლაზის წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულება გადაჭარბებულად იყო შეფასებული, რადგან მარაგები და სხვა მიმდინარე ატივები რომლებიც უნდა ჩამოწერილიყო როგორც ხარჯები, არ იყო გათვალისწინებული შპს ლაზის სააღრიცხვო უწყისებში. ჯგუფის ხელმძღვანელობამ მიიჩნია, რომ შეცდომა უმდა გასწორებულიყო, რაც გამოიწვევდა გუდვილის (და შესაბამისად გაუნაწილებელი მოგების) ზრდას 333 ათასი ლარით.

ათასი ლარი

	2017 წლის 1 იანვარი (კორექტირებამდე)	კორექტირება	2017 წლის 1 იანვარი (კორექტირების შემდეგ)
გუდვილი	38,227	333	38,560
გაუნაწილებელი მოგება	(14,509)	333	(14,176)